# საბურთალო

სპორტული გაზეთი | შაბათი 10 მარტი 2001 №42 (1315) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

## 20 ტური

10 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| **კოლხეთი** | **ლოკომოტივი** |
| **მერანი** | **დინამო** |
| **ვიტ ჯორჯია** | **თსუ** |
| **დილა** | **ბათუმი** |
| **გორდა** | **ტორპედო** |
| **იბერია** | **სიონი** |

*ორი საშინაო გამარჯვების მერე მეთორმეტე ეროვნულის ლიდერი, გივი ნოდიას „ლოკომოტივი“ ფოთს ესტუმრება და ექვსეულისთვის მებრძოლ სოსო ფილიას „კოლხეთს“ დაუპირისპირდება. მეოცე ტურის ცენტრალურ მატჩადაც ეს შეხვედრა მიჩნიეთ. ერთიცაა, შესაძლოა, რკინიგზელთა დაცვის ცენტრში ნოდიამ ერთდროს სანაკრებო ცხადაძე-შელიას დუეტი ათამაშოს.*

*ალბათ, არანაკლებ დაძაბული იქნება „მერანი“ — „დინამოც“. ბოლნისში მოგების მერე ოთარ გაბელიას „მერანი“ გამარჯვების იმტაზეა და გოჩა ტყებუჩავას შეგირდებს აჭქალაში არაფერს დაუთმობს. ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ კი რუსთავს ეწვევა და იქაურ „გორდას“ სამი ქულისთვის შეებრძოლება.*

იხილეთ მესამე გვერდი

# ნოდია თბილისიდან გავიდა



ბაჩანა ქათამაძის ფოტო

პირველი წრის „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“ 2:1. მეკარე მამუკა გვასალიამ და ვალერი ტორჩინავამ (№3), ლოკომოტიველ მამუკა რუსიას კარი დაუკეტეს

# სულ ზემოთ, ზემოთ გვიწყდება ზედი

## ქართველ მორაგბეებს რკინის ქალამნები სჭირდებათ: ესპანელებთან თამაშამდე სახელისუფლო დერეფნებში უნდა იყოჩაღონ



ბაჩანა ქათამაძის ფოტო

1998 წლის 20 მაისი, „ეროვნული“. ქართველებმა რუსები დაამარცხეს. მორაგბეებს და ხალხს ეროვნულ სტადიონზე ასეთი გამარჯვებების მოპოვება და ხილვა კიდევ სურთ

*17 მარტს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები „ევროპის ერთა თასის“ მეოთხე ტურში, იგივე მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ესპანეთს უმასპინძლებს.*

*28 მარტს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინეთს დაუხვდება.*

*ფეხბურთელთა შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე შედგება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამისთვის წინასწარ დაიჭირა თადარიგი: მოედნის მოწესრიგების საბაბით თავისი ეგიდით გამართულ შეჯიბრებებს რუმინეთთან მატჩამდე „ეროვნულზე“ არ ატარებს.*

*სად ითამაშებენ მორაგბეები? მათ „ეროვნულის“ გარდა სხვაგან წასასვლელი არც აქვთ. ყველა დანარჩენი ვარიანტი, სხვადასხვა მიზეზის გამო, გამოირიცხა.*

*გუშინ „ეროვნულზე“ თათბირი შედგა. საქართველოს რაგბის კავშირის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული სტადიონის და თბილისის მერიის ხელმძღვანელებმა თავ-თავიანთი პოზიციები წარმოადგინეს, მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერაფერზე შეთანხმდნენ. მორაგბეებს ალტერნატივად გორის სტადიონი შესთავაზეს, რომლის მოედანი საფარის მხრივ რიგიანი, მაგრამ რაგბისთვის არასტანდარტულია. თანაც, გასახდელები და საშხაპეები სავალალო მდგომარეობაშია...*

*ორშაბათს ქალაქის მერიაში მორიგი თათბირია დაგეგმილი. ამბობენ, საქმე შეიძლება ამით არ დამთავრდეს და უფრო ზემოთ, უმაღლეს დონეზეც გაირჩესო.*

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

## საქართველო — რუმინეთი

# რეპლიკა რუმინეთისთვის: ჩვენი შანსი ტექნიკაა

**28 მარტს** საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი რომ ელის რუმინელებთან, ცნობილი ამბავია.

ფეხბურთის ფედერაციაც უკვე შეუდგა ამ შეხვედრისთვის მზადებას. ნაკრებისა და ფედერაციის სარუმინეთო სამზადისზე გუშინ ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია გვესაუბრა.

— ჩვენი გუნდი გერმანიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ბაზაზე მოემზადება. პატარა ქალაქი ჰენევი კიოლნიდან 25 კილომეტრითაა დაშორებული. იქ იდეალური პირობებია შეკრებისთვის — ხუთი მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი, საუნა, საგანგებოდ მოწვეული მზარეული. ჩვენ უკვე გადავუხადეთ გერმანელებს 7 ათასი მარკა, მთლიანად კი ეს შეკრება დაახლოებით 25 ათასი მარკა დაგვიჯდება. საქართველოსი ნაკრები ჰენევში 20-დან 26 მარტამდე მოემზადება.

**— ის, რომ ნაკრები ეროვნულ სტადიონზე ითამაშებს, ალბათ, მეტად მნიშვნელოვანია...**

— მწვრთნელების და ფეხბურთელების თხოვნაც იყო, რომ ეროვნულის მინდორი 28 მარტისთვის კარგ მდგომარეობაში დავახვედროთ. ძალიან მოვინდომებთ, მაგრამ ჩვენი შანსი ტექნიკაა, რისთვისაც კარგი მინდორი აუცილებელიაო — ასეთია მათი პოზიცია.

ფედერაცია ყველანაირად მხარში უდგას გუნდს. გვქონდა შეხვედრა თბილისის მერიასთან, რომლის ძალისხმევით თურქეთიდან უკვე ჩამოტანილია ერთჯერადი განათებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

26 მარტს უეფას კომისარი და მატჩის დელეგატი გვეწვევიან და გულდასმით შეამოწმებენ ყველაფერს. რუმინეთს უნდა მოვუგოთ. ერთი სიტყვით, სფფ ყველაფერს აკეთებს — პრემიები, შეკრება, ეროვნულზე თამაში... ხალხის ინტერესებსაც ვითვალისწინებთ. საქართველოს ნაკრების ყველა გასვლითი მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია ვიყიდეთ, აქაური თამაშებიც ცოცხალ ეთერში გადაიცემა.

**— უეფას ემისრებს არც ის გამორჩებათ, თუ ინდივიდუალურის გარდა გულშემატკივარი ძველ ხის სკამებზეც მოთავსდება. ასეთ შემთხვევაში მკაცრი სანქციები არ აგვცდება...**

— სამწუხაროდ, ეს პრობლემა კვლავაც გვაწუხებს. გულშემატკივრებს ვთხოვ, გაგებით მოეკიდნონ იმას, რომ უეფა მართლაც მკაცრად დაგვსჯის. ბილეთები თამაშის დღეს აღარ გაიყიდება. ვაპირებთ პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმთაე ხელშეკრულების გაფორმებას — წესრიგის კარგად დაცვისთვის ისინი გასამრჯელოს მიიღებენ. მინდა, მადლობა ვუთხრა თავდაცვის სამინისტროს და პირადად შტაბის უფროსს ჯონი ფირცხალაიშვილს — ინდივიდუალური სკამების გასწვრივ 300 ჯარისკაცი განლაგდება.



ვალერი ჩოლარია

**დავით თავართქილაძე**

# შვიდკაცა ეს თბილისის „დინამოა“



ნიკოლოზ ივანიშვილი და რევაზ არველაძე: ახალი ხალხი ახალი ლოგოთი

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პირველი პრესკონფერენცია გამართა კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ.

ბაზაზე კაპიტალური რემონტია და ჟურნალისტებს სუფთა ჰაერზე გვიმასპინძლეს.

„დინამო“ შვიდკაციანი შემადგენლობით წარმოგვიდგა: ნიკა ივანიშვილი, რევაზ არველაძე, მისი თანაშემწე ნოდარ ჩოლარია, მენეჯერი გია ისიანი, პრესატაშე გიორგი კოლუაშვილი, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა ტყებუჩავა და მწვრთნელი ნიკა ჩხეიძე...

კალაძის გახმაურებულ კონტრაქტზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ, კლუბის წინა ხელმძღვანელობასთან ერთად ამ საკითხზე ვმუშაობთ, გვადროვეთ და მერე ყველაფერს გაუწყებთ — ასეთი განმარტება გვტკიცეს „დინამოს“ ხელმძღვანელებმა.

რევაზ არველაძემ თავდაპირველად კლუბის ახალი კადრები წარმოგვიდგინა, და მათ სამომავლო საქმიანობაზეც გვითხრა: „გია ისიანი კომპეტენტური პიროვნებაა. თავისი გამოცდილებითა და უნარით საქმეს თავს კარგად გაართმევს. ნოდარ ჩოლარია ენერგიული და ახალგაზრდა კაცია. ის გუნდის ეკიპირების, სპონსორების მოზიდვის, მენეჯმენტის საკითხებს მიხედავს. ფინანსური დირექტორი სახელმწიფო კანცელარიაში ნამუშევარი ვარლამ ვახანია იქნება, იურისტია თემურ მირიანაშვილი. კლუბის სტრუქტურა ევროპულ სტანდარტებს უნდა პასუხობდეს.“

*— მაშინ რატომ არ აკავშირებს კლუბთან კონტრაქტი გუნდის მთავარ მწვრთნელ გოჩა ტყებუჩავას?*

— ვნახოთ, როგორ იმუშავებს და მისი მომავალი „დინამოსთან“ ამის შემდეგ გაცხადდება. მეგობრობა ერთია, საქმე მეორე — იყო პასუხი.

რევაზ არველაძემ ისიც თქვა, რომ „დინამო“ მთელი ჩვენი ქვეყნის გუნდია, სიყვარული მის მიმართ კი თანდათან ნელდებოდა, ქარს მიჰქონდა და მის აღორძინებას რომ სახელმწიფომ მოჰკიდა ხელი, სწორი გამოსავალი იყო.

*ნიკა ივანიშვილი:* „სახელმწიფოს აქვს უფლება, გრანტის სახით დააფინანსოს პრიორიტეტული დარგები. შსს ორი წლით თავისი შემოსავლების სამოც პროცენტს მოახმარს „დინამოს“. კლუბი წელიწადში სამ მილიონ ლარს მიიღებს. ჩვენი, „დინამოს“ დამფუძნებლის მოთხოვნაა, რომ კლუბი რენტაბელურ საწარმოდ იქცეს და აქეთ შეჰქონდეს ბიუჯეტში თანხები. „დინამომ“ მხოლოდ ფეხბურთელთა ტრანსფერებით აღარ უნდა იარსებოს. არის სხვა საშუალებებიც, სპონსორები, ატრიბუტიკის გაყიდვა...“

*გია ისიანი:* „საცაა გავაფორმებთ ხელშეკრულებას „ნორჩ დინამოელთან“. ბავშვთა ფეხბურთი ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იქნება. მოლაპარაკება დაწყებული გვაქვს „დინამოს“ პოტენციურ სპონსორებთან — „ლილო“, „სანეტი“, გადამხდელთა კავშირი... კომერციული სტრუქტურების დაინტერესება აშკარაა. გადაწყვეტილი გვაქვს, მწვრთნელთა სტაჟირებაზე მივლინება უცხოეთში. აუცილებლად აღდგება მუშტაიდის გულშემატკივართა კლუბი. ყველანაირად ხელს შევუწყობთ თინეიჯერულ ფანკლუბსაც — მათ დაურიგდებათ დროშები, საყვირები, კაშნეები, გამოეყოფათ ადგილი სტადიონის ტრიბუნაზე.“

*ნიკა ივანიშვილი:* „იყო დრო, ჩვენი მთავარი სარბიელი მთლიანად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ეკუთვნოდა. ახლა ჩვენ ეროვნული სტადიონის 35 პროცენტი გვეკუთვნის და მერიასთან უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას წილის გამოსყიდვაზე. რაც შეეხება დიღმის ბაზას, 10 აგვისტოსთვის ის მთლიანად გარემონტებული და წესრიგში მოყვანილი გვექნება. „დინამოს“ ახალი ლოგოც ექნება“.

*რევაზ არველაძე:* „არ მინდოდა, მწვრთნელობისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ორი საქმის კეთება ამ ეტაპზე შეუძლებელია. გუნდი ახალი ფეხბურთელებით ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაძლიერდება. უეფას თასზე მონაწილეობისთვის მოთამაშეების დამატება კი საშური საქმეა.“

*— გამოდის, „დინამო“ ჩემპიონობისთვის ვეღარ იბრძოლებს?*

*რევაზ არველაძე:* „სანამ მე „დინამოში“ ვიქნები, გუნდი მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. ვისაც ასეთ სულისკვეთებასა და შემართებას ვერ შევამჩნევ, საკადრისად მიეზღვება. ჩემპიონი კი „დინამო“ იმ დროს უნდა გახდეს, როცა ამ ჩემპიონობას საზღვარგარეთ ღირსეულად გაიტანს. თანაც ახლა დებულებით არ შეგვიძლია, გუნდი საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებით გავაძლიეროთ“.

*ნიკა ივანიშვილი:* „13 მაისი ახლოვდება და ჩვენც ღირსეულად უნდა შევხვდეთ „დინამოს“ დიდი გამარჯვების ოცი წლისთავს. უკვე დაწყებულია მოლაპარაკება გერმანიის რეგიონალლიგაში მოასპარეზე „კარლ ცაისის“ ხელმძღვანელობასთან. 13 მაისს თბილისში „კარლ ცაისის“ და „დინამოს“ ვეტერანები, 1981 წლის მატჩის მონაწილენი ითამაშებენ ან მოქმედი ფეხბურთელები. ვმუშაობთ იმაზეც, რომ მატჩს ისევ ის არბიტრი, იტალიელი რიკარდო ლატანცი გაუძღვეს.“

*გოჩა ტყებუჩავა:* „გუნდს ფაქტობრივად ხელახლა ვაკომპლექტებთ. ახალწვეულები მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან. სამეულში ადგილის დამკვიდრებისთვის ვიბრძოლებთ. რემონტის დამთავრებამდე სასტუმრო „მესაზღვრეში“ დავიდეთ ბინა. ბაზაზე სავარჯიშოდ იქიდან ავტობუსით დავდივართ.“

აი, ასე იყო საქმე. „დინამო“, ფაქტობრივად, ხელახლა იბადება.

**დავით თავართქილაძე**



რემონტი „დინამოში“, რემონტი დიღმის ბაზაზე

# იაშვილს კონტრაქტი გაუგრძელეს

**საქართველოს** ნაკრებისა და გერმანიის „ფრაიბურგის“ თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა — ჩვენებური „ფრაიბურგში“ 2003 წლამდე ითამაშებს. თუ, იქამდე მისი გადაბირება სხვა კლუბმა არ მოინდომა და „ფრაიბურგმაც“ იაშვილი არ დათმო.

გეხსომებათ, ალექსანდრე იაშვილი „ფრაიბურგში“ სამი წლის წინ გადაბარგდა, მაშინ, როცა გუნდი მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა. პირველ ბუნდესლიგაში აღზევების მერე ერთ ჩვენებურს ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და გიორგი კიკნაძეც დაემატნენ. „ფრაიბურგს“ იმის სურვილიც აქვს, კონტრაქტი კობიაშვილსაც გაუგრძელოს.

**კობა ინასარიძე**

# წერეთელმა უცხოეთი მოიფიქრა

**მეტად** მოწადინებული იყო თბილისის „დინამო“, რათა „ალანიდან“ მობრუნებული მამუკა წერეთელი სამი თვით გადაებირებინა. 21 წლის მცველთან მოლაპარაკებამ დაახლოებით ორ კვირას გასტანა და ფეხბურთელიც დაყაბულდა. ტრანსფერს განთავისუფლების ფურცელილა აყოვნებდა, რომელიც ვლადიკავკაზელებს უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ წერეთელმა უცებ გადაიფიქრა და „დინამოს“ უგანა — უკეთესი ვარიანტი გამომიჩნდა და კარიერას კვლავ უცხოეთში გავაგრძელებო.

კვლავაც გაურკვეველია დაბრუნდებიან თუ არა „დინამოში“ თენგიზ სიჭინავა და თემურ გადელია. წინასწარი შეთანხმებით, ისინი 7 მარტს უნდა ჩამოსულიყვნენ რუსეთიდან და „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება გაემართათ, მაგრამ ეს არ მოხდა. როგორც რევაზ არველაძემ გვითხრა, მათი გუნდში დაბრუნების საკითხი საბოლოოდ ორშაბათს, 12 მარტს, გადაწყდება.

„დინამოს“ ამბებზე კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ ვარჯიში განაახლა ვახტანგ იაგორაშვილმა, რომელსაც ბარძაყის კუნთი ჰქონდა დაჭიმული. თუმც დღეს მისი „მერანთან“ თამაში სათუოა. იაგორაშვილს ყოფილმა კლუბმა, კიოლნის „პროიზენმა“ განთავისუფლების ფურცელი კი უბოძა, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთი რეგიონული ფილიალი საჭირო დოკუმენტაციის სფფ-ში გამოგზავნას რატომღაც ერთობ აჭიანურებს.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## 19 ტური

9 მარტი, პარასკევი

გურია 0:0 თორი
იბერია 1:3 მეტალურგი
მილანი 2:0 თბილისი
ცხინვალი 3:2 სამგურალი
ხობი 0:0 შუქურა
ოკეანე 5:3 ზუგდიდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 19 | 11 | 5 | 3 | 28:20 | 38 |
| ცხინვალი | 19 | 11 | 3 | 5 | 43:21 | 36 |
| მეტალურგი | 19 | 10 | 6 | 3 | 31:17 | 36 |
| მილანი | 19 | 11 | 3 | 5 | 28:15 | 36 |
| შუქურა | 19 | 10 | 4 | 5 | 25:14 | 34 |
| სამგურალი | 19 | 9 | 3 | 7 | 32:29 | 30 |
| თორი | 19 | 8 | 3 | 8 | 21:15 | 27 |
| ზუგდიდი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:39 | 24 |
| ხობი | 19 | 4 | 6 | 9 | 11:22 | 18 |
| ოკეანე | 19 | 4 | 3 | 12 | 20:38 | 15 |
| იბერია | 19 | 4 | 3 | 12 | 12:34 | 15 |
| თბილისი | 19 | 3 | 2 | 14 | 7:32 | 11 |

### გერმანია

XXV ტური

ლევერკუზენი 3:0 ვერდერი

II ბუნდესლიგა

XXV ტური

ოსნაბრუკი 0:0 ობერჰაუზენი

დუისბურგი 0:1 ვალდჰოფი

### ინგლისი

II დივიზიონი

XXXVII ტური

რედინგი 1:0 უიგანი

### საფრანგეთი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

ბოვე 1:1 ნანსი

თასის მერვედფინალი

ვალანსი 0:2 სტრასბური

### იტალია

სერია B

XXVI ტური

პიაჩენცა 1:2 კროტონე

### პორტუგალია

XXIV ტური

ფერეირა 0:2 ბოავიშტა

### ჰოლანდია

XXIV ტური

როდა 1:0 ბრედა

გრააფსხაპი 0:1 ჰერენვენი

### ბელგია

XXV ტური

ვესტერლო 2:2 სტანდარდი

### ჩეხეთი

XX ტური

ბუდეიოვიცე 1:4 სპარტა

### თურქეთი

XXIV ტური

გაზიანთეფი 3:1 ბეშიქთაში

### ავსტრია

XXIV ტური

რაპიდი 1:2 ადმირა

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

20 ტური

ანონსი

# ფოთიდან ავჭალამდე

**გზის ნახევარიც არ გალეულა და გასარკვევიც ბევრია. „ლოკომოტივი“ თუ „ტორპედო“, „მერანი“ თუ „ბათუმი“? აი, კითხვები, რომლებიც ყველაზე აქტუალურია ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე.**

**დღეს მეოცე ტურია, არა გადამწყვეტი, მაგრამ ბევრისმთქმელი. ადრიან გაზაფხულზე მიჰყავს გივი ნოდიას ბიჭები ზღვაზე, ავჭალას უნდა ეწვიოს „დინამო“. ფოთიდან ავჭალამდე თამაშებია სხვაგანაც, მაგრამ მთელი ყურადღება მაინც „ფაზისსა“ და „სინათლისკენ“ იქნება მიპყრობილი.**



პირველი წრის „დინამო“ — „მერანი“ 4:0
მერანელი სოსო დევიძე და აწ უკვე ტორპედოელი პაატა ჯინჭარაძე

## ტურის ცენტრალური მატჩი

ფოთი. „ფაზისი“. 10 მარტი. 15 საათი

### კოლხეთი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

ძნელი მატჩი ელის თასის მფლობელს ფოთში. „ფაზისის“ ბინადართ ექვსეულში ადგილი დაბევებული სულაც არა აქვთ, ამიტომ, არაფერს დაუთმობენ სტუმარს.

სოსო ფილიას საამმატჩოდ დასვენებული შალამბერიძე შეემატება. ალბათ, ძირითადში ვიხილავთ ღლანიძესაც.

არ არის გამორიცხული, სწორედ „ფაზისზე“ აღდგეს ეროვნული გუნდის ოდინდელი და მრავალნაცადი დუეტი, ცხადაძე — შელია. როგორც რკინიგზელებმა თქვეს, შელია სრულ მზადყოფნაშია.

ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული სტუმარ-მასპინძელში არავინაა, ჰოდა, გასარკვევს თავად ზღვისპირელები და რკინიგზელები გაარკვევენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ფანჩულიძე, ტორჩინავა, გოროზია, აკობია, ქობულაძე, შალამბერიძე, ღლანიძე, კვირკველია, ე. გვასალია, წიწიშვაძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, ზ. ლაცაბიძე, ქიქვიშვილი, კვარაცხელია, გოგიჩაიშვილი, აშიაძე, კაიდარაშვილი, რუსია





შეხვედრა წარსულთან და „კოლხეთთან“: კახა ცხადაძე, მურთაზ შელია და კახა გოგიჩაიშვილი ნაკრებში თანაგუნდელები იყვნენ და ახლაც ერთად არიან

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 19 | 16 | 1 | 2 | 35:7 | 28 | 49 | 10 | 9 | 0 | 1 | 22:3 | 19 | 27 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 18 | 13 | 3 | 2 | 30:6 | 24 | 42 | 10 | 7 | 2 | 1 | 17:4 | 13 | 23 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 45:17 | 28 | 41 | 10 | 8 | 0 | 2 | 30:7 | 23 | 24 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:10 | 5 | 17 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 19 | 9 | 6 | 4 | 26:14 | 12 | 33 | 9 | 6 | 1 | 2 | 11:2 | 9 | 19 | 10 | 3 | 5 | 2 | 15:12 | 3 | 14 |
| 5 კოლხეთი | 19 | 8 | 5 | 6 | 21:16 | 5 | 29 | 9 | 5 | 3 | 1 | 8:4 | 4 | 18 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 11 |
| 6 მერანი | 18 | 7 | 6 | 5 | 18:17 | 1 | 27 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 11 |
| 7 ბათუმი | 19 | 6 | 4 | 9 | 24:27 | -3 | 22 | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 17 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:13 | -8 | 5 |
| 8 სიონი | 19 | 5 | 4 | 10 | 13:28 | -15 | 19 | 10 | 2 | 3 | 5 | 8:13 | -5 | 9 | 9 | 3 | 1 | 5 | 5:15 | -10 | 10 |
| 9 თსუ | 19 | 5 | 3 | 11 | 19:33 | -14 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | -7 | 8 |
| 10 გორდა | 19 | 3 | 8 | 8 | 14:24 | -10 | 17 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 10 | 0 | 4 | 6 | 3:17 | -14 | 4 |
| 11 დილა | 19 | 4 | 3 | 12 | 13:35 | -22 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 2:22 | -20 | 4 |
| 12 იბერია | 19 | 0 | 3 | 16 | 3:37 | -34 | 3 | 9 | 0 | 2 | 7 | 1:17 | -16 | 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 2:20 | -18 | 1 |

თბილისი. „სინათლე“. 10 მარტი. 15 საათი

### მერანი — დინამო

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ათგზის ჩემპიონებს ახალი მოთამაშეები ჯერაც ვერ შეუმატებიათ, ისევ ფოთსა და შინ, გორელებთან ნაცადი შემადგენლობით აპირებენ ავჭალელთა ძლევას.

„მერანისთვის“ ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. სასწორზე ექვსეულში შემსვლელი ადგილია დადებული. ერთია საკითხავი — შეცვლის თუ არა ოთარ გაბელია ბოლნისში გამარჯვებულ შემადგენლობას? მწვრთნელს ხუჯაძე ხომ გამოუჯანმრთელდა და ხუციშვილიც დაემატა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მერანი:** ნაჭყებია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითაძე, ცქიფურიშვილი, ხუჯაძე, ჩხაიძე, ზაზა კვეკვესკირი, დევიძე, მინაშვილი, დ. გოდერძიშვილი
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ჩივაძე, მანჯგავა, ა. სახვაძე, ბურდული, სვანაძე, გ.გ. მიქაძე, ზირაქიშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 10 მარტი. 15 საათი

### ვიტ ჯორჯია — თსუ

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია
**დისკვალიფიცირებულნი:** ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია); ზვ. ლაბაძე, ზ. გვაზავა, მესხი (თსუ)

მცხეთაში ორი თბილისელი ძმობილი შეიყრება და, ალბათ, უფროსი დაჩაგრავს უმცროსს. „ვიტ ჯორჯია“ ზედიზედ ორი მატჩის წამგები არ გახლავთ, თანაც თსუ-ს ვიტელებისგან ნათხოვარი ზვიად გვაზავა არ ეყოლებათ, ვერც მესხსა და ზვიად ლაბაძეს ათამაშებს. მახარაძე კი გოჩაშვილს მოისაკლისებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, საჯაია, კობიაშვილი, დ. დოლიძე, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, რ. გოცირიძე, წუწუნავა, ადამია
**თსუ:** მამარდაშვილი, ბერიანიძე, ებრალიძე, ხარებავა, არეშიძე, შოშიაშვილი, ახალაძე, დათუნაიშვილი, ბეროშვილი, მურებაშვილი, ლობჟანიძე

გორი. „ცენტრალური“. 10 მარტი. 15 საათი

### დილა — ბათუმი

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი
**დისკვალიფიცირებული:** ფეხუაშვილი (დილა)

„ბათუმს“ ექვსეულში მოხვედრის შანსიც აქვს და გორშიც მოსაგებად მიდის. „დილას“ ამბავი განა საკითხავია?! ხაჩირაშვილის გუნდი, ბოლოდან მეორეა, ჰოდა, არაფრის დამთმობი რომ არ არის, ცხადია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გ. ჩიტაია, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, კოტორაშვილი, თაყაძე, ხორგუაშვილი, დ. მაისურაძე
**ბათუმი:** ქანტურია, მინდაძე, გელა ქორიძე, პაპიძე, მჟავანაძე, რომანაძე, ლლონტი, ა. მუჯირი, ტულუში, მაჭუტაძე, აფხაზავა

რუსთავი. „ფოლადი“. 10 მარტი. 15 საათი

### გორდა — ტორპედო

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა
**დისკვალიფიცირებული:** კედელაშვილი (გორდა)

რუსთავში „ტორპედო“ წამგები არ გახლავთ, ეს ფაქტია, მაგრამ სამ ქულას იოლად ვერ წამოიღებენ რიონისპირელები „ფოლადიდან“.

განახლებულ ჩემპიონატში „გორდა“ პირველად თამაშობს საკუთარი ქომაგის მხარდაჭერით და...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გორდა:** ბედიაშვილი, ბექაური, ა. გელაძე, ა. ბურნაძე, ბერიძე, მიშველიძე, კიტეიშვილი, კ. ალადაშვილი, თ. მეტრეველი, ჯულელი, ჯელაძე
**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, ვაშაკიძე, თოდუა, დიდავა, გუჩუა, ასათიანი, ჯანაშია, აშვეთია, იმედაძე

თბილისი. „შევარდენი“. 10 მარტი. 15 საათი

### იბერია — სიონი

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი
**დისკვალიფიცირებული:** ბარნოვი (სიონი)

ვერ გაძვრა „სიონი“ ექვსეულში. ახლა ბოლნისელებს ქულათა მაქსიმუმის მოგროვება სწადიათ, რათა დასკვნით ეტაპზე სხვებზე არხეინად იყვნენ. არჩვაძეს შემოდგომაზე დისკვალიფიცირებული მინდიაშვილი დაუბრუნდება, მაგრამ ბარნოვს მოისაკლისებს და მაინც, „შევარდენს“ ფავორიტად ეწვევა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იბერია:** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ნინუა, ხიზანიშვილი, გულორდავა, გაგუა, ძამაშვილი, თარგამაძე, იფქიანი
**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, სიდამონიძე, ასპინძელაშვილი, სოლოღაშვილი, მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია, ისიანი, დავითაშვილი, კ. გოგოლაძე




ქუთაისში

☎ (231) 7 17 58

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 8 მარტი

UEFA CUP

# ვაგნერი: დრამატული შემერტიშრა კამპ ნოუზე



„სელტას" მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა მსაჯისკენაც გაიწია



„ბარსელონას" პატრიკ კლუივერტის გოლებმა მოაგებინა

### ალავესი 3:0 რაიო ვალეკანო

1:0 ასკოიტია (30), 2:0 ეგენი (79), 3:0 ვუკო (80)
ალავესი: ერერა, კონტრა (კარმონა 85), ეგენი, ტელიესი, ჯელი, ასკოიტია (ივან ალონსო 60), იბონ ბეგონია, კოირა, ტომიჩი, კრუიფი, ხავი მორენო (ვუკო 76)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ალკასარი, დე კინტანა, ბალესტეროსი, მინგო (სეტვალსი 63), მულდერი, პოშნერი, კევედო (გლაუჩიო 43), მიჩელი, სემბრანოსი (ბოლიჩი 57), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ტელიესი, იბონ ბეგონია, ჯელი, ვუკო, პოშნერი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
17 500 მაყურებელი

**შეხვედრის** დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „რაიო ვალეკანო" ერთბურთიან მარცხს იკმარებდა და სამაგიეროს გადახდას შინ შეეცდებოდა. ახლა ასეთი ვარიანტი მეტად სათუოა — 0:3-დან ამოსვლა ურთულესი რამაა.

ბასკთა მწვრთნელმა ხოსე მანუელ ესნალმა თქვა: „რაიომ" ტიპიური გასვლითი სათასო თამაში შემოგვთავაზა — სოლიდური დაცვა და იშვიათი იერიშები. ჩვენ სტუმართა ამგვარი ტაქტიკა გავშიფრეთ და თამაშიც შესაბამისად ავაგეთ". ესნალმა ბოლოს სულაც მიწასთან გაასწორა მეტოქე: „3:0 ჩვენთვის ფანტასტიკური შედეგი არაა, უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება".

მადრიდელთა მწვრთნელი თავისი გუნდის შანსს რეალურად აფასებს: „საპასუხო მატჩში შევეცდებით, უკეთ ვითამაშოთ, ვნახოთ, რა გამოგვივა. დღეს რამდენიმე უხეში შეცდომა დავუშვით. ცხადია, უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა გუნდი სამი ბურთით აგებს და თამაში სასურველ შედეგამდე მიჰყავს. აი, თუნდაც „დეპორტივო", მაგრამ ასეთი მაგალითები ბევრს არაფერს ნიშნავს".

ერთიც დავუმატოთ. ნახევარფინალში „ალავესი" გავა თუ „რაიო ვალეკანო", ეს იქნება გუნდი, რომელიც ევროტურნირზე პირველად მონაწილეობს.

### ბარსელონა 2:1 სელტა

1:0, 2:0 კლუივერტი (13, 56), 2:1 კოირა (69)
ბარსელონა: რეინა, გაბრი (ალფონსო 46), რაიციგერი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა (ხავი 46), კოკუ, ზენდენი, ხერარდი (პეტი 86), ოვერმარსი, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
სელტა: პინტო, იაგო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (კოირა 46), ვაგნერი, ხაიო, კარპინი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ჯოვანელა 72), მაკკარტი (ედუ 62)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ბერიზო, ვაგნერი, გაბრი, ხუანფრანი
გაძევება: ვაგნერი (23)
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
60 000 მაყურებელი

**მიუხედავად** იმისა, რომ „სელტამ" შეხვედრის უმეტესი ნაწილი ათი კაცით ითამაშა და „ბარსელონაც" დიდი მონდომებით უტევდა, ვიგოელები დიდი სხვაობით მარცხს გადაურჩნენ, რითაც ერთი კვირის შემდეგ რევანშის აღების შანსი შეინარჩუნეს.

მასპინძელთაგან პატრიკ კლუივერტმა დუბლი შეასრულა. ძალიან კარგი მომენტები გააფუჭეს მარკ ოვერმარსმა, ფილიპ კოკუმ და იმავე კლუივერტმაც.

„სელტას" ერთი საპასუხო გოლი შეცვლაზე შესულთა დამსახურებაა. ედუ მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც პაბლო კოირამ კატალონიელ მცველთა მოუხერხებლობით ისარგებლა.

სხვათა შორის, „სელტას" გათანაბრებაც შეეძლო. მატჩის მიწურულისკენ, როცა „ბარსელონელთა" შეცდომებმა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, ვალერი კარპინმა და ალექსანდრ მოსტოვოიმ შანსები ხელიდან გაუშვეს — ოდნავ არაზუსტად დაარტყეს. აქვე შევნიშნოთ, რომ მასპინძლებს რივალდო და ლუის ენრიკე აკლდათ.

ეს მატჩი ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დამარცხებული გუნდის მწვრთნელს კრიტიკისა არ ეშინია. ვიქტორ ფერნანდესმა, რომელსაც არცთუ დიდი ხნის წინ გუნდიდან გაგდებას უპირებდნენ, თქვა — ხომ იცით, რასაც ნიშნავს „ბარსელონასთან" „კამპ ნოუზე" ათი კაცით თამაში, მით უფრო რომ მსაჯიც სცოდავდაო. ფერნანდესს ვერ გაუგია, რისთვის მიიღო ვაგნერმა პირველი ყვითელი ბარათი, ხოლო ისეთივე ჯარიმა, რომელსაც ფეხბურთელის გაძევება მოჰყვა, მოგვიანებით კოკუზეც იყო ედუს წინაალმდეგ უხეშობისთვის, მაგრამ მსაჯმა ჯიბეში ხელი არ ჩაიყოო.

ვიგოელი მწვრთნელის პრეტენზიის საპასუხოდ ლორენს სერა ფერერმა თქვა, ფერნანდესმა მსაჯს მადლობა უთხრას, ზღვარგადასული უხეშობისთვის ხუანფრანიც რომ არ გაუგდოო. საზოგადოდ კი ფერერი კმაყოფილი დარჩა, ჩვენი ბიჭები ჭკვიანურად ათამაშებდნენ ბურთსო.

### პორტუ 0:0 ლივერპული

პორტუ: ოვჩინიკოვი, სეკრეტარიუ, ანდრადე, ჟორჟე კოშტა (ალოიზიო 57), ნელსონი, შაინიუ, პაერედესი, დეკო სოუზა, ნუნუ კაპუშუ, პენა, დრულოვიჩი (კანდიდუ კოშტა 73)
მწვრთნელი: ანტონიუ ოლივეირა
ლივერპული: ვესტერფელდი, ენჩოსი, ციგე (მერფი 55), ბაბელი, კარაგერი, ჰიიპია, ჰამანი, ოუენი (ბარმბი 79), ჯერარდი, ფაულერი (მესკი 70), შმიცერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: პარედესი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
22 000 მაყურებელი

**პორტუგალიელებმა** კარგად შეისწავლეს „ლივერპულის" თამაშის სტილი. კარგად ამოკეტილ ინგლისელებს საფირმო პასები არ გამოსდიოდათ და ბურთიც ძირითადად მათ საჯარიმოში ტრიალებდა. აი, დაცვაში სტუმრები უაღრესად ფრთხილად და ორგანიზებულად ირჯებოდნენ და მეტოქეს ხეირიან საგოლე მომენტებს არ აქმნევინებდნენ.

კარგი მომენტების ჩამოთვლას ერთი ხელის თითებიც ეყოფა და ხუთივე არც დაგვჭირდება. პირველ ტაიმში სანდერ ვესტერფელდმა ბრწყინვალედ მოიგერია კარლუშ შაინიუს დარტყმული, ხოლო რობი ფაულერმა პორტუგალიელთა საჯარიმოში დაკარგული ბურთი მიიღო და ნაღდად გასატანი ხარიხას ოდნავააცილა. მეორე ტაიმში, მათ შორის ორჯერ წამატებულ დროში, პენამ და დეკო სოუზამ არანაკლები მომენტები გააფუჭეს.

საბოლოოდ „ლივერპულმა" თავისი ამოცანა შეასრულა — სტუმრად გოლი არ გაუშვა, რაც, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ვერ გაიტანა, საკმაოდ კარგი შედეგია.

ინგლისელთა მწვრთნელი ჟერარ ულიეც ფრიად კმაყოფილი დარჩა, მაგრამ შეგირდების გასაგონად თქვა, ნახევარფინალში გასვლის ნაადრევად აღნიშვნა მართებული არ იქნებაო: „პორტუგალიელებს იოლად შეუძლიათ „ენფილდზე" გოლის გატანა და გამარჯვება. ასევე ნუ დავივიწყებთ, რომ მათ გოლებიანი ფრეც ხელს აძლევთ". მწვრთნელის ასეთი სიფრთხილე, ალბათ, „რომასთან" მეოთხედფინალური მატჩების შედეგებითაა გამოწვეული, როცა „ლივერპულმა" სტუმრად 2:0 მოგების შემდეგ, ეს საკმაოდ გვარიანი უპირატესობა, შინ კინაღამ დაკარგა და ოდენ ესპანელი მსაჯის შეცდომამ იხსნა.

ულიეს სიფრთხილეს ერთი მიზეზიც აქვს — შესაძლო გადაღლა. საქმე ისაა, რომ „ლივერპულმა წინა სეზონში მხოლოდ 43 მატჩი გამართა, ამ სეზონში უკვე 45-ჯერ მოუწია მინდორზე გასვლა და ბევრი შეხვედრა კიდევ წინ აქვს.

„პორტუს" თავკაცი ანტონიუ ოლივეირა კი აშკარად უკმაყოფილო დარჩა და რისხვა უპირველესად თავდამსხმელებს დაატეხა: „ლივერპულთან" რომ ბევრი მომენტი არ გვექნებოდა, წინასწარვე ვიცოდით, ამიტომ ორი თუ სამი კარგი შესაძლებლობის გამოუყენებლობა დიდი დაუდევრობაა. საპასუხო მატჩის წინ, ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს. ლივერპულში სულ სხვა თამაში გველის და ვფიქრობ, გოლის გატანას შევძლებთ". აღვნიშნოთ, რომ რაც „პორტუმ" მარიო ჟარდელი გაყიდა, მეტოქეთა კარის დალაშქვრა ძალიან უჭირს.

### კაიზერსლაუტერნი 1:0 პსვ

1:0 კოხი (31პ)
კაიზერსლაუტერნი: ვაიდენფელერი, რამზი, ჰ. კოხი, შტრასერი, ბუკი, რატინიო, ხრისტოვი, ბასლერი, კლოსე, ლოკვენცი, მარშალი (გრამოცისი 75)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი (ფაბერი 46), ნიკიფოროვი, ჰაინცე, ფოგელი, ჰოფლანდი, დე იონგი, ლუსიუსი (ბრუგინკი 65), რომედალი, ბუმა (კოლკა 55), კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: შტრასერი, ფოგელი, ხრისტოვი, კლოსე, ბასლერი, ჰოფლანდი, კეჟმანი
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
28 000 მაყურებელი

**სათადარიგო** მეკარე რომან ვაიდენფელერის ბრწყინვალე თამაშმა „კაიზერსლაუტერნს" „პსვ ეინდჰოვენთან" მოაგებინა. ცხადია, გერმანელებს გამარჯვება ჰარი კოხის გატანილმა პენალტმა მოუტანა, რომელიც იან ჰაინცესგან ოლაფ მარშალის წაქცევისთვის დაინიშნა, მაგრამ ვაიდენფელერის ვაჟკაცობა რომ არა, პსვ ერთ გოლსაც გაქვითავდა და მეორესაც მიაყოლებდა.

ოცი წლის ვაიდენფელერს მინდორზე გასვლა ძირითადი მეკარე გეორგ კოხის ტრავმის გამო მოუხდა. საინტერესოა, რომ გეორგ კოხი ადრე „ეინდჰოვენში" თამაშობდა, ხოლო ვაიდენფელერს ამ სეზონში აქამდე მხოლოდ ერთხელ მოუხდა მინდორზე გასვლა.

მატჩის გმირად ქცევამ ახალგაზრდა მეკარე გააწითლა: „მოგება მთელი გუნდის დამსახურებაა, ხოლო გეორგი რომ ყოფილიყო, ჩემზე უკეთ ითამაშებდა".

მეკარემ როგორ იყოჩაღა, ამის აღწერას არ შევუდგებით. ვთქვათ, რომ მასპინძლებს გეორგ კოხის გარდა იური ჯორკაეფი და დანიელი პეტერსონი აკლდათ. თავის მხრივ სტუმრებს რუუდ ვან ნისტერლოოი არ ჰყავდათ, მაგრამ უფრო ხშირად და სახიფათოდ სწორედ ისინი უტევდნენ.

ბევრს ვერაფერს გახდა ერთ დროს მრისხანე მარიო ბასლერი. მასპინძელთაგან საუკეთესო, ეგვიპტელი ჰანი რამზი იყო — ცხადია, ვაიდენფელერის შემდეგ.

**გიორგი დარჯანია**

# ავსა კაცსა ავი საქმე მთავრობამაც გაურჩია

**მადრიდის** „რეალის" გულშემატკივარს, რომელმაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბარსელონასთან" მატჩში სტუმართა მეკარე ხოსე მანუელ რეინას თავში მუშტი ჩაჰკრა, ხულიგნობა ძვირად დაუსვეს — ქომაგთა კლუბიდან გარიცხეს. მან ეს ნაბიჯი ვითომ ნებაყოფლობით გადადგა, თუმცა მისი ბედი მანამდეც გარკვეული იყო და ამ ძალად ვაჟკაცმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

ამის გარდა ესპანეთის მთავრობის სპეციალურმა კომისიამ (!) „რეალს" ურჩია, დამნაშავეს ჯარიმა, 350 ათასი პესეტა გადაახდევინეთ და სამი თვით სტადიონზე მისვლა აუკრძალეთო.



ფოტობრალდება: ფეხბურთელის შეურაცხმყოფელს ნაავკაცარი არ შერჩა

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

I ჯგუფი. III ტური

როსარიო სენტრალი (არგენტინა) 2:0 ველეს სარსფილდი (არგენტინა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო სენტრალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ველეს სარსფილდი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ატლეტიკო ხუნიორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| უნივერსიტარიო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

II ჯგუფი. III ტური

პალმეირასი (ბრაზილია) 2:1 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პალმეირასი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სპორტ ბოიზი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

III ჯგუფი. III ტური

ხორხე უილსტერმანი (ბოლივია) 2:1 დეპორტეს კონსეპსიონი (ჩილე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორხე უილსტერმენი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| ნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| სან ლორენსო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| დეპორტეს კონსეპსიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

III ჯგუფი. II ტური

ყატარი 2:1 პალესტინა

1:0 ალ ნაემი (31), 1:1 ელ ქაირი (54), 2:1 მუსტაფა (65)

ჰონ კონგი 0:2 მალაიზია

0:1, 0:2 რიზალ რახლი (46, 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| მალაიზია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| პალესტინა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჰონ კონგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

*III ტური. ხვალ: პალესტინა — მალაიზია; ყატარი — ჰონ კონგი*

## რუსეთი

თასის მეოთხედფინალის წილისყრა

ანჟი (მახაჩყალა) — ტორპედო (მოსკოვი); კრილია სოვეტოვი (სამარა) — არსენალი (ტულა); სპარტაკი (მოსკოვი) — სოკოლი (სარატოვი); ლოკომოტივი (მოსკოვი) — ამკარი (პერმი)

მატჩები გაიმართება 11 აპრილს, ნახევარფინალები — 16 მაისს, ფინალი — 20 ივნისს „ლუჟნიკიზე"

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



წლეულს ზაზა ჯანაშიას სიომინმა კონკურენტები უმრავლა

# ჩემპიონი: სპარტაკი, ლოკომოტივი, ცსკა, დინამო...

**დღეს** რუსეთში ქვეყნის მეათე ჩემპიონატი იწყება. ტურნირი, რომელშიც ბევრი ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს და რომელიც გვიან შემოდგომაზე დამთავრდება.

მთავარი კითხვა ასეთია: წლეულსაც „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ საჩემპიონო ბრძოლა გაგრძელდება თუ მარაქაში სხვებიც გაერევიან? რუსი საქმის მცოდნეები ამბობენ, რომ ამ ორეულს, „ოქროსთვის“ მოსკოვისვე „დინამო“ და ცსკა შეეცილებიან..

წლევანდელი „სპარტაკი“ თავისი ახალწვეულებიანად უკვე ვნახეთ. ჯერ ესენგეს თასზე, მერე ჩემპიონთა ლიგაში. არცთუ ცუდად მომზადებულ გუნდს ადრეულ გაზაფხულზე მაინც პრობლემები შეექმნა. სამშაბათს ლონდონის „არსენალთან“ წაგების მერე მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა თქვა: „ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე, სულ უფრო ცუდად ვირჯებით. შესაძლოა, გრძელი საზამთრო შესვენების ბრალია“. მართლაც, „სპარტაკმა“ ლიგის გამო სეზონი არნახულად ადრე დაიწყო და ეს, ცხადია, ფეხბურთელების ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე აუცილებლად იმოქმედებს, თუმცა, რუსეთის კვალობაზე ისინი სხვებს მაინც ჯობიან.

მთავარი საზამთრო შენაძენი „სპარტაკისთვის“ უზბეკი თავდამსხმელი, 24 წლის ჯაფარ ირისმეტოვია, რომელიც შარშან „დუსტლიკში“ თამაშობდა და უზბეკეთის ჩემპიონატის 38 მატჩში 45 გოლი გაიტანა.. ასევე დიდად ეიმედებათ მაკედონიელი საყრდენის იგორ მიტრევსკისა და ედუარდ ციხმეისტრუკის.

ლიდერი კი კვლავ 24 წლის ეგორ ტიტოვია. სპარტაკელთა თამაშის ყველა უხილავი ძაფიც მის ხელთაა, თუმცა „არსენალთან“ ცუდად ითამაშა და რუსული მედიის ლანძღვაც მოიმკო.

თურმე, ნუ იტყვით და, „ლოკომოტივს“ „სპარტაკზე“ უკეთესი ინფრასტრუქტურა ჰქონია. თუმცა, ჩინებული საწვრთნელი ბაზა და სტადიონი, რომლის შენებაც სულ მალე დამთავრდება, რკინიგზელებს ვერაფერს უშველის, თუ ფსიქოლოგიურად „სპარტაკის“ კომპლექსი არ მოიხსნეს და არ დაიჯერეს, რომ პირველობა მათაც ხელეწიფებათ. მწვრთნელი იური სიომინი გამოსავალს ეძებს. ახალი ფეხბურთელებიც მიიყვანა: მეკარე პლატონ ზახარჩუკი სარატოვის „სოკოლიდან“, მცველი სერგეი იგნაშევიჩი სამარის „კრილიადან“, ნახევარმცველი ალექსეი კოსოლაპოვი თელ-ავივის „მაკაბიდან“, ყოფილი სპარტაკელი, შარშან რამენსკოეს „სატურნში“ მოთამაშე მაქსიმ ბუზნიკინი და ნიგერიელი ჯეიმს ობიორა შვეიცარიული „გრასჰოპერიდან“. გუშინწინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს სამხრეთაფრიკელ მცველ ჯეიკობ ლხეტოსთანაც, ხოლო ბელარუსი თავდამსხმელი სერგეი ციბული თითქმის ორი თვეა გუნდშია.

აი, ასეთია სიომინის არჩევანი. ზაზა ჯანაშიას კი, რომელიც ბოლო ცნობებით, კარგ ფორმაშია, კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევს, რათა ძირითადში ადგილი არ დაკარგოს. გუნდის კაპიტანი იგორ ჩუგაინოვი ამბობს: „თავდასხმაში მართლაც დიდი კონკურენციაა, დღეისათვის ერთი მაქსიმ ბუზნიკინია, ვინც სხვებზე უკეთ გამოიყურება, დანარჩენებს კი, ვთქვათ ჯანაშიას და პიმენოვის არჩევის ამბავი მწვრთნელის გადასაწყვეტია“.

ამბიციები მოსძალებია „დინამოსაც“. მწვრთნელი ვალერი გაზაევი მიიჩნევს, რომ „თეთრ-ცისფერებს“ საჩემპიონო მარათონში ჩართვა ძალუძთ.

„დინამოს“ ლიდერები ძლივს შენარჩუნებული როლან გუსევი და სამხრეთ ოსეთში გაზრდილი სპარტაკ გოგნიევი არიან. ახალწვეულთაგან კი აღსანიშნავია „ალანიიდან“ გერმან კუტარბას და დარიუს ჟუტაუტასის გადასვლა, აგრეთვე ბოლო წუთს განაცხადში ვეტერანი ახრიკ ცვეიბას შეყვანა.

გაზაევმა „დინამოში“ ჩარიცხა 19 წლის დავით ლორიაც. ეს ლორია მანამდე ყაზახურ „ჟენისში“ თამაშობდა და ერთობ პერსპექტიულ მეკარედ მიიჩნევენ. „ჟენისის“ პრეზიდენტი კი მამამისი გრიგოლი გახლავთ.

ჩემპიონატისთვის ცსკა-ც სერიოზულად მოემზადა. არმიელებთან მთავარი ამბავი ისაა, რომ ხელმძღვანელები შეიცვალეს, ახალი, შეძლებული პატრონი იშოვეს და მწვრთნელ პაველ სადირინსაც მეტი აღარაფერი დარჩენია, თუ არა ფეხბურთზე ფიქრი და გუნდის დამოძღვრა. სადირინის თქმით, სერგეი სემაკთან და ვლადიმირ კულიკთან ერთად, ცსკა-ს კარგი პერსპექტივა აქვს.

ვლადიკავკაზის „ალანია“ უეფას ზონას უმიზნებს. მოგეხსენებათ, ამ ზამთარს გუნდთან ერთად რამდენიმე ქართველი ფეხბურთელიც ვარჯიშობდა, მაგრამ არც შელიასთან, არც ქარდავასთან და არც წერეთელთან კონტრაქტი რატომღაც არ გააფორმეს. ახლა ოსთა გუნდში მხოლოდ ერთი ჩვენებური — თორნიკე რუხაძეა. „ალანიას“ დაახლოებით 5 მილიონი დოლარი ვალი ჰქონია. კლუბის პრეზიდენტი სერგეი ტაკოევი კი ამბობს: „პრემიალურების გაცემის ახალ სისტემას შემოვიღებთ. თანხის ნაწილს მოთამაშეები კონკრეტული თამაშისთვის მიიღებენ, ხოლო მეორე ნაწილს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასახულ მიზანს — უეფას თასის საგზურს მოიპოვებენ“.

ახალ სეზონში ჩვენთვის საინტერესო იქნება უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, სარატოვის „სოკოლის“ ამბებიც. იქ ხომ ორი ექს-ტორპედოელი, ვახტანგ ხვადაგიანი და ზურაბ იონანიძე ითამაშებენ. სხვათა შორის, „სოკოლის“ პრეზიდენტიც ქართველია — რომან ფიფია.

დღეს კი, პირველი ტურია.

**სოლომონ გულისაშვილი**

## რუსეთის 2001 წლის ჩემპიონატის კალენდარი

### პირველი წრე

**I ტური. 10 მარტი**

ჩერნომორეცი - ცსკა
(ნოვოროსიისკი) (მოსკოვი)
სპარტაკი - სოკოლი
(მოსკოვი) (სარატოვი)
როტორი - ზენიტი
(ვოლგოგრადი) (ს-ტ პეტერბურგი)
როსტსელმაში - ლოკომოტივი
(როსტოვი) (მოსკოვი)
ტორპედო ზილ - ანჟი
(მოსკოვი) - (მახაჩყალა)
სატურნი - ალანია
(მოსკოვი) - (ვლადიკავკაზი)
ფაკელი - ტორპედო
(ვორონეჟი) - (მოსკოვი)

11 მარტი

დინამო - კრილია
(მოსკოვი) - (სამარა)

**II ტური. 17 მარტი**

ჩერნომორეცი - სპარტაკი
ტორპედო - დინამო
ალანია - ფაკელი
ანჟი - სატურნი
ლოკომოტივი - ტორპედო ზილ
ზენიტი - როსტსელმაში
სოკოლი - როტორი
ცსკა - კრილია

**III ტური. 31 მარტი**

სპარტაკი - ცსკა
როტორი - ჩერნომორეცი
როსტსელმაში - სოკოლი
სატურნი - ლოკომოტივი
ფაკელი - ანჟი
დინამო - ალანია
კრილია - ტორპედო

1 აპრილი

ტორპედო ზილ - ზენიტი

**IV ტური. 6 აპრილი**

ცსკა - ტორპედო

7 აპრილი

ჩერნომორეცი - როსტსელმაში
სპარტაკი - როტორი
ალანია - კრილია
ანჟი - დინამო
ლოკომოტივი - ფაკელი
ზენიტი - სატურნი
სოკოლი - ტორპედო ზილ

**V ტური. 13 აპრილი**

ტორპედო ზილ - ჩერნომორეცი

14 აპრილი

როტორი - ცსკა
როსტსელმაში - სპარტაკი
სატურნი - სოკოლი
ფაკელი - ზენიტი
დინამო - ლოკომოტივი
კრილია - ანჟი
ტორპედო - ალანია

**VI ტური. 18 აპრილი**

ჩერნომორეცი - სატურნი
სპარტაკი - ტორპედო ზილ
როტორი - როსტსელმაში
ანჟი - ტორპედო
ლოკომოტივი - კრილია
ზენიტი - დინამო
სოკოლი - ფაკელი
ცსკა - ალანია

**VII ტური. 28 აპრილი**

როსტსელმაში - ცსკა
სატურნი - სპარტაკი
ფაკელი - ჩერნომორეცი
დინამო - სოკოლი
კრილია - ზენიტი
ტორპედო - ლოკომოტივი
ალანია - ანჟი

29 აპრილი

ტორპედო ზილ - როტორი

**VIII ტური. 5 მაისი**

ჩერნომორეცი - დინამო
სპარტაკი - ფაკელი
როტორი - სატურნი
როსტსელმაში - ტორპედო ზილ
ლოკომოტივი - ალანია
ზენიტი - ტორპედო
სოკოლი - კრილია

6 მაისი

ცსკა - ანჟი

**IX ტური. 12 მაისი**

სატურნი - როსტსელმაში
ფაკელი - როტორი
დინამო - სპარტაკი
კრილია - ჩერნომორეცი
ტორპედო - სოკოლი
ალანია - ზენიტი
ანჟი - ლოკომოტივი
ტორპედო ზილ - ცსკა

**X ტური. 19 მაისი**

ჩერნომორეცი - ტორპედო
სპარტაკი - კრილია
როტორი - დინამო
როსტსელმაში - ფაკელი
ტორპედო ზილ - სატურნი
ზენიტი - ანჟი
სოკოლი - ალანია

20 მაისი

ცსკა - ლოკომოტივი

**XI ტური. 25 მაისი**

ლოკომოტივი - ზენიტი

26 მაისი

სატურნი - ცსკა
ფაკელი - ტორპედო ზილ
დინამო - როსტსელმაში
კრილია - როტორი
ტორპედო - სპარტაკი
ალანია - ჩერნომორეცი
ანჟი - სოკოლი

**XII ტური. 10 ივნისი**

ჩერნომორეცი - ანჟი
სპარტაკი - ალანია
როტორი - ტორპედო
როსტსელმაში - კრილია
ტორპედო ზილ - დინამო
სატურნი - ფაკელი
სოკოლი - ლოკომოტივი

11 ივნისი

ცსკა - ზენიტი

**XIII ტური. 16 ივნისი**

ფაკელი - ცსკა
დინამო - სატურნი
კრილია - ტორპედო ზილ
ტორპედო - როსტსელმაში
ალანია - როტორი
ანჟი - სპარტაკი
ლოკომოტივი - ჩერნომორეცი
ზენიტი - სოკოლი

**XIV ტური. 24 ივნისი**

ჩერნომორეცი - ზენიტი
როტორი - ანჟი
როსტსელმაში - ალანია
ტორპედო ზილ - ტორპედო
სატურნი - კრილია
ფაკელი - დინამო
ცსკა - სოკოლი

25 ივნისი

სპარტაკი - ლოკომოტივი

**XV ტური. 30 ივნისი**

კრილია - ფაკელი
ტორპედო - სატურნი
ალანია - ტორპედო ზილ
ანჟი - როსტსელმაში
ლოკომოტივი - როტორი
ზენიტი - სპარტაკი
სოკოლი - ჩერნომორეცი
ცსკა - დინამო

### მეორე წრე

**XVI ტური. 11 ივლისი**

სპარტაკი - ჩერნომორეცი
ფაკელი - ალანია
სატურნი - ანჟი
ტორპედო ზილ - ლოკომოტივი
როსტსელმაში - ზენიტი
როტორი - სოკოლი
კრილია - ცსკა

12 ივლისი

დინამო - ტორპედო

**XVII ტური. 18 ივლისი**

ცსკა - სპარტაკი
ჩერნომორეცი - როტორი
სოკოლი - როსტსელმაში
ზენიტი - ტორპედო ზილ
ლოკომოტივი - სატურნი
ანჟი - ფაკელი
ალანია - დინამო
ტორპედო - კრილია

**XVIII ტური. 22 ივლისი**

როსტსელმაში - ჩერნომორეცი
როტორი - სპარტაკი
კრილია - ალანია
დინამო - ანჟი
ფაკელი - ლოკომოტივი
სატურნი - ზენიტი
ტორპედო - ცსკა

23 ივლისი

ტორპედო ზილ - სოკოლი

**XIX ტური. 27 ივლისი**

სპარტაკი - როსტსელმაში

28 ივლისი

ცსკა - როტორი
ჩერნომორეცი - ტორპედო ზილ
სოკოლი - სატურნი
ზენიტი - ფაკელი
ლოკომოტივი - დინამო
ანჟი - კრილია
ალანია - ტორპედო

**XX ტური. 4 აგვისტო**

სატურნი - ჩერნომორეცი
ტორპედო ზილ - სპარტაკი
როსტსელმაში - როტორი
ტორპედო - ანჟი
კრილია - ლოკომოტივი
ფაკელი - სოკოლი
ალანია - ცსკა

5 აგვისტო

დინამო - ზენიტი

**XXI ტური. 11 აგვისტო**

ცსკა - როსტსელმაში
როტორი - ტორპედო ზილ
სპარტაკი - სატურნი
ჩერნომორეცი - ფაკელი
სოკოლი - დინამო
ზენიტი - კრილია
ლოკომოტივი - ტორპედო
ანჟი - ალანია

**XXII ტური. 18 აგვისტო**

დინამო - ჩერნომორეცი
ფაკელი - სპარტაკი
სატურნი - როტორი
ალანია - ლოკომოტივი
ტორპედო - ზენიტი
კრილია - სოკოლი
ანჟი - ცსკა

19 აგვისტო

ტორპედო ზილ - როსტსელმაში

**XXIII ტური. 24 აგვისტო**

ცსკა - ტორპედო ზილ

25 აგვისტო

როსტსელმაში - სატურნი
როტორი - ფაკელი
სპარტაკი - დინამო
ჩერნომორეცი - კრილია
სოკოლი - ტორპედო
ზენიტი - ალანია
ლოკომოტივი - ანჟი

**XXIV ტური. 16 სექტემბერი**

კრილია - სპარტაკი
დინამო - როტორი
ფაკელი - როსტსელმაში
სატურნი - ტორპედო ზილ
ანჟი - ზენიტი
ალანია - სოკოლი
ლოკომოტივი - ცსკა

17 სექტემბერი

ტორპედო - ჩერნომორეცი

**XXV ტური. 22 სექტემბერი**

ცსკა - სატურნი
ტორპედო ზილ - ფაკელი
როსტსელმაში - დინამო
როტორი - კრილია
სპარტაკი - ტორპედო
ჩერნომორეცი - ალანია
სოკოლი - ანჟი
ზენიტი - ლოკომოტივი

**XXVI ტური. 30 სექტემბერი**

ანჟი - ჩერნომორეცი
ალანია - სპარტაკი
ტორპედო - როტორი
კრილია - როსტსელმაში
დინამო - ტორპედო ზილ
ფაკელი - სატურნი
ლოკომოტივი - სოკოლი
ზენიტი - ცსკა

**XXVII ტური. 9 ოქტომბერი**

ცსკა - ფაკელი
სატურნი - დინამო
ტორპედო ზილ - კრილია
როსტსელმაში - ტორპედო
როტორი - ალანია
ჩერნომორეცი - ლოკომოტივი
სოკოლი - ზენიტი

10 ოქტომბერი

სპარტაკი - ანჟი

**XXVIII ტური. 21 ოქტომბერი**

ზენიტი - ჩერნომორეცი
ლოკომოტივი - სპარტაკი
ანჟი - როტორი
ალანია - როსტსელმაში
კრილია - სატურნი
დინამო - ფაკელი
სოკოლი - ცსკა

22 ოქტომბერი

ტორპედო - ტორპედო ზილ

**XXIX ტური. 27 ოქტომბერი**

ჩერნომორეცი - სოკოლი
სპარტაკი - ზენიტი
როტორი - ლოკომოტივი
როსტსელმაში - ანჟი
ტორპედო ზილ - ალანია
სატურნი - ტორპედო
ფაკელი - კრილია
დინამო - ცსკა

**XXX ტური. 4 ნოემბერი**

ცსკა - ჩერნომორეცი
სოკოლი - სპარტაკი
ზენიტი - როტორი
ლოკომოტივი - როსტსელმაში
ანჟი - ტორპედო ზილ
ალანია - სატურნი
ტორპედო - ფაკელი
კრილია - დინამო

# მოგესალმით იტალია!

## სილვიო ბერლუსკონის ფეხბურთი და „მილანი“ ეცოტავა



**იტალიური** „მილანის“ მფლობელმა, მილიონერმა სილვიო ბერლუსკონიმ, სენსაციური განცხადება გააკეთა: ახლა ფეხბურთი და „მილანი“ არ მადარდებს, კვლავ იტალიის პრემიერ-მინისტრობას ვაპირებო. შეგახსენებთ, რომ ბერლუსკონი ამ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების შეფი ადრეც გახლდათ.

— დავიღალე, კლუბის პრეზიდენტობამ და „მილანის“ საშინაო თუ საგარეო საქმიანობის გაძღოლამ, შესაძლოა, ხელიც კი შეუშალოს ჩემს, დიდ პოლიტიკურ კარიერას. ყოველივე ამას „მილანის“ უხეირო და მეტიც, უსუსური თამაშიც ხელს უწყობს. ჟურნალისტებიც იმიტომ მოგიწვიეთ, რომ გითხრათ, „მილანზე“ არ მსურს საუბარი. კლუბი ნაკლებად მაინტერესებს და დღესდღეობით მასზე არც ვფიქრობ. უმთავრესი საზრუნავი ჩემთვის ახლა პოლიტიკაა, მინდა, ერმა კვლავაც პრემიერ-მინისტრად მიხილოს — განაცხადა ბერლუსკონიმ.

დონ სილვიოს განცხადებას სხვა პოლიტიკოსებმაც ცეცხლზე ნავთი დაასხეს და ურჩიეს, უმჯობესია, ფეხბურთს მართლა შეეშვა და პოლიტიკას საფუძვლიანად მიხედოო.

გაიგეს თუ არა „მილანის“ ფეხბურთელებმა პრეზიდენტის გულისნადები, შეფიქრიანდნენ. მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ კი ბიჭებს უთხრა, აჯობებს, ბერლუსკონის წასვლა-არწასვლაზე ფიქრს თავი დავანებოთ და „დეპორტივოსთან“ სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩზე ვიფიქროთო — ჩვენი საქმე პოლიტიკა არ გახლავთ, აჯობებს, თამაში და შედეგი გამოვასწოროთ. ახლა „ატალანტასთან“ („მილანი“ ბერგამოში „ატალანტას“ დღეს ეთამაშება) და „დეპორტივოსთან“ აუცილებლად უნდა მოვიგოთ — მოუჭრა ძაკერონიმ შეგირდებს.

თუკი ბერლუსკონი გუნდიდან მართლაც წავიდა, მისი 15-წლიანი მოღვაწეობაც „მილანში“ დასრულდება. ამ ხნის მანძილზე იტალიურმა სუპერკლუბმა უამრავი ტიტული მოიგო, იტალიის ჩემპიონობიდან დაწყებული, საკონტინენტთაშორისო თასით დამთავრებული. რაც ყველაზე მთავარია, სწორედ ბერლუსკონის პრეზიდენტობისას, 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანის დასაწყისში, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ფეხბურთის ჩვენებით და შედეგიანობით გაითქვა სახელი „მილანმა“.

ისე, კაცმა რომ თქვას, ბოლო დროს ბერლუსკონის კლუბისთვის მართლაც რომ არ სცხელოდა. „მილანის“ საქმეებს ვიცე-პრეზიდენტი და სინიორ სილვიოს მარჯვენა ხელი ადრიანო გალიანი განაგებდა.

გალიანიმაც ერთი საქმე გუშინწინ მოაგვარა — ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ როგორც იქნა, დაიყოლია ალბერტო ძაკერონის შემცვლელი, თურქი ფათიჰ თერიმი, „გალათასარაისა“ და „ფიორენტინას“ ყოფილი თავკაცი. თურქი „მილანს“ ახალი სეზონიდან გაწვრთნის.

— თერიმი გააფორმებს კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც მისი წლიური ანაზღაურება 2 მილიონი დოლარი იქნება, ხოლო რა ვადით იქნება ხელშეკრულება, ამას კლუბის მიერ ნაჩვენები შედეგი განსაზღვრავს. ამასთანავე თერიმს გუნდში მხოლოდ ერთი თანაშემწის მოყვანა შეეძლება თავისი ყოფილი სამწვრთნელო შტაბიდან (ცნობისთვის, თურქს „ფიორენტინაში“ მუშაობისას 20 (!) თანაშემწე ჰყავდა) — განაცხადა გალიანიმ.

ვინ იქნება თერიმის მილანელი თანაშემწე? ალბათ, უფრო ერქასათ მუფიტი, რომელიც თერიმს „გალათასარაიშიც“ ეხმარებოდა და „ფიორენტინაში“. ამასთანავე თურქს „მილანის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი მაურო ტასოტიც დაეხმარება. და ძაკერონი? იგი გუნდიდან წავა, თუმცა უმუშევარი ალბათ არ დარჩება. მისი გადაბირება მილანის „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის უკვე რა ხანია, სურს.

**გიორგი ვაჩნაძე**

# ნედვედი წასვლამდე ალაპარაკდა

**ჩეხი** ნახევარმცველი პაველ ნედვედი რომის „ლაციოდან“ წასვლაზე ალაპარაკდა. „აქამდე გუნდის მიტოვებაზე არ მიფიქრია, მაგრამ სეზონის ბოლოს უნდა გავარკვიო, დავრჩები თუ არა რომში“ — განაცხადა ჩეხმა. მისმა სიტყვებმა ბევრი გააოცა, რადგან ნედვედი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, თან მის შეძენის სურვილს ადრე „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“ და სხვა კლუბებიც გამოთქვამდნენ, თუმცა „ლაციომ“ ფეხბურთელი არ გაყიდა, ნედვედი გუნდში თავისივე სურვილით დარჩა.

ნედვედი „ლაციოში“ თითქმის ხუთი წელია, თამაშობს. რომაულ კლუბს იგი ევრო 96-ის დასრულების შემდეგ პრაღის „სლავიადან“ შეუერთდა, შარშან კი „ლაციოს“ შემადგენლობაში იტალიური დუბლი შეასრულა — ჩემპიონი გახდა და ქვეყნის თასი მოიგო.

ჩეხმა ჯერ თავად არ იცის, წავა თუ არა „ლაციოდან“, ამ სეზონს კი, ცხადია, „სტადიო ოლიმპიკოზე“ ჩაატარებს. ამიტომ მან იმავდროულად რომაული კლუბის წლევანდელ მომავალზე ილაპარაკა. „წინა ტურში „ბრეშასთან“ არცთუ ძლიერად ვითამაშეთ. თუმც მთავარია, რომ მოვიგეთ. კვლავაც ასე უნდა გავაგრძელოთ, რათა ლიდერ „რომას“ წამოვეწიოთ. ჩემი აზრით, იტალიის ჩემპიონობის ფავორიტი „იუვენტუსია“. მიუხედავად იმისა, რომ „რომას“ ჩამორჩება, კარლო ანჩელოტის წლეულს სწორედ საჩემპიონო გუნდი ჰყავს“.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა



აი, პადკა ტი!

## საფეხბურთო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

პადკატი — რუსულიდან მოდის: „პადკა ტი", დაახლოებით შე დამპალოს ნიშნავს

აფსაიტი — მოშარდვასთანაა დაკავშირებული

აუტი — რუსულიდან მოდის: „აუ ტი". დაახლოებით „აუ, შენ რა გოიმი ყოფილხარ" ან „სადა ბანაობ, ძმაო"-ს ნიშნავს

გასახდელი — თავისუფლად შეიძლებოდა ამ სიტყვის ნაცვლად სიტყვა „ჩასაცმელი" ან „გამოსაცვლელი" დამკვიდრებულიყო, მაგრამ ეროვნულმა იმპულსებმა თავისი გაიტანეს.

მსაჯმა დამწვა, ტო — აქ, სიტყვა „ტო" აუცილებელია, პროფესიონალიზმზე მიუთითებს. მსაჯმა დამწვა, პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ესე, იგი მთქმელი დამწვრობის ცენტრში ყვება ამბავს.

იმენნა შეასრულა — გაუგებარი წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს ბურთის მარცხენა ფეხით მიღებას, მეურვისთის კორპუსის ჩადგმას, მის ჩამოტოვებას, საჯარიმოს კიდემდე მირბენას, მეორე მოწინააღმდეგისთვის ბურთის მარჯვენა ფეხით ფეხებს შორის გატარებას, ორი ნაბიჯით წინ წასვლას, მესამე მეტოქის დაჯახების გამო წაბარბაცებას, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებას, კიდევ ორი ნაბიჯით წინ წასვლას, ამ დროს იმის შემჩნევას, რომ მეკარე ორი ნაბიჯით წინაა გამოსული, ხოლო შენი თანაგუნდელი თამაშგარე მდგომარეობაშია და ეს თანამსაჯმა იცის, ამიტომ ბურთის ისევ მარცხენა ფეხთან დაბრუნებას, თანაგუნდელისთვის პასის არ-მოწოდებას, მითუფრო, რომ ამას არც აპირებდა და პარაბოლური ტრაექტორიით დარტყმულის კარში გატანას.

დასტრახვა — ჟღერადობით ძალიან ჰგავს „შე ახვაროს", თუმცა ამ შემთხვევაში არაფერ შუაში უნდა იყოს.

პასი — თვლის ასობითი სისტემაა: პასი, პორასი, პსამასი, პოთხასი...

ლიგა — თუ არ ვცდებით, სექსოპათოლოგიის ცენტრია

ცხრიანი — ციფრია რვიანის შემდეგ

მეჟდუნოგი — რუსულ ქართულია: „მე ჟდუ ნოგი" ანუ ნოგის ველოდები. აქ, გაურკვეველია ვინ არის ნოგი. არაა გამორიცხული საქმე ელემენტარულ კორექტულ შეცდომასთან გვქონდეს და ნოგის მაგივრად გოგი უნდა იყოს. მაშინ ყველაფერი ნათელია — ესაა მრავალჯერ მოსმენილი განცხადება: „ბატონ გიორგის (გვარიც უნდა) სასწრაფოდ ელოდებიან სტადიონის დირექციასთან! ვიმეორებთ, ბატონ გოგის (გვარიც უნდა) სასწრაფოდ ელოდებიან სტადიონის დირექციასთან!"

პადსებია — ესაა სიტყვა, რომელსაც პირიქით თუ წაიკითხავთ, გამოვა აიბესდაპ.

ჩერეზ სებია — იხ. მაკრატელა

მაკრატელა — იხ. ჩერეზ სებია

ჟოლტი — რუსული შემოკლებაა. სრულად: პაშოლ ტი...

კრასნი — კომპარტიის აქციაა მოთხოვნით: დაუყოვნებლივ აღდგეს საბჭოთა კავშირი 1951 წლის მოდელით

მწვრთნელი — ქართული სიტყვაა ზედიზედ ექვსი თანხმოვნით. კიდევ ერთი-ორი თანხმოვანი რომ ჩაგვემატებინა, არაფერი დაშავდებოდა, თუკი ამას გამოვთქვამთ, იმასაც ვიტყოდით.

მეკარე — შენ კარე, ის კარე, ჩვენ კარე, თქვენ კარე, ისინი კარე

მცველი — ნახევარმცველზე ორჯერ მაღალი ახალგაზრდა

აპორნი — აპსამნი, აპოთხნი, აპხუთნი... ათზე მეტი არ შეიძლება, ერთიც ხომ მეკარე უნდა იყოს

**ბაბუნა ძიდია**

**უძრავი სტრიქონი: ბაბუნა, გამაგრდი. ადრე თუ გვიან ესენი წავლენ! შენი ბაბუნა!**



ჯერ ყვითელი, მერე წითელი

# იყო... არ იყო... იყო...

## უეფამ ცოდვა-მადლის სასწორი დაიჭირა

**გუშინწინ** უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა თქვა, რაულის საქციელი ფეირ პლეის წმიდათაწმინდა პრინციპს არღვევს და საკადრისად უნდა დაისაჯოსო. შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია „რეალი" — „ლიდსის" სალიგო მატჩში მადრიდელი ვარსკვლავის ხელით გატანილ გოლზე.

აზრი სამ ნაწილად გაიყო. ერთნი რაულს ამტყუნებენ და მის დასჯას მოითხოვენ. მეორენი ამტკიცებენ, რომ რაულს ხელით არ უთამაშია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი აბსოლუტურ უმცირესობაში არიან. მეტიც, ერთადერთი კაცი, თავად რაული ამტკიცებს ამას. მესამე ჯგუფი კი ისაა, რომელიც ამბობს, მართალია, რაულმა ხელით გაიტანა, მაგრამ არ უნდა დავსაჯოთო.

ამ ჯგუფს წარმოადგენს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც სათანადო წერილი გაუგზავნია უეფას შტაბ-ბინაში, ხოლო მის წარმომადგენელს პირადად უსაუბრია გერჰარდ აიგნერთან.

ფედერაცია რაულის გასამართლებლად ერთ ფრიად სერიოზულ საბუთს იშველიებს, რაული შვიდი წლის მანძილზე, რაც დიდ ფეხბურთს თამაშობს, მხოლოდ ცამეტჯერ გაუფრთხილებიათ და ერთი წითელი ბარათიც არ მიუღიაო.

რაულს „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომაც წააშველა სიტყვა: „იგი ნაღდი სპორტსმენის ჩინებული მაგალითია და მისი რეპუტაცია არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ. ახლა კი გვსურს, რომ მის ღირსეულ სახელს ერთი ხელის მოსმით ხაზი გადავუსვათ. არადა, მთელი მსოფლიოს სტადიონებზე ყოველდღიურად უარესი ამბები ხდება, რასაც ნაკლები ყურადღება ეთმობა, რაული კი რატომღაც სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. ეს უსამართლობაა".

ბოლოს გავიხსენოთ, რომ უეფა ლუიშ ფიგუსაც უპირებს დასჯას, რადგან ეჭვობენ, რომ პორტუგალიელმა იმავე მატჩში მსაჯს შეგნებულად დასტყუა ყვითელი ბარათი. თანაგუნდელს თავდებად რაული უდგება: „ლუიშს ასეთი რამეები არ სჩვევია. თამაშის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს და უზარმაზარი დაძაბულობისგან ფეხბურთელმა ისეთი რამ გააკეთოს, რაც ნორმალურ პირობებში გაუგებარია".



რაული და ფიგუ განაჩენს ელიან

# ნევილის სიტყვას ოქროს ფასი ადევს

**იანვარში** „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ვესტ ჰემის" მატჩში, რომელიც ლონდონელებმა პაოლო დი კანიოს ერთადერთი გოლით მოიგეს, უსიამოვნო ეპიზოდიც იყო — გარი ნევილი თანამსაჯს მიეჭრა და აგინა.

გავიხსენოთ, მანჩესტერელებს და მათ შორის მეკარე ფაბიენ ბარტეზსაც თამაშგარე ეგონათ, დი კანიომ მსაჯს გახედა, რომლის სასტვენიც დუმდა და გაიტანა. სწორედ ეს ეპიზოდი გააპროტესტეს მასპინძლებმა, ხოლო ტყუპისცალი ნევილი ყველაზე შორს წავიდა და როგორც ალვნიშნეთ, თანამსაჯს აგინა, ალამი უნდა აგეწიაო.

ასეთი ფაქტები, როგორც წესი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას არ ეპარება ხოლმე და საქმე გუშინ სადისციპლინო კომიტეტში გაირჩა. გარი ნევილი უწესოდ მოიქცა და უნდა დაისაჯოსო, ითქვა ასოციაციაში და ფეხბურთელს სასჯელიც დააკისრეს — 28 ათასი გირვანქა ჯარიმად და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია.

თავად ფეხბურთელი საქმის გარჩევას არ ესწრებოდა და მას კლუბის ადვოკატი სკოტ დეკსბერი წარმოადგენდა. აი, მისი კომენტარიც: „შოკირებულნი ვართ. არსენალელ პატრიკ ვიეირას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს იმისთვის, რომ ოლივიე დაკურს თავში ფეხი ჩასცხო, ნევილის კი გინებისთვის ძალიან მკაცრად დასაჯს. ასეთი უსამართლობის მომსწრე არ ვარ. კომიტეტის გადაწყვეტილებას აუცილებლად გავაპროტესტებთ."

აღშფოთებულია თავად ფეხბურთელიც: „ვინ არ იგინება?! ჯანდაბას, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოეცათ, ესეც მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ ასეთი სასჯელი?"



გარი ნევილი



გიო ახვლედიანის

## სვეტი

# რაულის ხელი

**ხელით ვის არ გაუტანია გოლი? ღმერთის ხელიო, ესეც ხომ გვახსოვს.**

**რაულ გონსალესი, დღევანდელობის ერთ-ერთი ვარსკვლავი ამბობს, „ლიდსთან" მატჩში ისე სწრაფად დავარტყი ბურთს, რომ არც კი მახსოვს, თავი დავარტყი, კისერი თუ ხელიო. იმ შეხვედრის პოლონელი მსაჯი რიხარდ ვოიჩიკი კი დადის და ბოდიშებს იხდის, ვერ დავინახე, რომ ხელი იყოო.**

**ხელი იყო, მაშ რა.**

**რაულმა თურმე ისე სწრაფად დაარტყა, რომ ვერც დაიმახსოვრა, მერე კი გახარებული გამოქანდა.**

**ყველაზე მძიმე საცქერი ამ შემთხვევაში, სწორედ ფეხბურთელის სიხარულია. მაგრამ დღევანდელი ფეხბურთის ადათები იქეთკენ წასულა, რომ მისი ერთ-ერთი დაუწერელი კანონი, კანონი ჯენტლმენობისა, ბურთი მოწინააღმდეგეს უნდა დაუბრუნო, რახანღა იგი, თავისი ნებით, შენს სასარგებლოდ შეელია მას. თუმცა, ამ წესსაც... მაგალითად, კვანკვო კანუმ ისე მოიგო ჩემპიონთა თასი და ოლიმპიური ოქრო, რომ ამ წესის არსებობა არც კი გაუგია, ჰოდა „არსენალ" — „შეფილდ იუნაიტედის" სათასო მატჩში ალალად დასაბრუნებელი ბურთი არ დააბრუნა და ამ ამბავს კი გოლი მოჰყვა. მაშინ ინგლისში ერთი ამბავი ატყდა და გადათამაშებაც კი დაინიშნა.**

**ეს უპრეცედენტო გადათამაშება სწორედ ის მხარდაჭერაა, მინავლულ ჯენტლმენურ სულს რომ შეანჯღრევს და მაგალითს აძლევს სხვებს. მაგრამ ამგვარი მშვენიერი ნაბიჯი გრძელვადიან შედეგს ვერ მოიტანს, რაშიც ლამის ყოველ თამაშში ვრწმუნდებით.**

**ჯენტლმენობა წესი აღარ არის, მაგრამ მაინც გვხვდება მინდორზე.**

**ჯენტლმენობა თავს არ მალავს და წამიერ აფეთქებით გაანათებს ხოლმე მინდორს: განსაკუთრებით, ჯენტლმენობისა და ფეხბურთის საქციელში. საფეხბურთო კეთილშობილება ისეთ მოთამაშეთაგან გამოხეთქავს ხოლმე, რომლებიც დიდ ჯენტლმენებად არა გვცნობია. გაიხსენეთ, პაოლო დი კანიოს ამასწინანდელი საქციელი „ევერტონთან" მატჩში, როცა მან კარის წინ ხელში დაიჭირა ბურთი, როცა მერსისაიდელთა დაშავებული მეკარე დაინახა. ანდა, როგორ უხსნიდა რობი ფაულერი „არსენალ" — „ლივერპულის" მატჩში მსაჯს, არავის წავუქცევივარ, პენალტი არ არისო და მერე როგორ არ გაიტანა ეს პენალტი.**

**ეს ამბები არა მხოლოდ ალამაზებს ფეხბურთს, არამედ სჭირდება კიდეც.**

**სჭირდება ისიც, რომ რაულმა მსაჯს უთხრას, ხელით გავიტანეო.**

**სჭირდება, მაგრამ სადაა...**

**თორემ ხელით ვის არ გაუტანია? გაუტანია და არც შეუმჩნევია, დღემდე არ იშჩნევს, ღმერთის ხელიაო.**

**ოდესღაც ჯენტლმენობა კანონი იყო. დღეს მხოლოდ იშვიათი ხილია.**

## იტალია

პაატა კადია



ოლივერ ბირჰოფს „ატალანტა" ერგო: პირველ წრეში ბერგამოელებს რომ უმასპინძლა, მერე კარგა ხანს დაისვენა, დღეს კი მათი სტუმარი იქნება

# რა დროს ცოლ-შვილია?!

## სად „მილანი", სად ლობანოვსკი და სად თერიმი

**XXII ტური**

**დღეს**

ატალანტა — მილანი
ვიჩენცა — ნაპოლი

**ხვალ**

პარმა — ბარი
რომა — ბრეშა
პერუჯა — ფიორენტინა
ბოლონია — ლაციო
იუვენტუსი — რეჯინა
ლეჩე — უდინეზე
ინტერი — ვერონა

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 21 | 16 | 3 | 2 | 41:16 | 51 |
| იუვენტუსი | 21 | 13 | 6 | 2 | 38:15 | 45 |
| ლაციო | 21 | 13 | 4 | 4 | 40:23 | 43 |
| პარმა | 21 | 9 | 6 | 6 | 31:20 | 33 |
| ატალანტა | 21 | 8 | 8 | 5 | 24:18 | 32 |
| მილანი | 21 | 7 | 8 | 6 | 32:34 | 29 |
| პერუჯა | 21 | 8 | 5 | 8 | 26:28 | 29 |
| ინტერი | 21 | 7 | 7 | 7 | 25:25 | 28 |
| უდინეზე | 21 | 9 | 1 | 11 | 34:35 | 28 |
| ბოლონია | 21 | 8 | 4 | 9 | 26:28 | 28 |
| ფიორენტინა | 21 | 6 | 9 | 6 | 34:30 | 27 |
| ლეჩე | 21 | 6 | 8 | 7 | 26:32 | 26 |
| ბრეშა | 21 | 4 | 9 | 8 | 24:29 | 21 |
| ნაპოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 23:33 | 21 |
| ვერონა | 21 | 5 | 6 | 10 | 27:39 | 21 |
| ვიჩენცა | 21 | 5 | 5 | 11 | 20:33 | 20 |
| რეჯინა | 21 | 5 | 3 | 13 | 17:35 | 18 |
| ბარი | 21 | 4 | 4 | 13 | 18:33 | 16 |

**კახა კალაძე** ბერგამოში, „ატალანტას" წინაალმდეგ მოედანზე იქნებაო, გვარწმუნებს „გაძეტა დელო სპორტი" და ესე იგი, ასეც მოხდება. ცნობილი, ვარდისფერფურცლიანი მილანური გაზეთის ვერსიით, ალბერტო ძაკერონი 3-4-3 განლაგებას აირჩევს, ხოლო ეს სამი, ოთხი და სამი იქნებიან: სალა, შამოტი, მალდინი, ჰელვეგი, კალაძე, პაბლო გარსია, სერჟინიო, ხოსე მარი, ბირჰოფი და შევჩენკო.

„მილანმა", მოგეხსენებათ, ოთხშაბათს სტამბოლში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „გალათასარაისთან" 0:2 წააგო და თავს კრიტიკის მორიგი ტალღა დაიტეხა. ხუთშაბათს, „ათათურქის" აეროპორტიდან აფრენილი „შავ-წითლები" სამსაათიანი გზის შემდეგ შინ, „მალპენსას" აეროპორტში დაეშვნენ და იქიდან პირდაპირ მილანელოს საწვრთნელი ცენტრისკენ გაეშურნენ — არავითარი სახლი, არავითარი ცოლ-შვილი, შაბათ (ანუ დღეს) საღამოს ბერგამოში მნიშვნელოვანი თამაშია, ხოლო იქითა სამშაბათს, მშობლიურ „სან სიროზე" ფინალის ტოლფასი მატჩი ელით ესპანურ „დეპორტივოსთან" — გამარჯვების შემთხვევაში „მილანი" ლიგის მეოთხედფინალშია.

გუშინ დილით, მილანელოში თანაგუნდელებს შეუერთდა ბრაზილიელი როკე ჟუნიორიც, რომელმაც გვადალახარაში, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მექსიკელთა წინაალმდეგ ითამაშა.

„ატალანტას" და „მილანის" შეხვედრა ცხრილის მეზობელთა უშეღავათო ბრძოლა იქნება. „ატალანტა" მეხუთე ადგილზეა, „მილანი" მეექვსეზე, მათ შორის სხვაობა სამი ქულა გახლავთ, ხოლო ორივეს მიზანი, მეოთხე ადგილიდან „პარმას" გაძევება და მომდევნო სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში თამაში.

მაგრამ ამ, ერთი შეხედვით ხმაურიანი სიტყვების მიღმა, ჩვენს წინაშეა კრიზისში მყოფი სახელოვანი კლუბი („მილანზე" მოგახსენებთ), რომლის მწვრთნელს, ძაკერონის, წყალი ისე აქვს შემდგარი, რომ იტალიური გაზეთების თქმით, მომდევნო სეზონიდან მას „ფიორენტინადან" ახალწასული თურქი ფათიჰ თერემით შეცვლიან.

— „თერიმ, დახე, რა საძაგელი „მილანი" დაგხვდება" — წერდა სათაურში „კორიერე დელო სპორტი, ხოლო გუნდის ბომბარდირმა, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ განაცხადა, რომ ასეთ მდგომარეობას, წლების წინ კიევის „დინამოში" უკვე წავაწყდი, სანამ ვალერი ლობანოვსკი მოვიდოდა და ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებდაო.

დღეს სერია A-ში კიდევ ერთი შეხვედრაა: „ვიჩენცა" „ნაპოლის" მასპინძლობს ანუ ცხრილში მეთექვსმეტე, მეთოთხმეტეს ხვდება გამარჯვებისა და გადასწრების იმედით.

დანარჩენი მატჩები კვირასაა. ლიდერი „რომა" მე-13 ადგილზე მყოფ „ბრეშას" მასპინძლობს. „ბრეშა", მოგეხსენებათ, რობერტო ბაჯოს გუნდია, ხოლო „რომას" კვლავ არ ეყოლება თავდასხმის ლიდერი გაბრიელ ბატისტუტა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაბიო კაპელო შემტევ წყვილს — მარკო დელვეკიოსა და ვინჩენცო მონტელას გაიყვანს მოედანზე.

დელვეკიოსა და მონტელას უკან ითამაშებს ფრანჩესკო ტოტი, თუმცა კაცმა რომ თქვას, ამაში ახალი არაფერია. ახალი მხოლოდ ისაა, რომ „რომამ" ამ დღეებში, ბოლო ადგილზე მყოფი „ბარისგან" შეიძინა 18 წლის ამომავალი ვარსკვლავი ანტონიო კასანო, რომელიც მომავალი სეზონიდან კაპელოს გუნდის თავდასხმას სერიოზულ ძალას შემატებს.

არცთუ ძლიერი მეტოქე ელის „რომას" მდევარ „იუვენტუსსაც". ის შინ, „სტადიო დელე ალპიზე" „რეჯინას" ეთამაშება. „რეჯინა" ბოლოს წინა, მე-17 ადგილზეა და, ბუნებრივია, ძალიან სურს ზევით ანაცვლება. ცხადია, საამისოდ გუნდი ყველა ღონეს იხმარს, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ეს მაინცდამაინც „იუვენტუსთან" შეხვედრაში, თანაც ტურინში შეძლოს.

ისე კი, სტატისტიკა ასე მეტყველებს: „იუვენტუსი" „რეჯინას" წინა სეზონში, 1999 წლის 29 აგვისტოს, სწორედ „სტადიო დელე ალპიზე" რომ შეხვდა, 1:1 ეთამაშა. მაშინ რეჯინელთა მხრიდან გოლი სიერალეონელმა ფეხბურთელმა, კალონმა გაიტანა, რომელიც ახლა „ვიჩენცაში" თამაშობს.

საერთოდ კი, ეს გუნდები ისტორიაში ოთხჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს და იმ ერთადერთი შემთხვევის გარდა, რომელიც ზევით ვახსენეთ, ყველა ჯერზე „იუვენტუსმა" მოიგო. ახლანდელი ჩემპიონატის პირველ ნახევარში „იუვენტუსმა" „რეჯინას" სტუმრად 2:0 დაამარცხა. იმ დღეს გოლები დარკო კოვაჩევიჩმა და ზინედინ ზიდანმა გაიტანეს.

დაბოლოს, ეს შეხვედრა გამორჩეული იქნება მარკ იულიანოსთვის, რომელიც წარმოშობით კალაბრიელია, თუმცა „რეჯინაში" არასდროს უთამაშია. საერთოდაც, კვირას „დელე ალპიზე" არ იქნება არც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც ოდესმე იმ დღის მოწინააღმდეგის ფორმა ცმია.

„მოდუნების უფლება არ გვაქვს, რადგან „რეჯინას" შემდეგ „ლაციოს" უნდა ვესტუმროთ. საერთოდაც, ყველა შეხვედრაში მოგება გვინდა, ამასთან, „რომას" ყურადღება არც უნდა მივაქციოთ. უნდა მოიგოს და უნდა წააგოს, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს" — განაცხადა „ბებერი ქალბატონის" ჰოლანდიელმა მეკარემ, ედვინ ვან დერ სარმა.

ხოლო „ლაციო" „ბოლონიას" სტუმრობს. „ბოლონია" მეათე ადგილზეა და, ცნობისთვის, მეექვსეზე მყოფ „მილანს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

## ინგლისი

გიგა ურუშაძე

# ნაბიჯი წინ და არც ერთი უკან!

**გადატანილი მატჩი**

**დღეს**

ასტონ ვილა — იფსვიჩი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 29 | 20 | 7 | 2 | 66:19 | 67 |
| არსენალი | 29 | 15 | 8 | 6 | 47:29 | 53 |
| იფსვიჩი | 28 | 14 | 4 | 10 | 42:34 | 46 |
| ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 47:30 | 45 |
| სანდერლენდი | 29 | 12 | 9 | 8 | 33:28 | 45 |
| ლესტერი | 28 | 13 | 6 | 9 | 31:29 | 45 |
| ლიდსი | 29 | 12 | 8 | 9 | 42:37 | 44 |
| ჩელსი | 28 | 11 | 9 | 8 | 50:33 | 42 |
| ჩარლტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 38:40 | 42 |
| საუთჰემპტონი | 28 | 11 | 8 | 9 | 33:34 | 41 |
| ნიუკასლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33:39 | 38 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 33:38 | 36 |
| ვესტ ჰემი | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 |
| ასტონ ვილა | 27 | 8 | 10 | 9 | 29:29 | 34 |
| დერბი ქაუნთი | 29 | 8 | 10 | 11 | 30:44 | 34 |
| ევერტონი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:43 | 32 |
| მიდლსბრო | 29 | 5 | 13 | 11 | 31:35 | 28 |
| სიტი | 29 | 6 | 8 | 15 | 31:47 | 26 |
| ქოვენთრი | 29 | 5 | 9 | 15 | 26:48 | 24 |
| ბრედფორდი | 28 | 3 | 7 | 18 | 18:53 | 16 |

**თასის მეოთხედფინალი**

**დღეს**

არსენალი — ბლექბერნი
ლესტერი — უიკომბი

**ხვალ**

ტრანმერი — ლივერპული
ვესტ ჰემი — ტოტენჰემი



ჯონ ოლდრიჯზე მეტი გოლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ბრიტანეთში არავის გაუტანია

**42 წლის** ჯონ ოლდრიჯისთვის ხვალინდელი მატჩი განსაკუთრებულია — პირველად ცხოვრებაში ის თავისი საყვარელი გუნდის დამარცხებას შეეცდება. „კროკოს" ბუკმეიკერები ასეთი შედეგის გამოცნობისთვის დადებული თანხის ხუთმაგად ანაზღაურებას გვპირდებიან და აქედანაც ჩანს, რომ ოლდრიჯის ნატვრა არცთუ იოლი ასასრულებელია, თუმცა ირლანდიელი გვახსენებს, რომ მის გუნდს დასაკარგი არაფერი აქვს.

„მისი გუნდი" პირველი დივიზიონიდან გავარდნის უპირველესი კანდიდატი „ტრანმერია", „მისი საყვარელი გუნდი" კი — პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი „ლივერპული". ესენი ხვალ მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო შეჯიბრის — ინგლისის თასის — მეოთხედფინალში ხვდებიან ერთმანეთს. „ბოლო 12 თვეში უდიდესი გამოცდილება შევიძინეთ და ამ მატჩსაც მზადყოფნაში ვხვდებით. ჩვენი ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ მთელი გუნდი, ფეხბურთელებიან—მწვრთნელიანად, „ლივერპულის" გულშემატკივარია" — ამბობს მერსისაიდელთა ყოფილი გმირი, ახლა კი „ტრანმერის" მწვრთნელი ოლდრიჯი.

ვინ არის ეს კაცი? თინეიჯერული ასაკის გულშემატკივრისთვის მისი სახელი და გვარი თითქმის არაფერს ნიშნავს. არადა, ირლანდიელი ფორვარდი მეზობელი კუნძულის საფეხბურთო ისტორიის განუყოფელი ნაწილია — მასზე მეტი გოლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ბრიტანეთში ჯერ არავის გაუტანია: 474!



რობი ფაულერის „ლივერპულმა" წლეულს ერთი თასი უკვე მოიპოვა და კიდევ ორს უტევს

„ლივერპულში" ის არცთუ დიდხანს თამაშობდა — 1987 წლის იანვრიდან 1989 წლის სექტემბრამდე, როცა ბასკურ „სოსიედადში" გადავიდა. წითელი მაისურიც სულ რაღაც 69-ჯერ ეცვა, მაგრამ ენფილდელი ფანობის 50-ჯერ გახარება მაინც მოასწრო. „მთავარი გოლი? — იხსენებს ოლდრიჯი — ცხადია, 1989 წლის თასის ფინალში, „ევერტონთან" 3:2 მოგებულ მატჩში". იმ შეხვედრაში ირლანდიელი შეცვლაზე შევიდა და „უემბლის" ისტორიაშიც მოხვდა, რადგან ბურთთან პირველივე შეხება კარში ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

მაგრამ ასოციაციის თასი ამ კაცის ცხოვრებაში მხოლოდ ნეტარ ასოციაციას როდი იწვევს. თუნდაც წინა, 1988 წლის ფინალის გახსენება კმარა, როცა ოლდრიჯი ამ გათამაშების ისტორიაში პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც ფინალურ შეხვედრაში პენალტი ვერ გაიტანა. შედეგად, იმ დღეს თასი „უიმბლდონის" იმჟამინდელმა კაპიტანმა დენის უაიზმა ჩაიბარა. „იმ მარცხით გამოწვეული იმედგაცრუება მართლაც დიდი იყო, მაგრამ მომავალ წელს მომხდარმა ტრაგედიამ ყველაფერი დაჩრდილა. მაშინ ორი კვირა შოკში ვიყავი, ის საზარელი კადრები კი ხანდახან ახლაც მიფრთხობს ძილს" — ოლდრიჯი ამავე თასის ნახევარფინალში, 1989 წლის 15 აპრილს შეფილდის „ჰილსბოროზე" მომხდარ ჭყლეტას იგონებს, როცა 96 ლივერპულელი გულშემატკივარი გამოესალმა სიცოცხლეს.

...ბასკეთიდან სწრაფად დაბრუნებული თავდამსხმელი „ტრანმერის" ჯერ მოთამაშე, მალე კი მოთამაშე-მწვრთნელი გახდა და დაამტკიცა, რომ ფეხი ძველებურად უჭრიდა — 272 მატჩში 174 გოლი შეაგდო, სამი წლის წინ კი ჯადო-ბუცები კედელზე ჩამოკიდა და მთლიანად მწვრთნელობაში ჩაეფლო.

არც აქ გამოდგა ჯაბანი. შარშან, თავის 89-წლიან ისტორიაში პირველად, „ტრანმერი" ლეგენდარულ „უემბლიზე" მოხვდა ლიგის თასის ფინალში. იმ გზაზე ქვედალიგელებმა „ქოვენთრი" და „მიდლსბრო" შეიწირეს, თუმცა ფინალში „ლესტერთან" 1:2 დამარცხდნენ. პარალელურად, პროვინციული გუნდი ასოციაციის თასზეც წარმატებით თამაშობდა (სხვათა შორის, „ვესტ ჰემსა" და „სანდერლენდს" მოუგო) და პირველად მაშინ გააღწია მეოთხედფინალში.

„ამ სეზონში უფრო ძლიერები ვართ. ეგებ, შარშანდელთან შედარებით ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ" — ოლდრიჯს ნახევარფინალში გასვლა სურს და ბოლო დროის დაძაბული თამაშისგან გადაღლილი „ლივერპულის" დამარცხებაზე ოცნებობს. რატომაც არა: რაც მისმა გუნდმა მერვედფინალში მოახდინა, ამის მერე გასაკვირი აღარაფერი იქნება — „საუთჰემპტონთან" პირველი ტაიმის მერე 0:3-ს აგებდა, თუმცა მსაჯის საფინალო სასტვენმა გლენ ჰოდლის გუნდის მარცხი (3:4) დააფიქსირა.

შეძლებს თუ არა პატარა „ტრანმერი" მშობლიურ, 16 500-იან „პრენტონ პარკზე" გოლიათის ბეჭზე გაკვრას, ხვალ გამოჩნდება, მერე კი... მერე „არცერთი ნაბიჯი უკან", ვინაიდან „ტრანმერის" უკან მეორე დივიზიონია.

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

# იაშკა და ყვითლები

| XXV ტური |
|---|
| **დღეს** |
| ჰერტა — ჰანზა |
| ბოხუმი — კიოლნი |
| ვოლფსბურგი — უნტერჰახინგი |
| ფრაიბურგი — დორტმუნდი |
| ბაიერნი — კოტბუსი |
| აინტრახტი — შალკე |
| **ხვალ** |
| ლაუტერნი — მიუნხენ 1860 |
| ჰამბურგი — შტუტგარტი |
| **ზეგ** |
| ლევერკუზენი — ვერდერი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 24 | 13 | 5 | 6 | 41:29 | 44 |
| ბაიერნი | 24 | 13 | 4 | 7 | 47:28 | 43 |
| შალკე | 24 | 12 | 5 | 7 | 43:26 | 41 |
| ლევერკუზენი | 24 | 12 | 4 | 8 | 40:29 | 40 |
| ჰერტა | 24 | 13 | 1 | 10 | 46:41 | 40 |
| ლაუტერნი | 24 | 12 | 4 | 8 | 34:30 | 40 |
| ვერდერი | 24 | 10 | 7 | 7 | 35:33 | 37 |
| ფრაიბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 31:27 | 34 |
| მიუნხენ 1860 | 24 | 9 | 7 | 8 | 31:37 | 34 |
| კიოლნი | 24 | 9 | 6 | 9 | 41:37 | 33 |
| ვოლფსბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 43:33 | 32 |
| ჰანზა | 24 | 9 | 4 | 11 | 25:36 | 31 |
| ჰამბურგი | 24 | 9 | 3 | 12 | 46:45 | 30 |
| უნტერჰახინგი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:38 | 27 |
| აინტრახტი | 24 | 8 | 3 | 13 | 30:46 | 27 |
| კოტბუსი | 24 | 8 | 2 | 14 | 29:41 | 26 |
| შტუტგარტი | 24 | 6 | 7 | 11 | 33:38 | 25 |
| ბოხუმი | 24 | 5 | 5 | 14 | 20:45 | 20 |

**ბოლო** ტურებში ბუნდესლიგა სწორედ რომ ნამდვილ ბუნდესლიგას დაემსგავსა: მდიდრები კარგავენ, ღარიბები იძენენ და ცხრილშიც ისეთი ორომტრიალია, მოკლე დროში გალიდერება პირველი შვიდიდან ნებისმიერს შეუძლია.

გასულ უქმეებზე ბობოლებს სულ თავები დასცვივდათ. „ბაიერნმაც" წააგო, „შალკემაც" და „ლევერკუზენმაც". შედეგად, პირველი მათიას ზამერის „დორტმუნდი" გახდა. გუნდი, რომელიც ბოლო სეზონების ციებ-ცხელების მერე მაინც მოღონიერდა და აი, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, საჩემპიონო კლანჭიც გამოაჩინა.

დღეს „დორტმუნდი" ჩვენების „ფრაიბურგს" სტუმრობს. ზამერის გუნდს უკვე ოთხი ტურია არ წაუგია და დღესაც, ცხადია, მაღააღძრული, მხოლოდ სამი ქულისთვის გავა მინდორზე. „ყვითლები" ვერ ათამაშებენ დისკვალიფიცირებულ ადოსა და ოლისეს, ამიტომ, თავის ნახევარზე ზამერს ჰაინრიხისა და ნერლინგერის იმედი ექნება. თანაც, ერთი თავდამსხმელით — ბობიჩით ითამაშებს.

მეტი პრობლემა მოუგროვდა „ფრაიბურგს". ქართველთაგან მხოლოდ იაშვილი ითამაშებს და ვაისჰაუპთან ერთად დორტმუნდელებს შეუტევს. მოგეხსენებათ, კობიაშვილი საკმარისზე მეტი ყვითლების გამო სკამზე მოიკალათებს, ხოლო ცქიტიშვილი დაშავებულია.

მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს ასევე არ ეყოლება ჰერმელი და რამდანე. „ფრაიბურგი" ჩინებული, ათმატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და დღეს ჯიგრიანი თამაშით ქომაგთა გულების გათბობას ეცდება. ვითომ, გამოუვა რამე?

არჩილ არველაძის „კიოლნი" ბოხუმს ეწვევა. „კიკერის" ინფორმაციით, თავიდან ქართველი სათადარიგოთა სკამზე იჯდება და მინდორზე მოგვიანებით გამოჩნდება, თანაც, ისევ ნახევარდაცვაში...

შემოდგომის ჩემპიონი „შალკე" ფრანკფურტს ვან კერკჰოვენისა და ვირუსშეყრილი აიგენრაუხის გარეშე ჩავა. „ბაიერნი" კი...

„ბაიერნი" შინ „კოტბუსს" დაუხვდება. უკვე სამი ტურია მიუნხენელებს ბუნდესლიგაში აღარ გაუმარჯვიათ. ამას ჩემპიონთა ლიგაში სამშაბათს ლიონში სამარცხვინო წაგებაც (0:3) დაამატეთ და მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის განცდებიც ნათელი გახდება. კანი, იერემისი, სფორცა, ციკლერი და სანტა კრუზი ბავარიელთა ის ფეხბურთელები არიან, მინდორზე რომ ვერ გავლენ. მეკარე კანი, მოგეხსენებათ, „ჰანზასთან" წინა მატჩის ბოლო წუთზე გააძევეს, იერემისმაც ყვითლები გადახარჯა. მის ადგილს, ანუ ლიბეროს პოზიციას, ჩვეულებისამებრ, შველდი ანდერსონი დაჭერს, კარში კი დრეერი ჩადგება.

სამაგიეროდ, ეყოლებათ ეფენბერგი და შოლი, ენერგიულ კოტბუსელებს კი ელბერი და იანკერი შეუტევენ.



„ფრაიბურგს" ალექსანდრე იაშვილი შეემატა, „დორტმუნდს" კი სანდი ოლისე დააკლდება

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# რისი წართმევა უფრო ძნელია: მილიონის თუ სამი ქულის?

| XXVI ტური |
|---|
| **დღეს** |
| დეპორტივო — ნუმანსია |
| ვალენსია — ოსასუნა |
| ბილბაო — ვილიარეალი |
| **ხვალ** |
| ალავესი — რაიო ვალეკანო |
| ოვიედო — ესპანიოლი |
| ვალიადოლიდი — სელტა |
| მალაგა — სარაგოსა |
| რასინგი — ლას პალმასი |
| ბარსელონა — მალიორკა |
| რეალი — სოსიედადი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 25 | 16 | 5 | 4 | 56:29 | 53 |
| დეპორტივო | 25 | 14 | 6 | 5 | 48:28 | 48 |
| ვალენსია | 25 | 13 | 7 | 5 | 40:18 | 46 |
| ბარსელონა | 25 | 13 | 5 | 7 | 53:36 | 44 |
| მალიორკა | 25 | 11 | 8 | 6 | 35:32 | 41 |
| ვილიარეალი | 25 | 11 | 5 | 9 | 33:29 | 38 |
| ალავესი | 25 | 10 | 5 | 10 | 34:31 | 35 |
| რაიო ვალეკანო | 25 | 8 | 10 | 7 | 43:40 | 34 |
| მალაგა | 25 | 10 | 4 | 11 | 39:39 | 34 |
| ბილბაო | 25 | 9 | 7 | 9 | 33:36 | 34 |
| ესპანიოლი | 25 | 9 | 5 | 11 | 31:28 | 32 |
| ვალიადოლიდი | 25 | 7 | 11 | 7 | 29:29 | 32 |
| სელტა | 25 | 8 | 8 | 9 | 30:35 | 32 |
| ლას პალმასი | 25 | 9 | 5 | 11 | 25:41 | 32 |
| სარაგოსა | 25 | 7 | 10 | 8 | 36:35 | 31 |
| ოვიედო | 25 | 8 | 3 | 14 | 31:46 | 27 |
| ნუმანსია | 25 | 7 | 5 | 13 | 25:41 | 26 |
| სოსიედადი | 25 | 6 | 6 | 13 | 28:50 | 24 |
| ოსასუნა | 25 | 5 | 8 | 12 | 27:39 | 23 |
| რასინგი | 25 | 5 | 5 | 15 | 28:42 | 20 |

**მადრიდის** „რეალის", და „სოსიედადის" მატჩს ესპანეთში დიდი ინტერესით ელიან. ცხრილს თუ ჩავხედავთ, ამისი საფუძველი არ ჩანს: „რეალი" თავშია და თითო-ოროლას თუ ეპარება ეჭვი მის გაჩემპიონებაში. „სოსიედადი" ოდენ უდიდესი სირცხვილის თავიდან ასაცილებლად იბრძვის — პრიმერადივიზიონიდან 1967 წლის მერე ფეხი არ მოუცვლია და ახლა დაქვეითება ელის. ამასთანავე, „რეალს" ყველაზე მეტი — 56 გოლი აქვს გატანილი, ხოლო „სოსიედადს" ასევე ყველაზე მეტი — 50 გოლი გაუშვია. ჰოდა, რა გამოდის...

მაგრამ ინტრიგა მაინც დიდია. მთავარი ისაა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩადის ჯონ ტოშაკი, კაცი, რომელმაც თავის დროზე „რეალს" ქვეყნის ჩემპიონობა მოაგებინა, ხოლო ამ თხუთმეტი თვის წინ იქ მეორედ დაბრუნებული, ყოფილმა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა სკანდალით გაისტუმრა. გავიხსენოთ, რომ „რეალის" და ტოშაკის გაყრაში სასამართლოც ჩაერია და კლუბს ყოფილი მწვრთნელის სასარგებლოდ გვარიანი თანხა, დაახლოებით ერთი მილიონი დოლარი დააკისრა. ისიც ვთქვათ, რომ ჯონ ტოშაკი სოსიედადელებზე ნაკლებად არ იცნობს „რეალის" ფეხბურთელებს, ეგებ უკეთესადაც.

ტოშაკი „რეალზე" შურისსაძიებლად ჩუმად ემზადება, კომენტარებისგან თავს იკავებს, ეს საქმე ფეხბურთელებმა იკისრეს. აიტორ ლოპეს რეკარტე ამბობს, მოგების კარგი შანსი გვაქვს და საქმე არც ისე ცუდადაა, ზოგიერთებს რომ ჰგონიათო.

სანსებასტიანელთა ამგვარ განწყობას საფუძვლად „რეალის" ბოლოდროინდელი შეფერხებები აქვს. ფრეები „დეპორტივოსთან" და „ბარსელონასთან", იქამდე ძლივს მოგება „რასინგთან", მაშინ, როცა „სოსიედადი" ბოლო ტურში „რაიო ვალეკანოსთან" გამარჯვებით ფრთაშესხმულა. ამას მადრიდელთა ტრავმები ემატება. ვარჯიშზე დაშავდა გუტი და ვერ ითამაშებს. საეჭვოა, კლოდ მაკელელეს, აიტორ კარანკასა და ფერნანდო მორიენტესის გამოჩენაც. რობერტო კარლოსი დისკვალიფიცირებულია.

ბოლოდროინდელმა კარგმა თამაშმა ბილბაოელებს გაისად ევროტურნირზე გასვლის კარგი შანსი მისცა. ამისთვის იბრძვის „ვილიარეალიც", რომელიც ახლა უკვე „უეფას ზონაშია". ეს მიგვანიშნებს, რომ თამაში საინტერესო და დაძაბული უნდა გამოდგეს. მასპინძლებს დღეს რაფაელ ალკორტა და ურუტია არ ეყოლებათ, სამაგიეროდ, „ვილიარეალს" წინა ორი თამაში „ვალენსიასთან" და „მალაგასთან" წაგებული აქვს.

„დეპორტივო" მშობლიურ „რიასორზე" დაუმარცხებელია და მეტოქედაც გვარიანად სუსტი გუნდი ერგო. თუმცა საინტერესოა, რომ წინა სეზონში „ნუმანსიას" ლაკორუნიელები სწორედ „რიასორზე" ჰყავს დამარცხებული.

გასავარდნად გამზადებულმა „ოსასუნამ" წინა ორი თამაში მოიგო და ვალენსიაში ჰეთ თრიქი თუ გაახერხა, გუნდიც ეგ ყოფილაო, ვიტყვით. თუმცა ამის შანსი ნაკლებია. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ადგილის დაჯავშნის შემდეგ, ექტორ რაულ კუპერმა თქვა, ახლა პრიმერადივიზიონს უნდა მივხედოთ, რადგან ჩემპიონობა გვწადიაო. რას მოიგებს „ვალენსია", ეს ჯერ კიდევ საკითხავია, „ოსასუნას" ძლევა კი წესით არ უნდა გაუჭირდეს.

ხუთშაბათს უეფას თასზე 3:0 იყო, კვირას რა იქნება? „ალავესი" — „რაიო ვალეკანოს" მატჩზე მოგახსენებთ.

„მალიორკა" ბარსელონაში ჩადის. კუნძულელებმა წინა ტურში „დეპორტივო" დაამარცხეს და „ბარსელონასაც" იგივე თუ დამართეს, გმირობა იქნება. მაგრამ „ბარსა" განა ხელწამოსაკრავი გუნდია? მით უმეტეს, რომ სანაკრებო ტურნე მოილია და „კამპ ნოუზე" დაბრუნდა რივალდო.





ჯონ ტოშაკი ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდების დამარცხებას „სანტიაგო ბერნაბეუზე" აპირებს

# სუპერლიგა

ჯგუფური ეტაპი. XVII ტური. 7-8 მარტი

## A ჯგუფი

### სიენა 76:87 ულქერი

სიენა: ალბერტი (5), კიაჩიგი (6), ბ. ევანსი (18), გორენცი (26), გრეი (2), მეისი (7), როუენი, სკარონე (13)
ულქერი: აჩიკი (4), ერდენაი (10), გოლიოვიჩი (1), გონლუმი, გიულერი (10), ჰენდლოგტენი (23), ლოლისი (22), პერსევო, სარიჯა (9), ილდირიმი (4)

### პანათინაიკოსი 83:61 რაანანა

პანათინაიკოსი: ალვერტისი (9), ბალოიანისი (2), ბოდიროგა (12), ბერკი (10), ფოცისი (19), ჯენტილე, კალაიძისი (8), კოხი (6), დ. მიდლტონი (6), რებრაჩა (7), როდოსტოლლუ, როჯერსი (4)
რაანანა: ბენ დავიდ (3), კოენი, გუდესი (8), გრინი (8), იცხაკი (9), კანტორი (11), სელტერსი (1), სავანოვიჩი (15), სტანოევიჩი (6)

### ცეპტერი 76:85 ალბა

ცეპტერი: ადომაიტისი (2), ავლიაში (10), კოსციუკი (2), მარქსი (5), მაკნაული (5), მიგლინიექსი (12), ვოიციკი (12), ზიელინსკი (13)
ალბა: ალექსისი (22), კოტუროვიჩი (16), ლუტკე (8), ოზთურქი (12), პაპიჩი, პეშიჩი (2), ფელპსი (17), როდლი (8)

### ლიეტუვოს რიტასი 93:77 სპლიტი

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (24), ა. იავტოკასი (2), რ. იავტოკასი (19), კაძიულისი (2), კაზლაუსკასი (6), მასიაუსკასი (24), შესტოკასი, შიშკაუსკასი (12), სლეზასი (4)
სპლიტი: ბადჟიმი (15), გრეგოვი (4), გრგურევიჩი (5), ლენდი (9), პოლიაკი (8), რეჩნერი (3), სუბოტიჩი, ტომელიაკი, ვუიჩიჩი (25), ჟიჟიჩი (8)

### ცსკა 83:91 ვილერბანი

ცსკა: ალანოვიჩი (1), დომანი (5), ეინიკისი (10), ფეტისოვი (6), კირილენკო (13), კუდელინი (16), ლარუ (3), მორგუნოვი (8), პეტრენკო (21)
ვილერბანი: ბილბა (13), ბლომი (12), ედვარდსი (34), ფრიგუ (7), ჰოფმანი (4), პაშუტინი (5), პლუვი, სკიარა (16), სი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 17 | 12 | 5 | 1383:1274 | 29 |
| ცსკა | 17 | 12 | 5 | 1357:1301 | 29 |
| ულქერი | 17 | 11 | 6 | 1393:1320 | 28 |
| სპლიტი | 17 | 11 | 6 | 1283:1273 | 28 |
| ალბა | 17 | 9 | 8 | 1366:1324 | 26 |
| ვილერბანი | 17 | 9 | 8 | 1327:1308 | 26 |
| ცეპტერი | 17 | 7 | 10 | 1350:1357 | 24 |
| ლიეტ. რიტასი | 17 | 6 | 11 | 1423:1453 | 23 |
| სიენა | 17 | 5 | 12 | 1326:1416 | 22 |
| რაანანა | 17 | 3 | 14 | 1201:1393 | 20 |

## B ჯგუფი

### მაკაბი 95:71 ირაკლისი

მაკაბი: ბრისკერი (2), ბურშტეინი (5), ჩურჩიჩი (9), ჰენფელდი (10), ჰაფმანი (17), მაკდონალდი (16), პარკერი (13), რადოვიჩი, სავიონი, შარფი (13), შელეფი (8), შტერნლაითი (2)
ირაკლისი: ხაძივრეტასი (15), ხრიზანტოპულოსი (3), დიამანტიდისი (7), კამარიოტისი (14), კარაგუტისი (6), კარასიოვი, ნაკიჩი (3), ნანისი, პაპადოპულოსი (14), პაპაიოაკეიმი (9), ლიმპარისი

### ეფესი 96:92 სკავოლინი

ეფესი: ბეშოქი (13), პ. დრობნიაკი (18), მულაომეროვიჩი (33), ოქური (9), ონანი (3), პეკერი (2), შჩეპანოვიჩი (5), თუნჩერი (13), ილმაზი
სკავოლინი: ბუკერი (15), გიგენა (3), ჯონსონი (30), მაჯოლი (8), ლ. მიდლტონი (8), პეჩილე (1), ტრაინა (9), ტუშეკი (16), ძანელი (2)

### ოსტენდე 99:88 პლანია

ოსტენდე: ბეგინი (8), ბიგსი (16), დე ბელი, დოილი (26), ჰოლდენი (23), კულამი (6), მაიორი (1), პეჰკა, პრაშკევიჩუსი (1), ვან დე კეერე (2), ვან დენ შპიგელი (16)
პლანია: ფრედრიქსონი (3), ლუნდალი (3), ნიკოლასი (22), პარნი (15), პატიეიუნასი (10), პეტერსონი (4), რონდალი (3), ტომასი (28)

### პო ორტეზი 100:75 კრკა

პო ორტეზი: დიავი (2), დიუბო (8), ესტელერი (16), ფოტუ (13), დ. გადუ (8), ლოუსონი (5), მაკკალოფი (19), მურემანი (13), ფ. პიეტრუსი (11), მ. პიეტრუსი (5)
კრკა: ანზულოვიჩი (2), არაპოვიჩი (7), ჩაპინი (8), კორტნი (16), დევისონი (9), დონჩიჩი (12), დ. დრობნიაკი (9), გრუმი, პეტროვი (10)

### ბაიერი 95:81 პარტიზანი

ბაიერი: ბესტი (28), ჩ. ევანსი (14), გაიბი (2), გნადი (7), ჰანსენი (10), ჰენიაკი (10), ჰაჩსონი (10), ლარკიო (5), ლოხმანჩუკი (9)
პარტიზანი: ბერიჩი (23), ჩანაკი (7), კოტონი (17), გაიჩი (2), გლინტიჩი (4), მილისავლიევიჩი (15), პეტროვიჩი (12), ვარდა (1)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 17 | 14 | 3 | 1519:1270 | 31 |
| ეფესი | 17 | 12 | 5 | 1383:1287 | 29 |
| პარტიზანი | 17 | 11 | 6 | 1419:1420 | 28 |
| პო ორტეზი | 17 | 9 | 8 | 1404:1346 | 26 |
| ირაკლისი | 17 | 9 | 8 | 1406:1422 | 26 |
| სკავოლინი | 17 | 8 | 9 | 1472:1426 | 25 |
| ოსტენდე | 17 | 8 | 9 | 1470:1464 | 25 |
| ბაიერი | 17 | 6 | 11 | 1470:1515 | 23 |
| კრკა | 17 | 6 | 11 | 1321:1409 | 23 |
| პლანია | 17 | 2 | 15 | 1310:1545 | 19 |



სიენა — ულქერი. სიენელი ბორის გორენცი (ბურთით) და კვადრე ლოლისი

TELEBASKET

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი



AP ჰიუსტონი — კლიპერსი. სტუმარი ერიკ პიატკოვსკი კუტინო მობლისა (№5) და შენდონ ანდერსონს შორის

# პორტლენდი: პირველიდან მეხუთემდე

8 მარტი

### პორტლენდი 79:93 სან ანტონიო

პორტლენდი: ველსი (16)
სან ანტონიო: ანდერსონი (29), დანკანი (16 ქულა, 16 მოხსნა)

### შარლოტი 97:84 ორლანდო

შარლოტი: დევისი (23), ველსი (18 ქულა, 10 პასი), კემპბელი (17 ქულა, 11 მოხსნა)
ორლანდო: მაკგრეიდი (19)

### ჰიუსტონი 99:87 კლიპერსი

ჰიუსტონი: ფრენსისი (22 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი), მობლი (22), ტეილორი (21)
კლიპერსი: მაკინისი (20), მეჯიტი (19 ქულა, 12 მოხსნა)

შინ „ვანკუვერთან“ სამარცხვინო წაგებას „პორტლენდმა“ ორი დღის შემდეგ „სან ანტონიოსთან“ მარცხი მიაყოლა და დასავლეთში პირველი ადგილიდან ერთბაშად მეხუთემდე დაქვეითდა. ექსჩემპიონებთან იოლი მატჩი რომ არ ელოდათ, ეს მასპინძლებმა კარგად უწყოდნენ, თუმცა ასე უიმედოდ რომ წააგებდნენ, ამას ვერ წარმოიდგენდნენ.

„სან ანტონიოსთან“ დაჭიდებულთათვის მთავარი საფრთხეს 213-სანტიმეტრიანი სუპერთავდამსხმელი ტიმ დანკანი წარმოადგენს, თუმცა დანკანს ტრადიციულად საიმედოდ მეურვეობდა რაშიდ ვოლესი და მას შონ კემპიც კარგად ახმარდა ხელს. მართალია, შეხვედრის ბოლო წუთებზე „პორტლენდს“ აღარც ერთი არ შემორჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერც დანკანმა გაილაღა და 16 სროლიდან 4 ჩაგდებითა და 16 ქულით დაასრულა შეხვედრა, თუმცა ამით „პორტლენდს“ მაინც არ ეშველა. „სან ანტონიოს“ მსროლელმა დერიკ ანდერსონმა იმის დამტკიცება მოინდომა, რომ „სფურზში“ დანკანის გარდა სხვასაც ეხერხება კალათბურთის თამაში და ეს მშვენივრად გამოუვიდა. მესამე მეოთხედში, რომლის დაწყებამდე სტუმრები უკვე ცხრა ქულით იგებდნენ, ანდერსონმა მასპინძელთა კალათის შესაშური სიზუსტით დაბომბვა იწყო და თავისი სეზონის სარეკორდო 29 ქულიდან 15 ამ თორმეტწუთეულში მიითვალა, ერთით მეტი, ვიდრე მთლიანად „პორტლე[illegible]“ და „სან ანტონიო“ 78:56 დააწინაურა. ანდერსონის „გამოხტომამ“ საბოლოოდ მოუთავა ხელი მასპინძლებს, რომლებმაც, წაგებით განაწყენებულებმა, ბოლო მეოთხედში მხოლოდ ჩხუბით გამოიჩინეს თავი. ჯერ რაშიდ ვოლესმა მსაჯს საქმეები დასაშვებზე ხმამაღლა გაურჩია, რის გამოც გააგდეს. ერთი წუთის შემდეგ კი მისმა თანაგუნდელმა ბონზი ველსმა მხცოვან სტუმარ ტერი პორტერზე გაიწია და ცხადია, ისიც ვოლესის გზას გაუყენეს.

შარლოტში აღმოსავლეთში მეხუთე ადგილისთვის მებრძოლი ორი გუნდი — იქაური „ჰორნეთსი“ და „ორლანდო მეჯიქი“ შეეჯახა ერთმანეთს. მასპინძლები მთავარ მექულეს, ჯამალ მაშბურნს მოისაკლისებდნენ, რამაც ორლანდოელებს გამარჯვების იმედი ჩაუსახა, მაგრამ პირველი ნახევრის შემდეგ, რომელიც მასპინძლებმა 56:45 მოიგეს, ნათლად გამოჩნდა — სტუმრები ამ შეხვერის მომგებნი არ იყვნენ.

„ლოს ანჯელეს კლიპერსი“ ჰიუსტონში ლიდერის, ლამარ ოდომის გარეშე ჩავიდა, რომელიც ნარკოტიკების ხმარებაში ამხილეს და ნბა-ს მამებმა ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამის მიუხედავად, „კლიპერსი“ ბოლო მეოთხედის წინ მაინც იგებდა ცხრა ქულით. დასკვნით თორმეტწუთეულში კი მასპინძლებმა, რომელთაც ასევე აკლდათ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ჰაკიმ ოლაჯუონი, საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და ეს მეოთხედი 32:11 მოიგეს.

**ივანე ძოწიაშვილი**

## ევროლიგა

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე).
გადამწყვეტი მატჩები. 7 მარტი

### აეკ 71:56 ბენეტონი

*აეკ-მა 2:1 მოიგო სერია*

აეკ: სტეფანოვი (10), პანტელიადისი, ზისისი, ხაძისი (5), ქუთლუაი (8), დიკუდისი (13), მიუურსეპი (11), ბეტსი (13), კაკიუზისი (11)
ბენეტონი: ნიკოლა (11), ბრაუნი (13), პიტისი (6), მარკონატო (6), ბულერი, ნაუმოსკი (7), სანტოსი, ნახბარი (1), ტომიდი (3), გარბახოსა (9)

### ფორტიტუდო 88:70 რეალი

*ფორტიტუდომ 2:1 მოიგო სერია*

ფორტიტუდო: ოტრი (2), ფუჩკა (23), დე პოლი (2), მაიერსი (41), ს. ვრანკოვიჩი (2), ბაზილე (3), ბოუი (9), ე. ჟუკაუსკასი, გალანდა (2), მენეგინი (4)
რეალი: ა. ანგულო (3), სტრიულენსი (10), ჯორჯევიჩი (7), ლ. ანგულო (6), ნუნიესი, მიკი (10), ერეროსი (8), მილიჩი (14), ზიდეკი (2), იტურბე (10)

## ნახევარფინალი. სამ მოგებამდე

**კინდერი — ფორტიტუდო**

**აეკ — ტაუ**

*ნახევარფინალის მატჩები გაიმართება 27 მარტს, 29 მარტს, 3 აპრილს და, თუ საჭირო გახდა, 5 აპრილს და 12 აპრილს.*



აეკ — ბენეტონი. რიკარდო პიტისი აეკ-ელ დიმოს დიკუდისს უფარებს

TELEBASKET



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიგის ლიდერები

7 მარტის თამაშების ჩათვლით

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქულა** | | | | |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 59 | 1841 | 31,2 |
| ჯერი სტეკ ჰაუზი | დეტროიტი | 59 | 1743 | 29,5 |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 57 | 1678 | 29,4 |
| ვინს კარტერი | ტორონტო | 55 | 1535 | 27,9 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 52 | 1434 | 27,6 |
| კრის ვებერი | საკრამენტო | 47 | 1293 | 27,5 |
| ტრეისი მაკგრეიდი | ორლანდო | 57 | 1556 | 27,3 |
| ანტაუნ ჯემისონი | გოლდენ სტეიტი | 61 | 1506 | 24,7 |
| პოლ პირსი | ბოსტონი | 61 | 1490 | 24,4 |
| სტივენ მარბერი | ნიუ ჯერსი | 59 | 1426 | 24,2 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 59 | 1386 | 23,5 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 60 | 1397 | 23,3 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 60 | 1368 | 22,8 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 61 | 1385 | 22,7 |
| გლენ რობინსონი | მილუოკი | 56 | 1251 | 22,3 |
| რეი ალენი | მილუოკი | 60 | 1314 | 21,9 |
| დირკ ნოვიცკი | დალასი | 61 | 1327 | 21,8 |
| ანტონიო მაკდაიესი | დენვერი | 60 | 1279 | 21,3 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 60 | 1277 | 21,3 |
| მაიკლ ფინლი | დალასი | 61 | 1291 | 21,2 |
| **მოხსნა** | | | | |
| დიკემბე მუტომბო | ფილადელფია | 55 | 777 | 14,1 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 52 | 664 | 12,8 |
| ანტონიო მაკდაიესი | დენვერი | 60 | 731 | 12,2 |
| ბენ ვოლესი | დეტროიტი | 61 | 731 | 12,0 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 60 | 705 | 11,8 |
| შონ მარიონი | ფინიქსი | 57 | 642 | 11,3 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 61 | 684 | 11,2 |
| ელტონ ბრენდი | ჩიკაგო | 55 | 602 | 10,9 |
| ანტონიო დევისი | ტორონტო | 58 | 602 | 10,4 |
| ენტონი მეისონი | მაიამი | 61 | 103 | 9,7 |
| **პასი** | | | | |
| ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 55 | 546 | 9,9 |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 60 | 559 | 9,3 |
| მარკ ჯეკსონი | ნიუ იორკი | 62 | 544 | 8,8 |
| ნიკ ვან ექსელი | დენვერი | 62 | 526 | 8,5 |
| მაიკ ბიბი | ვანკუვერი | 62 | 525 | 8,5 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 60 | 493 | 8,2 |
| ტერელ ბრენდონი | მინესოტა | 57 | 435 | 7,6 |
| სემ კასელი | მილუოკი | 57 | 430 | 7,5 |
| სტივ ნეში | დალასი | 49 | 366 | 7,5 |
| ანდრე მილერი | კლივლენდი | 60 | 443 | 7,4 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 59 | 144 | 2,44 |
| დუგ კრისტი | საკრამენტო | 58 | 138 | 2,38 |
| მუკი ბლეილოკი | გოლდენ სტეიტი | 58 | 135 | 2,33 |
| ტერელ ბრენდონი | მინესოტა | 57 | 128 | 2,25 |
| ბაირონ დევისი | შარლოტი | 61 | 127 | 2,08 |
| ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 55 | 112 | 2,04 |
| ლარი ჰიუზი | გოლდენ სტეიტი | 50 | 96 | 1,92 |
| სტივ ფრენსისი | ჰიუსტონი | 59 | 112 | 1,90 |
| დარელ არმსტრონგი | ორლანდო | 60 | 112 | 1,87 |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 60 | 105 | 1,75 |
| **დაფარება** | | | | |
| თეო რეთლიფი | ფილადელფია | 50 | 187 | 3,74 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 52 | 153 | 2,94 |
| შონ ბრედლი | დალასი | 61 | 177 | 2,90 |
| დიკემბე მუტომბო | ფილადელფია | 55 | 154 | 2,80 |
| ჯერმენ ონილი | ინდიანა | 58 | 161 | 2,78 |
| რიფ ლაფრენცი | დენვერი | 60 | 146 | 2,43 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 60 | 141 | 2,35 |
| დევიდ რობინსონი | სან ანტონიო | 60 | 140 | 2,33 |
| ადონალ ფოილი | გოლდენ სტეიტი | 57 | 86 | 2,32 |
| მარკუს კემბი | ნიუ იორკი | 47 | 107 | 2,28 |

*შენიშვნა: პირველ სვეტში მითითებულია მოთამაშე, მეორეში — კლუბი, მესამეში — მატჩების რაოდენობა, მეოთხეში — შედეგი, მეხუთეში — საშუალო მაჩვენებელი*

# რა დროს პენსიაა, მოიტათ მილიონები!


ჯორჯ კარლი

**ამ** ორიოდე კვირის წინ „მილუოკი ბაქსის“ მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა მთელი თუ არა, ნახევარი მილუოკი მაინც დააფეთა, როცა განაცხადა — კალათბურთმა დამღალა და როგორც კი კლუბთან ჩემს კონტრაქტს ვადა გაუვა, გუდანაბადს ავიკრავ და პენსიაზე გავალო. მილუოკში ეს ამბავი მეხივით გავარდა. გულშემატკივრებმა შეიცხადეს, რა დროს კარლის პენსიაა, ჯერ 50 წლისაა, თან ძლივს ხეირიანი მწვრთნელი გვეღირსა და ეგეც თუ დავკარგეთ, რაღა გვეშველებაო. ქალაქში კარლი დაფასებული კაცია. აბა, რა იქნება: მის მისვლამდე „ბაქსს“ შვიდი წელი, პლეი ოფი თვალით არ ენახა, მისი მეთაურობით კი ზედიზედ ორჯერ მოხვდა იქ. წლეულს ხომ პირველად ბოლო 15 სეზონში სულაც ცენტრალურ დივიზიონს მოექცა სათავეში და ძნელად რომ ვინმეს დაუთმოს ლიდერობა. კარლი „მილუოკიში“ 1998 წელს მივიდა და კლუბთან ოთხწლიანი და ოცმილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი ხელშეკრულების მიხედვით ამჟამად მესამე სეზონს ატარებს გუნდში, კონტრაქტს კი ვადა მომდევნო სეზონის ბოლოს, ესე იგი 2002 წლის ზაფხულში გასდის.

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ კარლმა „მილუოკი“ საგრძნობლად მოაღონიერა და, ბუნებრივია, ასეთი კაცის დაკარგვას ვერც კლუბის მამები შეეგუებოდნენ. ჰოდა, მათაც კარლის განცხადების საპასუხო ნაბიჯი გადადგეს და გუშინწინ მას ისეთი ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, ნებისმიერ კაცს აცდუნებს და განზრახვაზე ხელს აალებინებს. კლუბის მფლობელმა, სენატორმა ჰერბ კოლმა კარლს ორწლიანი და 14-მილიონიანი ხელშეკრულება დაუდო წინ, რომლის მსგავსისთვისაც მსოფლიოს სპორტის არც ერთი სახეობის არც ერთ მწვრთნელს დღემდე ხელი არ მოუწერია. კონტრაქტი 2002 წლის ზაფხულს შევა ძალაში და ვადა ზუსტად ორი წლის შემდეგ გაუვა, თუ, ცხადია, კარლი დაყაბულდა. მისი აგენტის თქმით კი, ეს ასეც მოხდება. გარდა ამ 14 მილიონისა, სენატორი კოლი კარლს კლუბის აქციათა ერთ პროცენტს უფეშქაშებს, ეს კი ორიოსამი მილიონი არ გეგონოთ, 125 მილიონს უტოლდება. ხელშეკრულებაშია ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც კარლს უფლება ექნება, ვადამდე დატოვოს „ბაქსის“ თავკაცის პოსტი. ეს იმ შემთხვევაში, თუ „მილუოკი“ მანამდე ჩემპიონი გახდა და ამასთანავე მისი მშობლიური ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელის სკამი გათავისუფლდა. მიუხედავად იმისა, რომ კარლმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა (ალბათ უკვე გადაიფიქრა კიდეც), მას მაინც მიუწევს გული ჩრდილოეთ კაროლინაში და ეს პუნქტიც საგანგებოდ შეატანინა ხელშეკრულებაში.

ჯორჯ კარლის მიღწევებზეც ვთქვათ. იგი 14 წელია, მწვრთნელობას მისდევს და მასზე მეტი ნბა-ს თამაში მხოლოდ ექვს კაცს მოუგია. მისი კარიერის მწვერვალი კი 1996 წელს „სიეტლ სუპერსონიქსის“ ფინალში გაყვანა იყო, სადაც მისმა გუნდმა მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგო ბულზთან“ 2:4 წააგო სერია.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



# ვიჩხუბებთ, ხალხო!

## არ დაიჯეროთ — გვეუბნებიან მიმომხილველები


ლენოქს ლუისი


მაიკ ტაისონი

**მძიმე** წონის უპირობო ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა და ყოფილმა უპირობო ჩემპიონმა მაიკ ტაისონმა საზოგადოებას ერთობლივი განცხადებით დაუამეს გული: ჩვენი ჩხუბი, რომელსაც მთელი დედამიწა ელის და რომელიც უამრავ მილიონ დოლარს დაატრიალებს, წლის ბოლოს გაიმართებაო.

კრივის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ, რომ ასეთ დროს, თავად ბრძოლაზე მნიშვნელოვანი მის გარშემო ამტყდარი აურზაურია და, ბუნებრივია, ლუისისა და ტაისონისგან მთელი წლის განმავლობაში ხმაურიან ვაჭრობას ველით. ერთობლივს აუცილებლად შეცვლის რომელიმე ბანაკის განცხადება იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგეს ეშინია და ჩხუბს თავს არიდებს. შემდეგ რაღაცაზე შეთანხმდებიან, ხოლო ამის მერე ისევ ვერ შეთანხმდებიან...

საკრივო მიმომხილველები კი უკვე გამოთქვამენ ეჭვს, რომ ერთობლივი განცხადება, რომელიც პირველ აბზაცში ვახსენეთ, მხოლოდ და მხოლოდ მორიგი ფანდია, რადგან მასში არაა გათვალისწინებული მთავარი: ერთი მოკრივე ტელეკომპანია HBO-ს პარტნიორია, ხოლო მეორე „შოუთაიმის“ და პრობლემაც სწორედ ესაა.

HBO-სთან ლუისი გახლავთ კონტრაქტით შეკრული, ხოლო „შოუთაიმთან“ ტაისონი. აღსანიშნავია, ისიც რომ „შოუთაიმმა“ ერთხელ, უფრო სწორედ კი ორჯერ, უკვე გაიღო მსხვერპლი — განზე გადგა და ამით ლუის — ჰოლიფილდის ორ ჩხუბს გაუხსნა გზა, მაგრამ ლუის — ტაისონთან დაკავშირებით ტელეკომპანიის შეფი ჯეი ლერკინი კატეგორიულად აცხადებს, ამ სანახაობას ვერავის დავუთმობთო.

თავის მხრივ უკანდახევა HBO-ს მხრივაც გამორიცხულია. ამ ტელეკომპანიაში კარგად მოეხსენებათ, რომ მთავარი საკრივო ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ მისი აბონენტია, ხოლო ლუისის და ტაისონის შესაძლო ბრძოლა არნახული თანხის მოგებას ჰპირდებათ.

ამასობაში კი: „ორივემ ვიცით, რომ კრივის მოყვარულები ჩვენს დაპირისპირებას ელიან. გარდა ამისა, ეს გახლავთ ბრძოლა, რომელიც თავად გვსურს და ვიმედოვნებთ, რომ მასთან დაკავშირებით მალე ყველაფერი მოგვარდება. გვსურს, აგრეთვე, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება. უნდა განვაცხადოთ ისიც, რომ თითოეულ ჩვენგანს ცალ-ცალკე გვაქვს დანიშნული სხვა ბრძოლებიც და მათ დასრულებამდე ერთმანეთს ვერ შევხვდებით. გვსურს მასმედიასაც ვთხოვოთ გაგებით მოეკიდოს ჩვენს მდგომარეობას — მოლაპარაკებებს ღიად ვერ ვაწარმოებთ. ჩვენ ერთმანეთს შევუთანხმდით, რომ მოლაპარაკებათა სხვადასხვა ეტაპზე დეტალების კომენტარს არ გავაკეთებთ“ — წერია ლუისისა და ტაისონის ერთობლივ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ლენოქს ლუისი 21 აპრილს სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ იოჰანესბურგთან, კარნავალ სიტიში ნიუ იორკელ ჰასიმ რაჰმანს უნდა შეხვდეს, ხოლო მაიკ ტაისონს 19 მაისს, ამერიკაში, ნიგერიელ დევიდ აიზონთან აქვს ბრძოლა დანიშნული.

**ტუტა სიხარულიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 25-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ჰერტა-ჰანზა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 003 | ბოხუმი-კიოლნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-უნტერჰახინგი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.30 | 005 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 2,8 | 2,9 | 2;4 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-კოტბუსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 007 | ბაიერნი-კოტბუსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.15 | 008 | აინტრახტი-შალკე | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.30 | 010 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 25-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-მაინცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 014 | არმინია-ალენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | ქემნიცი-ალემანია | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 016 | ჰანოვერი-ულმი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 18.00 | 017 | კიკერსი-როიტლინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 018 | ფიურტი-ზანქტ პაული | 2,1 | 3,0 | 3,3 |

**12 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | მ'გლადბახი-ნიურნბერგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 020 | ასტონ ვილა-იფსვიჩი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 37-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 021 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 022 | ბირმინგემი-ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 023 | ბირმინგემი-ქრიუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 024 | ბოლტონი-ჯილინგემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 025 | ბოლტონი-ჯილინგემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 026 | ფულემი-ქუინზ პარკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 027 | გრიმსბი-ვულვერჰემპტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 028 | პორტსმუთი-სტოკპორტი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 029 | შეფილდი-ნოტინგემი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 030 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 031 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 032 | უიმბლდონი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 37-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 034 | ბორნმუთი-ბრისტოლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 035 | ბრენტფორდი-სტოკი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 036 | როვერსი-ბერი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 037 | კემბრიჯი-რექსემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 038 | მილუოლი-ლუტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 039 | ოლდემი-როტერჰემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 040 | ოქსფორდი-სუინდონი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 041 | პორტ ვეილი-პიტერბრო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 042 | სუინსი-ნორთჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 043 | უოლსოლი-კოლჩესტერი | 1,4 | 3,5 | 6,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 37-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | ბრაიტონი-ჰალი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 045 | კარლაილი-ჩელტენემი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | დარლინგტონი-ჰარტლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ექსეტერი-შრიუსბერი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 048 | ჰალიფაქსი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 049 | ლეიტონი-ტორკი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 050 | ლინკოლნი-კარდიფი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 19.00 | 051 | მენსფილდი-იორკი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 052 | პლიმუთი-ჩესტერფილდი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 053 | როჩდეილი-კიდერმინსტერი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 054 | საუთენდი-ბლეკპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 055 | მაკლსფილდი-ბარნეტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### იტალია. სერია "ა". 22-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 057 | ვიჩენცა-ნაპოლი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.30 | 058 | ატალანტა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,9 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 059 | ბოლონია-ლაციო | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 060 | ინტერი-ვერონა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 061 | ინტერი-ვერონა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.00 | 062 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 063 | იუვენტუსი-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 064 | ლეჩე-უდინეზე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 065 | პერუჯა-ფიორენტინა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 066 | რომა-ბრეშა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 067 | რომა-ბრეშა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.30 | 068 | პარმა-ბარი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 069 | პარმა-ბარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### იტალია. სერია "ბ". 26-ე ტური

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 071 | კიევო-რავენა | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 18.00 | 072 | კოზენცა-ემპოლი | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 18.00 | 073 | მონცა-კალიარი | 3,1 | 2,6 | 2,3 |
| 18.00 | 074 | პესკარა-სიენა | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 075 | პისტოიეზე-ანკონა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 076 | სალერნიტანა-ტრევიზო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 077 | სამპდორია-ჩიტადელა | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 078 | ვენეცია-ჯენოა | 1,45 | 3,1 | 8,0 |

**12 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 079 | ტერნანა-ტორინო | 2,4 | 2,5 | 3,0 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 26-ე ტური

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 080 | არეცო-ალესანდრია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 18.00 | 081 | ბრეშელო-კომო | 2,9 | 2,5 | 2,5 |
| 18.00 | 082 | ჩეზენა-რეჯანა | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 083 | ლეკო-კარარეზე | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 18.00 | 084 | ლუმეცანე-ლუკეზე | 1,85 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 085 | მოდენა-ლივორნო | 1,75 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 086 | პიზა-ალბინოლეფე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 18.00 | 087 | სპალ-ვარეზე | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 088 | სპეცია-ალძანო | 1,55 | 2,8 | 7,5 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 26-ე ტური

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 089 | ტორესი-მესინა | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 18.00 | 090 | ატლეტიკო-დი სანგრო | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 091 | აველინო-ბენევენტო | 1,55 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 092 | ფერმანა-ფ.ანდრია | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 093 | ჯულიანოვა-კატანია | 2,5 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 094 | ლოდიჯანი-ვიტერბეზე | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 095 | აკილა-ასკოლი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 096 | პალერმო-სავოია | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 097 | პეზარო-ნოჩერინა | 2,2 | 2,5 | 3,4 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 098 | დეპორტივო-ნუმანსია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 099 | დეპორტივო-ნუმანსია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24.00 | 100 | ვალენსია-ოსასუნა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 101 | ვალენსია-ოსასუნა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24.00 | 102 | ბილბაო-ვილიარეალი | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 103 | ალავესი-რაიო ვალეკანო | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 104 | ოვიედო-ესპანიოლი | 1,95 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 105 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,95 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 106 | მალაგა-სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 107 | რასინგი-ლას პალმასი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 20.00 | 108 | რეალი-სოსიედადი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 109 | რეალი-სოსიედადი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 110 | ბარსელონა-მალიორკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 111 | ბარსელონა-მალიორკა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 112 | ატლეტიკო-ბადახოსი | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 21.00 | 113 | სევილია-სპორტინგი | 1,5 | 3,3 | 7,0 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 114 | მურსია-ლევანტე | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 15.00 | 115 | ლეგანესი-ელჩე | 1,95 | 2,7 | 4,0 |
| 16.00 | 116 | უნივერსიდადი-ბეტისი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 20.00 | 117 | კორდობა-ფეროლი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 118 | ესტრემადურა-ხაენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 119 | ეიბარი-უელვა | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 20.00 | 120 | სალამანკა-ხეტაფე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 121 | სალამანკა-ხეტაფე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 122 | ლეიდა-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 123 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 124 | ტენერიფე-კომპოსტელა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. 24-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 126 | ბელენენსეში-ბენფიკა | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 127 | კამპომაიორენსე-ამადორა | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 128 | მარიტიმუ-ლეირია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 129 | ფარენსე-ბეირა მარი | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 130 | ალვერკა-სალგეირუში | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 131 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 22.30 | 132 | სპორტინგი-ავეში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 133 | სპორტინგი-ავეში 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**12 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 134 | გიმარაეში-პორტუ | 4,7 | 3,1 | 1,7 |

### პორტუგალია. II ლიგა. 24-ე ტური

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 135 | ვარზიმი-მარკუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 136 | ვარზიმი-მარკუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 137 | ფელგეირაში-მაია | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 138 | ნასიონალი-შავეში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 139 | ოვარენსე-ნავალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 140 | ლეცა-ესპინიუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 141 | იმორტალი-პენაფიელი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 142 | ფრეამუნდე-ლამაში | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 143 | აკადემიკა-სეტუბალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 144 | სანტა კლარა-რიუ ავე | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 24-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 147 | სიტარდი-როზენდალი | 1,8 | 3,4 | 3,3 |
| 22.30 | 148 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 149 | ალკმაარი-ვალვაიკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 150 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 17.30 | 151 | უტრეხტი-ვიტესი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 20.15 | 152 | გრონინგენი-აიაქსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 24-ე ტური

**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 153 | იგლსი-ექსელსიორი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.00 | 154 | დენ ბოსხი-ემენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 155 | დენ ბოსხი-ემენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 156 | ჰაარლემი-მაასტრიხტი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 157 | დორდრეხტი-ტელსტარი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 158 | ჰელმონდი-ვენლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 159 | ჰელმონდი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 160 | ეინდჰოვენი-ზვოლე | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 161 | ოსი-ვოლენდამი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 162 | კამბური-დენ ჰააგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 163 | ჰერაკლესი-ვეენდამი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბელგია. I დივიზიონი. 25-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 23.00 | 165 | ანდერლეხტი-გენკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 166 | ანდერლეხტი-გენკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 167 | შარლერუა-მუსკრონი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 168 | ბევერენი-ლოკერენი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 169 | მეხელენი-ბრიუგე | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| | | 11 მარტი | | | |
| 17.00 | 170 | ანტვერპენი-გენტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 171 | სენტ ტრუიდენი-ლუვიე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.00 | 172 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 173 | ჰარელბეკე-ლიერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ბელგია. II დივიზიონი. 27-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 22.30 | 174 | მონსი-ტინენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 175 | ლიეჟი-ჰეკელგემი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 176 | ლომელი-დესელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 177 | დაინცე-ტურნჰაუტი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 178 | მაასლანდი-მოლენბეკი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.00 | 179 | ჰეუსდენი-სტრომბეკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 180 | ინგელმუნსტერი-გეელი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 181 | სერკლი-ოსტენდე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 11 მარტი | | | |
| 18.00 | 182 | რუზელარე-დენდერლეუ | 1,85 | 2,9 | 4,2 |

**საბერძნეთი. 22-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 21.00 | 183 | პანათინაიკოსი-პაოკ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | 11 მარტი | | | |
| 18.00 | 184 | პანილიაკოსი-ქსანთი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 185 | იონიკოსი-იანინა | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.00 | 186 | ოფი-ირაკლისი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 18.00 | 187 | ეთნიკოსი-პანიონიოსი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 188 | ათინაიკოსი-არისი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 21.00 | 189 | პანაჰაიკი-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,4 | 1,5 |
| | | 12 მარტი | | | |
| 17.00 | 190 | აეკ-კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 191 | აეკ-კალამატა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ჩეხეთი. მე-20 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 მარტი | | | |
| 13.15 | 193 | ჟიჟკოვი-სპარტა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 194 | ბლშანი-პლზენი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 17.30 | 195 | სინოტი-ბოჰემიანსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 17.30 | 196 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 17.30 | 197 | ბრნო-პრჟიბრამი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 198 | დრნოვიცე-ლიბერეცი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | 12 მარტი | | | |
| 22.00 | 199 | სლავია-ბანიკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**პოლონეთი. მე-16 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 17.00 | 200 | პოლონია-ამიცა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 17.00 | 201 | რაძიონკოვი-ვისლა | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 18.00 | 202 | ოდრა-სტომილი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 203 | პოგონი-აკტოვიცე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 18.00 | 204 | გროცლინი-პლოცკი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 205 | ვიძევი-რუხი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.15 | 206 | გურნიკი-შლიონსკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 17.30 | 207 | ზაგლებე-ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**თურქეთი. 24-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 16.00 | 209 | ერზურუმი-ისთანბული | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 16.00 | 210 | ბურსა-ქოჯაელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16.00 | 211 | სამსუნი-დენიზლი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 212 | გალათასარაი-გენჩლერბირლ. | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 16.00 | 213 | რიზე-ადანა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 16.00 | 214 | ტრაბზონი-იეთფა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 215 | ტრაბზონი-იეთფა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 16.00 | 216 | ანკარაგიუჯიუ-იოზგათი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 21.00 | 217 | ფენერბაჰჩე-ანთალია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 218 | ფენერბაჰჩე-ანთალია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ავსტრია. 24-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 220 | რაპიდი-ადმირა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | 10 მარტი | | | |
| 18.30 | 221 | რიდი-ზალცბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 18.30 | 222 | ბრეგენცი-აუსტრია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 18.30 | 223 | ტიროლი-ლინცერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 224 | ტიროლი-ლინცერი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.30 | 225 | გრაცერი-შტურმი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-3 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 20.30 | 226 | ლოზანა-სიონი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 22.30 | 227 | სერვეტი-სენტ გალენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 17.30 | 228 | ლუგანო-ციურიხი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.15 | 229 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1,65 | 3,1 | 4,7 |

**შვეიცარია. "ა/ბ" ჯგუფი. მე-3 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 20.30 | 230 | არაუ-ივერდონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | 11 მარტი | | | |
| 17.30 | 231 | ქსამაქსი-ბელინცონა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 232 | ვილი-ლუცერნი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 233 | ვინტერთური-იანგ ბოისი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-3 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 20.30 | 234 | დელემონი-ვანგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | 11 მარტი | | | |
| 17.30 | 235 | კრონსი-სოლოთურნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 17.30 | 236 | ლოკარნო-კარუჟი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 237 | თუნი-ბადენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**დანია. მე-19 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 მარტი | | | |
| 18.00 | 238 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 239 | ჰედერსლევი-ლიუნგბიუ | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 18.00 | 240 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 241 | ვიბორგი-ჰერფიოლგე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.05 | 242 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | 12 მარტი | | | |
| 22.00 | 243 | აკადემისკი-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**რუსეთი. 1-ლი ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 17.00 | 244 | ჩერნომორეცი-ცსკა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 17.00 | 245 | სპარტაკი-სოკოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 17.00 | 246 | როტორი-ზენიტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.00 | 247 | როსტსელმაში-ლოკომოტივი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 17.00 | 248 | ზილ-ანჟი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 249 | სატურნი-ალანია | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 17.00 | 250 | ფაკელი-ტორპედო | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 17.00 | 251 | დინამო-კრილია სოვეტოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ინგლისი. თასის 1/4 ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 19.00 | 252 | არსენალი-ბლექბერნი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 253 | ლესტერი-უიკომბი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 18.00 | 254 | ტრანმერი-ლივერპული | 5,0 | 3,4 | 1,55 |
| 20.00 | 255 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2,1 | 3,0 | 3,1 |

**საფრანგეთი. თასის 1/8 ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 20.00 | 257 | რეიმსი-ბასტია | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.00 | 258 | შატორუ-გრენობლი | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 23.00 | 259 | ტრუა-ვასკეალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 260 | კარკასონი-ნანტი | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 23.00 | 261 | ფონტენი-ლიონი | 7,0 | 3,8 | 1,3 |
| 23.00 | 262 | ამიენი-ლე მანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 263 | ვანე-ოსერი | 7,0 | 3,5 | 1,4 |

**შოტლანდია. თასის 1/4 ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 19.00 | 264 | კილმაროკი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 265 | ლივინგსტონი-პეტერჰედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 18.35 | 266 | სელტიკი-ჰარტსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 22.05 | 267 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 6,5 | 3,6 | 1,4 |

**მჩ შესარჩევი მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 18.00 | 501 | ზიმბაბვე-მალავი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 502 | ზამბია-ლიბია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 503 | სენეგალი-ნამიბია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.30 | 504 | სიერა ლეონე-სუდანი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 505 | დრ კონგო-კოტ დივუარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | 11 მარტი | | | |
| 18.00 | 506 | ტოგო-ანგოლა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 507 | განა-ნიგერია | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 508 | ეგვიპტე-ალჟირი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**კალათბურთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 04.00 | 813 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 814 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 815 | შარლოტი-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 816 | ორლანდო-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.30 | 817 | ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| | | 11 მარტი | | | |
| 21.30 | 818 | ნიუ იორკი-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 819 | ბოსტონი-ფილადელფია | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 00.30 | 820 | ვანკუვერი-ტორონტო | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 02.30 | 821 | საკრამენტო-იუტა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.00 | 822 | დეტროიტი-ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 823 | კლივლენდი-მილუოკი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 824 | ფინიქსი-ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 825 | დალასი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.30 | 826 | ლეიკერსი-სიეტლი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | 12 მარტი | | | |
| 04.00 | 827 | შარლოტი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 05.00 | 828 | მინესოტა-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.30 | 829 | სან ანტონიო-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.30 | 830 | გოლდენ სტეიტი-დენვერი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

**ჰოკეი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | |
| 21.00 | 906 | ბოსტონი-ატლანტა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 24.00 | 907 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 908 | სენტ ლუისი-დეტროიტი | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 909 | დალასი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 910 | ოტავა-რეინჯერსი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 911 | ფინიქსი-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 912 | პიტსბურგი-კალგარი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.30 | 913 | ტამპა ბეი-კოლუმბუსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.00 | 914 | ვანკუვერი-ტორონტო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 07.30 | 915 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 07.30 | 916 | სან ხოსე-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| | | 11 მარტი | | | |
| 22.00 | 917 | აილენდერსი-ფლორიდა | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 22.30 | 918 | კაროლინა-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 23.00 | 919 | მინესოტა-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 02.00 | 920 | ვაშინგტონი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 921 | ატლანტა-კალგარი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 922 | კოლორადო-დალასი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.00 | 923 | ანაჰაიმი-ნეშვილი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| | | 12 მარტი | | | |
| 04.30 | 924 | რეინჯერსი-პიტსბურგი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 925 | სან ხოსე-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

*ფეხბურთის "I ტაიმ/ძირითადი დრო" კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე*

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ერის ჩემპიონატი

# თურქული ტერორიზმს ჰგავს

საქონლის ჭირი ანუ თურქული ისევ ეტაკა ექვსი ერის ჩემპიონატს და მისი კალენდარი მთლიანად აურ-დაურია. ოთხშაბათს ცნობილი გახდა, რომ 24 მარტს დუბლინში დანიშნული ირლანდია — ინგლისი და ორი კვირის თავზე, 7 აპრილს ედინბურგში გასამართი შოტლანდია — ირლანდია გადაიდო, თუმცა როდისთვის, ჯერ ცნობილი არ არის.

ბრიტანეთში გავრცელებული თურქულის ეპიდემიის გამო ექვსი ერის მესამე ტურში მხოლოდ ორი მატჩი ჩატარდა, რადგან კარდიფში ჩასვლასა და უელსთან გაჯიბრებაზე ირლანდიამ უარი განაცხადა. „სამყურებს“ გაერთიანებულ სამეფოში შესვლა და იქიდან ხალხის მიღება აეკრძალათ საკუთარი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე. ირლანდიის მთავრობა ამ აკრძალვით ცდილობს თურქულისგან თავის დაცვას, ოღონდ რამდენად გამოუვა, ძნელი სათქმელია. არადა, ირლანდიამ პირველ ორ ტურში კონტინენტელებს, იტალიასა და საფრანგეთს მოუგო და ტურნირის მოგებაზეც აცხადებდა პრეტენზიას, თუ, რა თქმა უნდა, მთავარ ფავორიტ ინგლისს აჯობებდა.

რაც შეეხება მეოთხე ტურის დანარჩენ ორ მატჩს (შოტლანდია — იტალია, საფრანგეთი — უელსი), ისინი ჯერჯერობით არ გადაუტანიათ, თუმცა 17 მარტამდე გადაწყვეტილება შეიძლება კიდევ შეიცვალოს.

როდის ჩაატარებს ირლანდია გამოტოვებულ შეხვედრებს, ექვსი ერის საორგანიზაციო კომიტეტის გადასაწყვეტია, მაგრამ ეს არცთუ იოლი დასადგენია, რადგან დაინტერესებულ მხარეებს აბსოლუტურად განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. ირლანდიის შემადგენლობის დაყენება გაცილებით რთულია, რადგან მოწინავე „საყურების“ სრულფასოვანი შეცვლა უფრო ძნელია, ვიდრე ინგლისისა. ამიტომ კელტებს მიყოლებით, სამ კვირაში თამაშის გამართვა არ სურთ. ასე რომ, ექვსი ერის ჩემპიონატი შუა მაისში ვერაფრით დამთავრდება.

თანაც ირლანდიის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თავის რეკომენდაციაში განსაკუთრებით იმას გაუსვა ხაზი, რომ მატჩების ჩატარება ბრიტანელებთან მხოლოდ თურქულის ბოლო შემთხვევის დაფიქსირებიდან ოცდაათი დღის შემდეგ შეიძლება, რათა ვირუსის კუნძულზე გავრცელების რისკი მინიმუმამდე შემცირდეს. ამან შეიძლება 29 აპრილს დანიშნული უელსისა და ირლანდიის მატჩის ისევ გადატანაც კი გამოიწვიოს.



მაკ გოლვეის (ბურთით) და მის ირლანდიას „ექვსი ერის ჩემპიონატის“ დარჩენილი მატჩები გადაუდეს

შესაბამისად, ახალი, თავისუფალი თარიღების ძიება მიმდინარეობს, რაც ძალიან შრომატევადი სამუშაოა. თავად ნახეთ: ივნისში ბრიტანელი „ლომები“ (ნაკრები) ავსტრალიაში მიემგზავრება ტურნეზე. ინგლისურ კლუბებს 5 და 12 მაისსაც კი არ სურთ თავიანთი მოთამაშეების სანაკრებოდ გათავისუფლება, რადგან იმ დღეებში ინგლისის ჩემპიონატის სიმბოლური მატჩები, ნახევარფინალი და ფინალია დანიშნული. სიმბოლური იმიტომაა, რომ ქვეყნის ნამდვილი ჩემპიონი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულია, მერე კი რვა საუკეთესო გუნდი სპონსორთა გასახარად პლეი ოფში ებმება. წესით, ამ თამაშების გადმოტანა ირლანდია — ინგლისის დღეს, 24 მარტს, შეიძლება და შესაბამისად მაისიც გამოთავისუფლდება. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორი ალბიონური კლუბი, „ლესტერი“ და „გლოსტერი“ ევროპის თასის ნახევარფინალში 21 აპრილს უნდა შეხვდეს ერთმანეთს და შესაბამისად ერთ-ერთი ფინალშიც ითამაშებს (19 ან 20 მაისი).

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ ექვსი ერის ჩემპიონატი ან შემოდგომაზე, ან საერთოდ აღარ დასრულდეს, როგორც უკვე მოხდა 1972 წელს. ირლანდიამ მაშინაც ვერ შეძლო მატჩების გამართვა, ოღონდ არა თურქულის, არამედ ჩრდილოირლანდიური ტერორისტული ორგანიზაციის ირა-ს გამო.

ისე, აქვე გეტყვით, რომ თურქულს მხოლოდ საერთაშორისო რაგბი არ უზარალებია — დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ბევრი სხვა მატჩიც გადაიდო და ბევრი ტურნირის ნორმალური მიმდინარეობაც ჩაიშალა.

**გაგი გურული**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# გაორებული პრიმო

8 მარტი

**ბოსტონი 3:5 ოტავა (0:1 1:2 2:2)**

0:1 მაკიჩერნი 7(26), 0:2 მაკიჩერნი 27(27), 2:5 ნაბლი 35(7), 1:3 ბონკი 38(25), 2:3 ტორნტონი 41(29), 3:3 როლსტონი 42(14), 3:4 პოსა 46(27), 3:5 ბონკი 52(21)

**ატლანტა 3:5 პიტსბურგი (1:1 2:2 0:2)**

0:1 სტრაკა 6(23), 1:1 კალიო 14(10), 2:1 სოდეტი 25(31), 2:2 იაგრი 31(37), 2:3 სტივენსი 31(9), 3:3 კონი 33(6), 3:4 პნორტონი 57(2), 3:5 იაგრი 60(38)

**ტამპა 1:0 კაროლინა (0:0 0:0 1:0)**

1:0 სენტ ლუისი 60(12)

**ფინიქსი 3:2 ვანკუვერი (0:0 1:2 1:0 1:0)**

0:1 ბერტუცი 28(23), 0:2 მორისონი 33(15), 1:2 მეი 34(10), 2:2 ტკაჩუკი 56(29), 3:2 დოუნი 61(21)

**ნიუ ჯერსი 6:2 მინესოტა (2:1 2:1 2:0)**

0:1 გეიფი 15(10), 1:1 ბრილინი 16(20), 2:1 ელიაში 17(28), 3:1 ნიდერმაიერი 33(4), 4:1 კორკამი 37(5), 4:2 კუბა 38(7), 5:2 სიკორა 44(29), 6:2 მაკეი 48(18)

**სენტ ლუისი 2:5 კოლორადო (2:2 0:3 0:0)**

0:1 საკიკი 7(38), 0:2 პეიდუკი 14(37), 1:2 რეირდენი 16(2), 2:2 რიზონერი 20(4), 2:3 საკიკი 24(39), 2:4 ნიემინენი 34(11), 2:3 რაინპრეხტი 38(13)

**ლოს ანჯელესი 4:1 ნეშვილი (2:1 1:0 1:0)**

1:0 ბუშე 2(2), 1:1 ჩელბერგი 7(12), 2:1 ვისნოვსკი 7(7), 3:1 ლაპერიე 37(7), 4:1 გ. მიურეი 53(16)

**ფილადელფია 5:2 კალგარი (1:0 2:1 2:1)**

1:0 პრიმო 9(30), 2:0 დესჟარდენი 23(14), 2:1 იგინლა 32(25), 3:1 პრიმო 35(31), 4:1 მაკალისტერი 44(2), 4:2 იგინლა 55(26), 5:2 პრიმო 60(32)

კოლორადო ამაყად დაჰყურებს სატურნირო ცხრილის სათავიდან მდევრებს და არც მორიგ მეტოქე სენტ ლუისს მისცა მიახლოების საშუალება. მართალია, ბოლო დროს „ბლუზმენებს“ პრობლემები ჰქონდათ, კრის პრონგერისა და ელ მაკინისის დაკარგვა 10 წაგებად დაუჯდათ და მხოლოდ 4 მატჩი მოიგეს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ისინი ყოველთვის თავდადებით იბრძვიან. ამიტომაც „ეველანშის“ სტუმრად გამარჯვება სენტ ლუისთან ბევრ რამეზე მეტყველებს. მასპინძლებმა მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწიეს მეტ-ნაკლებად წინააღმდეგობა მრისხანე მეტოქეს და ორი შაიბა გაქვითეს. თუმცა მეორე მესამედში სტუმრებმა ისე იოლად გადაწყვიტეს მატჩის ბედი, თითქოს არა უშუალო კონკურენტს, არამედ ვილაც მაჩანჩალას ეპაექრებოდნენ. კვლავ გაიბრწყინა ჯო საკიკმა. საერთოდ იგი წლეულს ძალიან კარგად თამაშობს და მშვიდად ვერც ამ შეხვედრაში იქნებოდა, რადგან იარომირ იაგრის დაწინაურება ბომბარდირთა სიაში ამის უფლებას არ აძლევდა. ამიტომაც „ბლუზმენებთან“ საკიკმა ძალიან მოინდომა, ანგარიშიც გახსნა და თავისი გუნდი მეორედ და საბოლოოდ დააწინაურა, მერე კი ამას პასიც მიამატა. „ჯო ასე არა მარტო დღეს, არამედ მთელი სეზონის განმავლობაში ირჯება“ — ამბობს კოლორადოელთა თავკაცი ბობ ჰარტლი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამჯერად სენტ ლუისი მეკარე რომან ტურეკმაც დაალალატა. ხუთი შაიბიდან მინიმუმ ორი მის სინდისზეა, ამიტომაც მიაშურა მან სათადარიგოთა სკამს მეორე პერიოდის მიწურულს. ტურეკი ისეთი ნირწამხდარი იყო, რომ იქაც ვერ გაჩერდა და საკუთარი შეცდომების გაანალიზება გასახდელში ამჯობინა.



ფილადელფია — კალგარი. კეიტ პრიმომ სამიდან პირველი გოლი გაუტანა კალგარელებს

თუმცა არც იაგრი აპირებს ესოდენ დიდი შრომის ფასად მოპოვებული პირველობის დაკარგვას. საკიკის დარად, მან ატლანტასთან შეხვედრაში 3 (2 გოლი, 1 პასი) ქულა მიითვალა, 95 (38 გოლი, 57 პასი) დაუგროვდა და საკიკს კვლავ ქულით უსწრებს. აღსანიშნავია, რომ მეორე გოლი იაგრმა ცარიელ კარში გაიტანა. მატჩი რომ გადაერჩინათ, მეტოქეებმა მეექვსე მოთამაშე გაიყვანეს ყინულზე მეკარის მაგივრად, მაგრამ იაგრმა მათ შაიბა წაართვა, გზად მცველიც მოატყუა და ვარდნაში მაინც მოახერხა კარის დალაშქვრა. უნდა ითქვას, რომ პიტსბურგისთვის ეს ბოლო ორ დღეში მეორე მატჩი იყო და მარიო ლემიეს დაპირებისამებრ არ უნდა ეთამაშა. მაგრამ ვაშინგტონთან მარცხით გამწარებულმა ლემიემ გადაწყვეტილება შეცვალა, რადგან გუნდს საპლეიოფო ადგილის დასაბევებლად ქულები სჭირდება და 2 პასით მოგებაში თავისი წვლილი შეიტანა. სულ კი სუპერმარიოს 29 ჩატარებულ შეხვედრაში უკვე 51 (25 გოლი, 26 პასი) ქულა მოუგროვდა. ისე კი, პიტსბურგი მოგებას მაინცდამაინც არ იმსახურებდა. ატლანტა ანგარიშის გათანაბრების შემდეგ უფრო ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, მცველ ჯეფ ნორტონს არცთუ სახიფათო დარტყმა რიკოშეტის შემდეგ აუღებელი გახდა და შარშანდელი დებიუტანტი პიტსბურგთან მერვე შეხვედრაში მერვედ დამარცხდა.

ფილადელფია კი საკვირველ რამეებს სჩადის. ლამის ყველა ბოლო მატჩში „მფრინავები“ მოთამაშეებს კარგავენ, მაგრამ ეს მათ კიდევ უფრო აძლიერებს. გუნდის თავკაცებმა სულ ახლახან გამოუძებნეს კეიტ პრიმოსა და მარკ რეკის ღირსეული პარტნიორი დეიმონ ლენგკოუს სახით, მაგრამ იგი კალგარისთან პირველივე წუთებზე დაშავდა. თუმცა ამან, კეიტ პრიმოს, როგორც ჩანს, სტიმული შემატა. ლენგკოუს არყოფნის გამო იგი იძულებული გახდა, ერთბაშად ორ სამეულში გამოსულიყო, მიუხედავად ამისა, კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი მოიმკო და ამას ერთი პასიც დაამატა.

„შარშან ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ნჰლ-ში კიდევ ვითამაშებდი. ვერ ვიჯერებ, რომ ასეთ საუცხოო გუნდში მოვხვდი“ — ამბობს პრიმო, რომელსაც შარშან კაროლინასთან საკონტრაქტო ომი ჰქონდა.

ოდესღაც ნიუ ჯერსიში მუშაობისას სახელოვანმა მწვრთნელმა ჟაკ ლემერმა წარმატების ფორმულა გამოიგონა და სხვადასხვა დაცვითი სისტემების, ეგრეთ წოდებული „ხაფანგების“ ხარჯზე „ეშმაკები“ ჩემპიონიც გახადა. ახლა ეს სპეციალისტი მინესოტაში ცდილობს თავისი იდეების დანერგვას და გამოსდის კიდეც — დებიუტანტი ხომ საკმაოდ ცოტა გოლს უშვებს. თავის ყოფილ გუნდთან პირველ შეხვედრაში კი ლემერს ძალიან უნდოდა, თავისი შეგირდების განსწავლულობა გამოეჩინა, მაგრამ კრახი განიცადა. ნიუ ჯერსი, რომელიც დღესდღეობით სულ სხვაგვარ, გაცილებით შინაარსიან ჰოკეის თამაშობს, მეტოქის „ხაფანგებში“ არ გაება. თანაც, მთელმა გუნდმა ივარგა — 18 მოთამაშიდან 15-მა (!) მინიმუმ ერთი ქულა მაინც მიითვალა.

სანამ ნიკოლაი ხაბიბულინი თავისი ტამპური კარიერის დაწყებისთვის ემზადება, მისი შავკანიანი კოლეგა კევინ უიქსი სულაც არ აპირებს მთავარი მეკარის წოდების დათმობას. მიუხედავად კაროლინას მცდელობისა, უიქსმა ოცივე დარტყმა მოიგერია და ბოლო ოთხ მატჩში მესამე შათაუტი გააკეთა, პარტნიორებმაც გაახარეს ბოლო წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით.

კაროლინელთა მარცხმა ბოსტონს კონკურენტთან (გუნდები აღმოსავლეთის მერვე საპლეიოფო ადგილისთვის იბრძვიან) გატოლების შანსი მისცა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა „დათვებმა“ ოტავასთან შეხვედრაში რის ვაი-ვაგლახით გაათანაბრეს ანგარიში, გუნდი ლიდერმა ბილ გერინმა დაალალატა. მისი გაძევება ბოსტონს რადეკ ბონკისგან გაშვებული გადამწყვეტი გოლის ფასად დაუჯდა.

დასავლეთში კი ლოს ანჯელესი იხტიბარს არ იტეხს და ედმონტონს კუდში მისდევს. რაც გუნდს ლიდერი რობ ბლეიკი გამოეთხოვა, „მეფეებმა“ 8 თამაშში 6 მოგება იზეიმეს და დღესდღეობით მერვე ადგილზე მყოფ კონკურენტს სამი ქულით ჩამორჩებიან.

**სამველ ლარიბიანი**

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 67 | 39 | 8 | 3 | 17 | 217:163 | 89 |
| ნიუ ჯერსი | 67 | 35 | 12 | 3 | 17 | 232:161 | 85 |
| ვაშინგტონი | 67 | 35 | 10 | 2 | 20 | 192:168 | 82 |
| ფილადელფია | 68 | 36 | 10 | 2 | 20 | 206:177 | 84 |
| ბუფალო | 67 | 36 | 5 | 1 | 25 | 176:156 | 78 |
| პიტსბურგი | 67 | 34 | 7 | 2 | 24 | 227:210 | 77 |
| ტორონტო | 69 | 31 | 10 | 5 | 23 | 202:172 | 77 |
| კაროლინა | 67 | 30 | 8 | 3 | 26 | 174:182 | 71 |
| ბოსტონი | 68 | 28 | 6 | 7 | 27 | 184:210 | 69 |
| რეინჯერსი | 66 | 26 | 4 | 1 | 35 | 206:236 | 57 |
| მონრეალი | 68 | 23 | 5 | 4 | 36 | 167:197 | 55 |
| ფლორიდა | 68 | 17 | 10 | 8 | 33 | 160:205 | 52 |
| ატლანტა | 67 | 19 | 11 | 2 | 35 | 178:234 | 51 |
| ტამპა | 68 | 19 | 6 | 3 | 40 | 164:234 | 47 |
| აილენდერსი | 67 | 18 | 5 | 3 | 41 | 150:220 | 44 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 67 | 43 | 9 | 3 | 12 | 227:153 | 98 |
| დეტროიტი | 68 | 40 | 7 | 4 | 17 | 206:174 | 91 |
| დალასი | 67 | 37 | 5 | 2 | 23 | 188:163 | 81 |
| სენტ ლუისი | 68 | 39 | 8 | 4 | 17 | 219:162 | 90 |
| ვანკუვერი | 68 | 34 | 5 | 7 | 22 | 212:201 | 80 |
| სან ხოსე | 67 | 34 | 11 | 1 | 21 | 181:155 | 80 |
| ფინიქსი | 68 | 31 | 13 | 2 | 22 | 179:172 | 77 |
| ედმონტონი | 67 | 32 | 9 | 2 | 24 | 187:177 | 75 |
| ლოს ანჯელესი | 68 | 31 | 9 | 1 | 27 | 217:202 | 72 |
| ჩიკაგო | 67 | 28 | 6 | 3 | 30 | 185:195 | 65 |
| ნეშვილი | 69 | 27 | 8 | 2 | 32 | 160:179 | 64 |
| კალგარი | 66 | 23 | 12 | 4 | 27 | 161:189 | 62 |
| მინესოტა | 67 | 23 | 10 | 3 | 31 | 144:170 | 59 |
| კოლუმბუსი | 66 | 21 | 7 | 6 | 32 | 152:191 | 55 |
| ანაჰაიმი | 68 | 20 | 8 | 5 | 35 | 160:205 | 53 |



ბიძინა გეგიძე



მერაბ ჟორდანია

ბაჩო კილიაშვილის ფოტო

# მზეო, ამოდი, ამოდი...

## დედამ შვილი არ უნდა გამოარჩიოს, ეროვნულმა კი ნაკრები

**საქართველოს** მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა წინა კვირას „ევროპის ერთა თასზე" რუსეთი სტუმრად დაამარცხა, 17 მარტს კი უპრინციპულესი მატჩი ელის ესპანეთის ნაკრებთან. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა და ქვეყანა არ დაიქცა, ჩვენები უეჭველად მორიგ გამარჯვებას იზეიმებენ, ამით კი მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამენ. მაგრამ გასარკვევი ერთი დარჩა — სად დაუხვდება საქართველოს ნაკრები ესპანელებს? პირინეელებმა საქართველოს რაგბის კავშირში წერილი აფრინეს, ეგებ ნეიტრალურ მოედანზე გვებურთავა, ამით ორივეს ფული დაგვეზოგებაო. საქართველოს რაგბის კავშირმა თავი შორს დაიჭირა, ფული რა მოსატანია, როდესაც „ბორჯღალოსანთა" ყოველი საშინაო თამაში რაგბისა და ქართველი ხალხის ნამდვილი ზეიმიაო. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ქართველ მორაგბეები ესპანელებს „ეროვნულზე" უნდა გაეჯიბრებოდნენ, მაგრამ...

28 მარტამდე სტადიონი უნდა დავასვენოთ. მინდორი საშინელ დღეშია, თუ არ მოვაწესრიგეთ, საქართველო — რუმინეთის საფეხბურთო მატჩის შემდეგ უეფასგან სასჯელი არ აგვცდებაო, ითქვა. არავის უფიქრია, რა ბედი ელოდა მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს. სად ითამაშებენ „ბორჯღალოსნები"? რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამაც მოედნის ძიება ქალაქგარეთ დაიწყო. სიშორის გამო ქუთაისი და ბათუმის სტადიონები თავიდანვე გამოირიცხა. რეალურ ალტერნატივად რუსთავი რჩებოდა, მაგრამ მოედნის უვარგისობის გამო ისიც გამოირიცხა. კვლავ ძიება, „შევარდენი", „ისანი", მცხეთის „არმაზი", „სინათლე"... ისე, ამ სტადიონების გაზონის მდგომარეობას თითქოს არაუშავს, მაგრამ სტადიონი განა მარტო მოედანია?!

სად უმასპინძლებს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ესპანელებს? კიდევ ერთხელ გაიჟღერა ამ კითხვამ. საბოლოოდ, როცა ყველაფერი გამოირიცხა, ორი სტადიონიღა დარჩა: კვლავ „ეროვნული" და გორის „დილას" სარბიელი.

გუშინ ეროვნული სტადიონის დირექტორ ნუკრი კაკილაშვილის სამუშაო კაბინეტში თათბირი გაიმართა და, რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ თავშეყრის მიზეზი სწორედ საქართველო — ესპანეთის მატჩის ჩატარების ადგილის დადგენა გახლდათ. კაკილაშვილის კაბინეტში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, თბილისის ვიცე-პრემიერი ვლადიმერ დარჯანია და სტადიონის დირექტორი ნუკრი კაკილაშვილი შეიკრიბნენ. თათბირზე ახალი არაფერი თქმულა, მაგრამ ჟორდანიას ნათქვამის გამეორებამ მოუწია: „მოედანი საშინელ მდგომარეობაშია, უკრაინელებთან მატჩის შემდეგ ორმა ფეხბურთელმა მითხრა, ასეთ მოედანზე სათამაშოდ ნაკრებში მეორედ აღარ გამოგვიძახოთო. თუ რუმინელებთან მატჩი ჩვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდა, ფეხბურთელებმა მარცხი შეიძლება მინდვრის უვარგისობას დააბრალონ".

რა უფლება გვაქვს, ჟორდანიას სიტყვებს არ ვენდოთ, მაგრამ მთავარი მაინც სხვა საკითხი იყო. შეძლებდნენ თუ არა საქართველო — ესპანეთის სარაგბო მატჩის შემდეგ სტადიონის მომვლელები 28 მარტამდე მინდვრის სასურველ კონდიციებამდე მოყვანას, რაზეც ეროვნულის მთავარმა აგრონომმა ორაზროვნად უპასუხა: დიახ და არა. რა იგულისხმება ამ პასუხში? ერთი ის, რომ სარაგბო მატჩის შემდეგ გაზონის მოწესრიგება ათ დღეშია შესაძლებელი, მეორე — შეუწყობს თუ არა ამინდი ხელს ამ პროცესს.

ერთი სიტყვით, იქნება მზე, იქნება ნორმალური მოედანიც, მაგრამ სინოპტიკოსთა პროგნოზებს ხომ ვერ დაეყრდნობი. უეფა კი დადგენილი ნორმების დაკმაყოფილებას ითხოვს. წინააღმდეგ შეთხვევაში ფეხბურთის ფედერაციას სასჯელი დაეკისრება. რაგბის კავშირს ერთი გზა რჩება, ესპანელებს გორში უმასპინძლოს, მაგრამ გორის „დილას" სპორტული სარბიელის მდგომარეობას არ იკითხავთ? მოედნის პარამეტრები რაგბის სტანდარტებს ვერ პასუხობს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მსაჯთა და მოთამაშეთა გასახდელების დღევანდელი მდგომარეობა.

ბიძინა გეგიძე: „ამ დილით გორში ვიყავით, დავათვალიერეთ „დილას" სტადიონი, მინდორი ნორმალურია, მაგრამ სხვა დანარჩენს სასწრაფოდ უნდა მიხედვა. კოსმეტიკური სამუშაოები რომ ჩავატაროთ, ათი ათასი ლარია საჭირო, რაც ქალაქ გორის ხელმძღვანელობასა და სტადიონის ადმინისტრაციას არ გააჩნია. გარდა ამისა, ჩვენ დიდ რისკზე მივდივართ. მატჩის კომისარმა შეიძლება თვალი დახუჭოს მოედნის არასტანდარტულობაზე, შეიძლება არც საშხაპეებსა და გასახდელებს მიაქციოს ყურადღება, მაგრამ ესპანელები ყველაფერს იღონებენ, როგორმე თავიანთ სასიკეთოდ გამოიყენონ შექმნილი მდგომარეობა. რა გარანტია გვაქვს, რომ ესპანეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ყველაფერს მისხალ-მისხალ არ გადათვლის და IRB-ში არ გვიჩივლებს, მით უმეტეს, რომ იგი სწორედ „ევროპის ერთა თასის" საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორია. თანაც ესპანელებს თბილისში აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მსოფლიოს თასზე მოხვედრა საეჭვო იქნება."

კარგი, თავი დავანებოთ მეტოქის უპატივცემულობას, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რომ შეიძლება, დღემდე გამარჯვებებით მოპოვებული ნაოფლარი ქულები ერთი ხელის მოსმით წყალში ჩავყაროთ. არა, „ეროვნულს" ნამდვილად უნდა ვუშველოთ, მაგრამ განა ჩვენი მორაგბეების დაჩაგვრის ხარჯზე?! ამ აზრს ქალაქის მერიაც ითვალისწინებს და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც.

ვნახოთ რა იქნება, საბოლოო განაჩენი ორშაბათს იქნება ცნობილი.

**ბაჩო სვანიძე**



# ზოგჯერ დიდებაც მტერია

მასტერსის სერია.
ინდიან უელსი (აშშ)
ჰარდი. საპრიზო 2,05 მილიონი $

პატარა კალიფორნიული ინდიან უელსის ყოველწლიური პირველობა პრესტიჟულობით დიდი სლემის ტურნირებს თუ ჩამოუვარდება. ყოველ გაზაფხულზე ამ უდაბნოს პირას მდებარე კურორტს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები სტუმრობენ და გამონაკლისი არც წლეულს მომხდარა: ქალთა შორის ამჯერად აქ მხოლოდ ორი ვარსკვლავი — მარი პირსი და ანა კურნიკოვა არ იასპარეზებენ, რომელთაც ფეხის ტრავმები აწუხებთ.

თუ სეზონის პირველი მასტერსის სერიის ტურნირი კაცებისთვის მხოლოდ ორშაბათიდან დაიწყება, დიაცები უკვე ორი დღეა, იბრძვიან. ერთი ეგ არის, პირველი წრიდან ყველა განთესილი გათავისუფლებული იყო, ამიტომ ჯერჯერობით მოასპარეზეთა შორის ხმაურიან სახელებს ძნელად თუ შეხვდებით.

გამონაკლისს წარმოადგენს 1997 წლის როლან გაროსის ჩემპიონი ივა მაიოლი. 23 წლის ხორვატისთვის პირველი და უკანასკნელი დიდი სლემის ტურნირის ტიტულის მოპოვება ტრიუმფალური კარიერის ნაცვლად დაღმასვლის დასაწყისი გახდა — მოულოდნელ დიდებასთან გამკლავება მას ძალიან გაუჭირდა: „როდესაც სლემს იგებ, ყველაფერი იცვლება. ხალხი გირეკავს, ინტერვიუს გთხოვენ, ყველას რაიმე უნდა შენგან. ჩოგბურთზე კონცენტრირება ძალიან ძნელია, თანაც ყველა მეტოქე მონდომებულია, დაგამარცხოს. მე ყველაფერი ამისთვის მზად არ აღმოვჩნდი, ფსიქოლოგიურად სწრაფად გავსავათდი და გადავიწვი".

მერე ტრავმების ჯერიც დადგა. 1998 წლის ბოლოს მაიოლიმ მხრის მძიმე ტრავმა მიიღო, სანამ იმაზე ფიქრობდა, ქირურგიულ ჩარევაზე დათანხმებულიყო თუ არა, მთელი მომდევნო სეზონი ჩამწარდა. გასული სეზონი ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელებას დასჭირდა, თანაც სამი თვე ვარჯიშიც არ შეეძლო, რადგან კოჭის ძვალი გაბზარული ჰქონდა.

ახლა ხორვატი ნელ-ნელა იბრუნებს ძველ პოზიციებს, კლასიფიკაციის მესამე ასეულიდან 47-ე ადგილზე ალზევდა და ინდიან უელსშიც საკმაოდ იოლად დაძლია პირველი ბარიერი — გერმანელ მარლინ ვიანგარტნერს 6:4, 6:2 მოუგო.

მაიოლის საუკეთესო მეგობრის, ჯენიფერ კაპრიატის მაგალითი მატებს ძალებს: „მელბურნში ჯენიმ დაამტკიცა, რომ რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ შეიძლება ელიტაში დაბრუნება და „მეიჯორის" მოგება. იმედია, ამას მეც მოვახერხებ. ახლა უფრო დაღვინებული და გამოცდილი ვარ, თავს გარკვეულწილად ვეტერანად ვგრძნობ, მაგრამ ამასთან წინ კიდევ რამდენიმე სეზონი მაქვს და ჯერაც შემიძლია კარგად თამაში".

აი, ლეგენდარული კალათბურთელის, ჯულიუს ირვინგის ნაბუშარ ალექსანდრა სტივენსონს კი ბოლო ხანებში სატრაბახო არაფერი აქვს. 1999 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ფერადკანიან ამერიკელს კოლეგების რასიზმსა და ლესბოსელობაში დადანაშაულების გარდა თავი აღარაფრით გამოუჩენია. აქაც ფრანგ სარა პიტკოვსკისთან მან 6:4, 4:6, 4:6 წააგო და მერე ისლა განაცხადა, ჩემი შეცდომებით დავიღუპე თავი, თორემ მეტოქე გამარჯვებას არ იმსახურებდაო.

პიტკოვსკი, ბუნებრივია, სხვა შეხედულებისა იყო: „რაც უნდა თქვას, ფაქტი კი ის არის, რომ მე ვაიძულებდი, შეცდომები დაეშვა და უფრო საზრიანადაც ვირჯებოდი. ისე, მას ფრანგი გოგონები მაინცდამაინც არ უყვარს" (შარშან უიმბლდონზე სტივენსონმა სწორედ ფრანგებს დასდო ბრალი რასიზმში).

**პირველი წრე: იანა კანდარი (გერმანია) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 3:6 (8:6); ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — პავლინა ნოლა (ბულგარეთი) 6:4, 6:3; ემილი ლუა (საფრანგეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:3, 6:7 (4:7), 6:3; ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 1:6, 6:2, 6:3; ლილია ოსტერლო (აშშ) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:1, 3:6, 7:5; ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) — დონ ბუტი (აშშ) 7:5, 6:3; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:3, 6:1; სილვია პლიშკე (ავსტრია) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 7:6 (7:4), 6:2**



ივა მაიოლი ძველ დიდებაზე ოცნებობს

სკოტსდეილი (აშშ)
FRANKLIN TEMPLETON CLASSIC
ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $

ორი შვედი ვარსკვლავისთვის სკოტსდეილის ტურნირის მერვედფინალში გამოუცდელ მეტოქეებთან შეხვედრა სხვადასხვაგვარად დასრულდა.

მესამედ განთესილმა მაგნუს ნორმანმა 18 წლის ხოსე აკასუსოს, რომელიც ორი კვირის წინ მშობლიური ბუენოს აირესის პირველობის ფინალისტი გახლდათ, დიდი ჩოგბურთის პატარა გაკვეთილი ჩაუტარა. შვედმა მთელ მატჩში საკუთარ მოწოდებაზე თითზე ჩამოსათვლელი ქულები წააგო, არგენტინელი აგრესიული შეტევებით დაჩაგრა და საათზე ნაკლებში 6:3, 6:1 იმარჯვა.

„დუბაიდან გადმოფრენამ ძალიან დამღალა და თავიდან თავს კარგად არ ვგრძნობდი, თუმცა ახლა აღარაფერი მიშავს. ჩემი მიზანია, ის თავდაჯერება და ფორმა დავიბრუნო, რაც შარშან ამ დროს მქონდა" — აღნიშნა ნორმანმა.

ტომას ენკვისტისთვის ტურნირი ფეხისა და მხრის ოპერაციების შემდეგ პირველი გახლდათ. ჩვეულ დონეზე თამაშამდე მას, ბუნებრივია, ბევრი უკლია, თუმცა ახალგაზრდა ამერიკელ მარდი ფიშთან მარცხი მაინც მოულოდნელი იყო. ფიშმა მეტოქე უძლიერესი ორხელა ბექჰენდებითა და მიღებებით გააოცა და სკოტსდეილის ერთადერთი ამერიკელი მეოთხედფინალისტი შეიქნა, არადა ძირითად ბადეში პიტ სამპრასი და ანდრე აგასი იყვნენ.

„ტომასისთანა ძლიერ ჩოგბურთელს ცხოვრებაში პირველად შევხვდი, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვე. 19 წლის სულ ახლახან გავხდი და იმედია, ეს წარმატებული კარიერის დასაწყისი გახდება" — განაცხადა ამერიკელმა, რომელმაც 6:2, 5:7, 6:4 მოიგო.

**მერვედფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 3:6, 6:1, 6:3; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — გერმან პუენტესი (ესპანეთი) 6:1, 7:5; მარსელო რიოსი (7, ჩილე) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 3:6, 6:3, 6:2; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:6 (7:5), 7:5; ჰარელ ლევი (ისრაელი) — ენდრიუ ილი (რუმინეთი) 6:7 (6:8), 6:1, 6:2; ნიკოლას მასიუ (ჩილე) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:1, 7:6 (7:1)**



AP სპორტფოტოარქიდან

მაგნუს ნორმანმა მეოთხედფინალში გააღწია

დელრეი ბიჩი (აშშ)
CITRIX-ის პირველობა.
ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $

გასულ კვირაში სან ხოსეს პირველობის ფინალში თვით ანდრე აგასის დამარცხების შემდეგ გრეგ რუზეცკი დელრეი ბიჩში სანაქებო გუნებაზე, ზედიზედ მეორე ტიტულის მოპოვების ამბიციით ჩავიდა. პირველ წრეში ტეილორ დენტის 6:2, 6:2 განადგურებით ბრიტმა გამარჯვებათა სერია კი გააგრძელა, მაგრამ სასიამოვნო ცნობები ამით დასრულდა — ხუთშაბათს რუზეცკის ტრავმის გამო ჟან-მაიკლ გემბილთან თამაშზე უარის თქმა მოუხდა.

„წინა მატჩში ზურგში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. გუშინ ცოტა კი მოვკეთდი, მაგრამ იმდენად არა, გარისკვა ღირდეს. წარსულში ვცდილობდი ტრავმირებულსაც მეთამაშა და თავისთვის ზიანის მეტი არაფერი მომიტანია. ახლა ჭკუა ვისწავლე, თავს უნდა მოუარო — აღნიშნა რუზეცკიმ და ტრავმის მიღება ფლორიდულ ამინდს დააბრალა — მეგონა, აქ სიცხე იქნებოდა, ამის ნაცვლად კი ღამის ცხრა საათზე ყინულოვან ტემპერატურასა და გრიგალივით ქარში მომიხდა თამაში".

**მერვედფინალი: პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:3); ქსავიე მალისი (ბელგია) — ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) 6:3, 6:4; ედვინ კემპესი (ჰოლანდია) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:2, 6:3; პიტერ ვესელსი (ჰოლანდია) — ალექს კალატრავა (6, ესპანეთი) 7:6 (7:5), 4:6, 7:6 (7:2); ფაბრის სანტორო (8, საფრანგეთი) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:4, 6:3; კრის ვუდრაფი (აშშ) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:2, 6:3**

**ავთანდილ სვანიძე**

მსოფლიოს თასი

# მაიერიადა



AP ფოტო

ჰერმან მაიერმა მსოფლიოს თასზე საქმის მეტი წილი უკვე გააკეთა

**ისევ** ის ამბავი უნდა იწყებოდეს, რაც გასული სეზონის ბოლოს მოხდა. ყველაზე საჭირო მომენტებში ჰერმან მაიერი აწყვეტის უნიკალურ უნარს ამჟღავნებს და მსოფლიოს თასის ყველა ბროლის გლობუსს (ერთის გარდა) თავისკენ ექაჩება. პარალელურად მოგებული ეტაპების ოდენობას 40-მდე ამრგვალებს და ჩინებული შანსი აქვს, დიდი ინგმარ სტენმარკის რეკორდი გაიმეოროს. განთქმულმა შვედმა 1979 წლის სეზონში 10 გიგანტური სლალომის ეტაპი მოიგო, სამიც სლალომისა მიამატა და ჯამური თარსი რიცხვი კარგა ხნის მიუღწეველ შედეგად ჩაწერა სამთოთხილამურობის მატიანეში. თარს რიცხვებზე ცოტა ქვემოთაც ვიტყვით, მანამდე კი პატარა შესავალი: 7-11 მარტს ვაჟებიცა და ქალებიც შვედურ არეში მსოფლიოს თასის ბოლო 4 ეტაპს გადიან, თითო სწრაფდაშვებას, სლალომს, გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტს. კონკურენცია ქალებში ბევრად მძაფრია, რადგან მსოფლიოს თასის ბედი ბეწვზე ჰკიდია. თითქმის ერთნაირი ალბათობით შეუძლიათ მისი დათრევა იანიცა კოსტელიჩსა და რენატე გოეჩლს, რომელიც თასის მოქმედი პატრონია და სტატუს-კვოს შენარჩუნება დიახაც უნდა, თუმცა არეში ჯერჯერობით უიღბლოდ სრიალებს. ყისმათს უნდა ემდუროდეს კოსტელიჩიც, რადგან გუშინწინანდელი სწრაფდაშვება ტრავმის გამო ჩააგდო. ამ დისციპლინაში ხორვატი საერთოდაც დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ გოეჩლს მხოლოდ 39 ქულას უგებდა და ყოველ კინკილა ქულას ოქროს ფასი ედო. ამიტომ კოსტელიჩმა შემდეგი ეშმაკობა იხმარა: დაუმალა ექიმებს, რომ აწუხებდა არამარტო მხარი, რომელიც სამშობლოში, ვარჯიშისას დაიზიანა, არამედ მუხლიც. მხოლოდ არეში ჩასვლის შემდგომ მისმა მწვრთნელმა ვედრან პავლეკმა გაამჟღავნა, რომ კოსტელიჩი საოპერაციო ყოფილა. „კვირას და ორშაბათს გასინჯეს — ამბობს პავლეკი — მუხლზე კრინტიც არ დაუძრავს. მარტო აქ (არეში) გვითხრა, ექიმები სრიალს ალმიკვეთავდნენ და საოპერაციო მაგიდაზე დამაწვენდნენ, ამის შემეშინდაო“. სასწორზე ბევრი დევს, კოსტელიჩს 19 წლისას მსოფლიოს თასის მოპოვება შეუძლია, ამიტომ გაწირა მუხლი და შვედეთს წავიდა, ოღონდ ოპერაციას ვერ გაექცევა, მომავალ ოთხშაბათს გაუკეთებენ.

სწრაფდაშვება კოსტელიჩმა ლოგიკურად გამოტოვა. მის მუხლს ახლა ზედმეტი დატვირთვა არ სჭირდება, თორემ მერე იქნებ თავისი საფირმო სლალომი წააგოს და ეს ჯვრის დასმის ტოლფასი იქნება. ხორვატი თავს სლალომისთვის ინახავს, გოეჩლმა კი სწრაფდაშვებისას მისი დაწევა-გასწრების რიგიანი შანსი მიიღო. მესამე, თუნდაც მეოთხე ადგილი ჰყოფნიდა 39-ქულიანი დეფიციტის მოსასპობად, მაგრამ ამის ნაცვლად წაიქცა და 0 ქულა დაიმსახურა. ტრავმა არ მიუღია. ქარს გაჰყვა გოეჩლის მეორე შანსიც — სწრაფდაშვების მცირე ბროლის გლობუსი იტალიაში, იზოლდე კოსტნერთან დაბინავდება მომავალ სეზონამდე. კოსტნერმა გუშინწინ ალმაფრენით ისრიალა არეს „ოლიმპიატრასაზე“, 2100 მეტრი მეორე შედეგით განასრულა და ამან იკმარა. სწრაფდაშვების მისი პირველი ტიტული გახლავთ, ხოლო ეტაპი სლალომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჰილდე გერგმა მოიგო. 25 წლის გერმანელის კარიერაში ეს მეორე გამარჯვება იყო სწრაფდაშვებაში.

ჰერმან მაიერისთვის კი ვინ იცის, მერამდენე... გუშინწინდელი სწრაფდაშვების შემდეგ ჰერმინატორი მოგებული ეტაპების საერთო ოდენობით (40, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) შვეიცარიელ პირმინ ცურბრიგენს გაუთანაბრდა და მხოლოდ სამ პიროვნებას ჩამორჩება: ინგმარ სტენმარკს (86), ალბერტო ტომბასა (50) და მარკ ჟირარდელის. ბოლო ორის გასწრება მაიერისთვის სავსებით რეალური საქმეა, სტენმარკზე რა მოგახსენოთ. სამაგიეროდ, მაიერი დიდი შვედის სხვა რეკორდს უპირებს ძირის გამოთხრას, მან გუშინწინდელის ჩათვლით 12 ეტაპი უკვე მოიგო წლევანდელ სეზონში და თუ გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტსაც დაინარჩუნებდა (სლალომს მაიერი ჯერ ვერ გუობს), სტენმარკის 13-ს გადაახტებოდა. სწორედ თარსი რიცხვი ეკერა მაიერს ზურგზე, როცა გუშინწინ სწრაფდაშვების ბროლის გლობუსისთვის თვისტომ შტეფან ებერჰარტერს სასტიკი ბრძოლა მოუგო. ებერჰარტერი ლიდერობდა სწრაფდაშვების ჩათვლას, 6 ქულით უსწრებდა მაიერს და ბოლო ეტაპზეც მეორე ადგილმა 80 ქულა მოუტანა, ოღონდ პირველმა მაიერს 100 შესძინა და რა ბევრი არითმეტიკა უნდა — დამარცხდა ებერჰარტერი, მაიერის პირველი მეგობარი და მეტოქე მთელ ავსტრიაში.

ჟურნალისტებმა გამარჯვებულს უპირველესად სტენმარკის რეკორდზე ჩამოუგდეს სიტყვა. „ეს რეკორდი ადრევე დამხობილი მექნებოდა — ჯავრიანად შენიშნა ჰერმინატორმა — მაგრამ რა გამოვიდა, ბორმიოს ეტაპი ჩაიშალა, ვენგენისაც, სნოუბეისინისაც. ახლა წესით 15 გამარჯვება მაინც უნდა მქონოდა“.

„გამიძნელდება — განაგრძო შემდგომ მაიერმა — დარჩენილი ორივე ეტაპის მოგება მომიწევს, რაც იოლი საქმე არ არის, გიგანტურ სლალომში მაინც...“

სუპერგიგანტში მაიერს ბუნებამ უღალატა. გუშინ არეს ნისლი აწვა. დილით სასრიალო პირობები შედარებით იყო და ქალების სუპერგიგანტი მოესწრო. ამ დისციპლინას ფრანგი რეჟინ კავანიუ ლიდერობდა და მხოლოდ გოეჩლს ჰქონდა მისი დაწევის შანსი, მაგრამ ავსტრიელს არც ამჯერად გაუმართლა, კავანიუმ კი მესამე შედეგი უჩვენა და სანუკვარი გლობუსი გაიფორმა. დაშვებისას ყველაზე ენერგიული შვეიცარიელი კორინ რეი ბელეტი ჩანდა, რომელმაც უახლოეს მდევარს (იგი კანადელი მელანი ტარჟონი გახლდათ) სამთო თხილამურების პირობაზე გვარიანი დრო, 0,69 წამი მოუგო. მერე კი ნისლი შესქელდა, ორგანიზატორებმა კარგა ხანს უცადეს მის გაფანტვას და ბოლოს დაასკვნეს, არაფერი გამოვაო. ეტაპი მოიხსნა, ჰერმან მაიერს სტენმარკის რეკორდის მხოლოდ გამეორება ძალუძს, სამაგიეროდ მან ბროლის მეორე პატარა გლობუსიც დაისაკუთრა. სუპერგიგანტის ჩათვლაში სიტუაცია აქამდეც ისევე ცხადი იყო, როგორც ერთიან ცხრილში, მაიერი ორივეგან გამორჩეულად ჩანს. მან წლეულს ექვსი სუპერგიგანტიდან ოთხი მოიგო და რაზეა ლაპარაკი, ხოლო გიგანტურ სლალომში მეტი გაურკვევლობა სუფევს. ძალიანაც შეიძლება, მაიერმა წლეულს შარშანდელივით სამი მცირე გლობუსი კი არა, მხოლოდ ორი დაინარჩუნოს, რადგან 40 ქულით ჩამორჩება შვეიცარიელ მიხაელ ფონ გრუნინგენს. ამიტომ მაიერის წარმატებისთვის ორი პირობა უნდა შესრულდეს: თვითონ ფრიადზე უნდა ისრიალოს და გრუნინგენმა ცოტათი მაინც ფეხი წაიმტვრიოს. შვეიცარიელს მეორე ადგილიც კი საბოლოო წარმატებას გაუნაღდებს. მოკლედ, საინტერესო ამბებია მოსალოდნელი.

მსოფლიოს თასის სიახლეებს რამდენიმე წყაროდან მოვიპოვებთ. მხოლოდ ერთი საინფორმაციო სააგენტო გაკვრით იუწყებოდა, ერთი ან ორი სეზონის შემდგომ მაიერი თხილამურობიდან მიდისო. ამ მხრივ ჩვენი შემდგომი კვლევა ჯერჯერობით ამაო გამოდგა...

**დავით გულუა**

| ქალები. სწრაფდაშვება |
|---|
| 1. ჰილდე გერგი (გერმანია) 1:16,56; 2. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 1:16,87; 3. სილვიან ბერთოდი (შვეიცარია) 1:16,97. |
| **სწრაფდაშვების საბოლოო ჩათვლა** |
| 1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 596 ქულა; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 455; 3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 360. |
| **სუპერგიგანტი** |
| 1. კორინ რეი ბელეტი (შვეიცარია) 1:09,52; 2. მელანი ტარჟონი (კანადა) 1:10,21; 3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 1:10,27. |
| **სუპერგიგანტის საბოლოო ჩათვლა** |
| 1. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 577 ქულა; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 466; 3. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 405. |
| **ვაჟები. სწრაფდაშვება** |
| 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:24,20; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1:24,55; 3. კენეტ სივერსტენი (ნორვეგია) 1:24,62. |
| **სწრაფდაშვების საბოლოო ჩათვლა** |
| 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 576; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 562; 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 402. |

# შუმახერმა რეკორდით დაიწყო



მიხაელ შუმახერს საქმე მისალოცად აქვს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**საფორმულო** სტატისტიკაში ხუთი მთავარი ელემენტია. უპირველესი, ცხადია, ჩემპიონის ტიტულია, შემდეგ კი — მოგებების, ქულების, პოულებისა და უსწრაფესი წრეების რაოდენობა.

ხუან მანუელ ფანხიოს ხუთი ტიტული და აირტონ სენას 65-პოულიანი ფანტასტიკური რეკორდი კვლავ მიუწვდომელ სიმაღლეზეა. დანარჩენი სამი, შედარებით „ნორმალური“ მიღწევა 1993 წლის შემდეგ ალენ პროსტს ეკუთვნოდა. კარიერაში 51 გამარჯვება და 798,5 ქულა ჯერ ისევ „პროფესორისაა“, უსწრაფესი წრეების რეკორდი (41) კი კვირას დაეცა.

მიხაელ შუმახერი თავის შარშანდელ ოქროს სეზონში, მართალია, მხოლოდ ორ უსწრაფეს წრეს დასჯერდა, მაგრამ პროსტთან გასათანაბრებლად ესეც საკმარისი იყო. წლეულს პირველივე რბოლის შემდეგ კი შუმი წინ გაიჭრა. სამგზის ჩემპიონის „ფერარიმ“ მელბურნის ავტოდრომის 5303 მ სიგრძის წრეს 216,4 კმ/სთ სიჩქარით შემოუქროლა, რაც „ალბერტ-პარკის“ აბსოლუტური რეკორდიც გახლავთ — მიხაელმა თავისი თანამემამულის, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის ოთხი წლის წინანდელ შედეგს ერთბაშად 2,3 წამი ჩამოაჭრა.

ყველაზე სწრაფად ერთი წრის გავლა ფორმულის ისტორიაში სულ 102 პილოტს მოუხერხებია. ჟაკ ვილნევი 9 წრით ამ სიაში 25-ეა, ფრენცენი — 30-ე (6), ჟან ალეზი — 44-ე (4), რუბენს ბარიკელო — 48-ე (3). ჯანკარლო ფიზიკელამ, ედი ირვინმა და რალფ შუმახერმა თითოჯერ გამოიჩინეს თავი.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ შარშან მიკა ჰაკინენის ცხრა და დევიდ კულჰარდის სამი საუკეთესო წრის წყალობით „მაკლარენმა“ „უილიამსის“ 15 წლის წინანდელი მიღწევა (ერთ სეზონში 11 უსწრაფესი წრე) გააუმჯობესა. მიკას „ცხრიანიც“ სარეკორდოა და ნაიჯელ მენსელისა და მიხაელ შუმახერის ძველ შედეგს ერთით სჯობს.

**გია ახალაძე**

| | | | წრე | რბოლა | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 42 | 146 | 28,8 |
| 2. | ალენ ისტი | საფრანგეთი | 41 | 199 | 20,6 |
| 3. | ნაიჯელ მენსელი | ბრიტანეთი | 30 | 187 | 16,0 |
| 4. | ჯიმ კლარკი | ბრიტანეთი | 28 | 72 | 38,9 |
| 5. | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 24 | 171 | 14,0 |
| 6. | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 23 | 51 | 45,1 |
| | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 23 | 204 | 11,3 |
| 8. | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 22 | 146 | 15,1 |
| 9. | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 21 | 210 | 10,0 |
| 10. | სტირლინგ მოსი | ბრიტანეთი | 19 | 66 | 28,8 |
| | აირტონ სენა | ბრაზილია | 19 | 161 | 11,8 |
| | დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 19 | 115 | 16,5 |
| 13. | ჯეკი სტიუარტი | ბრიტანეთი | 15 | 99 | 15,2 |
| | კლეი რეგაცონი | შვეიცარია | 15 | 132 | 11,4 |
| 15. | ჟაკი იქსი | ბელგია | 14 | 116 | 12,1 |
| | დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | 14 | 108 | 13,0 |
| 17. | ალბერტო ასკარი | იტალია | 13 | 32 | 40,6 |
| | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 13 | 116 | 11,2 |
| | რიკარდო პატრეზე | იტალია | 13 | 256 | 5,1 |
| 20. | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 12 | 126 | 9,5 |
| | რენე არნუ | საფრანგეთი | 12 | 149 | 8,1 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge